ფანი

№076 (12 146)

2 აპრილი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მესამე გუნდი ერთ სეზონში

ოლიმპისა და ტორპედოს შემდეგ გიორგი კიკნაძემ ლოკომოტივი ჩაიბარა **5**



ესპანეთი

რეალის მძიმე გამარჯვება, ბარსა მარტო დარჩა

ორი თრილერი პრიმერაში

ინგლისი

ცუდი ჩელსი და კარგი სამი ქულა

მანჩესტერს ვერ აჩერებენ

იტალია

ინტერი რვა ქულა სჯულებოდა

უიქენდის მიმოხილვა **7-10**

საქართველოს ჩემპიონატი. XVIII ტური

პრეტენზია თბილისსა და გორში

სიონი არჩათვლილის ჩათვლას ითხოვდა...

ზესტაფონელები: გორში კარი პატარა იყო...

ტურის მიმოხილვა **2-5**



დინამოელთა კარში არჩათვლილმა გოლმა ვნებათაღელვა გამოიწვია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	18	14	3	1	43-6	45
2. დინამო	18	14	0	4	36-13	42
3. ზესტაფონი	18	11	6	1	33-6	39
4. ვიტ ჯორჯია	18	11	4	3	38-23	37
5. ამერი	18	11	4	3	33-12	37
6. სიონი	18	9	2	7	22-16	29
7. ტორპედო	18	8	4	6	18-16	28
8. გბეთუმი	18	6	4	8	19-18	22
9. გორჯომი	18	5	5	8	17-27	20
10. მერანი	18	4	5	9	14-30	17
11. ლოკომოტივი	18	4	4	10	12-26	16
12. წიხორა	18	3	5	10	11-27	14
13. დილა	18	1	3	14	10-45	6
14. კახეთი	18	0	1	17	13-54	1

ბომბარდირები

ფიფია (ზესტაფონი)	11
გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	10
იაშვილი (დინამო)	10
ფალიშვილი (ოლიმპი)	8
იონანიძე (ზესტაფონი)	7
გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
ტატანაშვილი (ამერი)	7
ფოლიძე (ამერი)	7
ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია/დინამო)	6
წინამძღვრიშვილი (ამერი)	5
ა. ალავიძე (სიონი)	5
ჩასეი (სიონი)	5
ბოგოხიძე (დინამო)	5
ბოჩაშვილი (ლოკომოტივი)	5
ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/გბეთუმი)	5
ს. დავითაშვილი (ამერი)	5

არველაძე, იაშვილი, აშვეთია, გიგიაძე

6 ქართველ ფორვარდთა საუიქენდო ევროგოლები

ქოჩიაშვილი და შალამ საჩემპიონო გზაზე შეფერხდნენ

გუნდესლიგა **7**

ГАЗЕТА...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVIII ტური

დინამო მეორეზე გამაგრდა

დინამო-სიონი

1:0

31.03. თბილისი. მ. მესხი
700 მაყურებელი

1:0 იაშვილი (90. პენალტი)

დინამო: გრიშიკაშვილი – შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი – გ. მერებაშვილი, დიღმელაშვილი, ხმალაძე (60. ხუციშვილი), ფეიქრიშვილი (72. ოდიკაძე), კობახიძე – იაშვილი.

სათადარიგოებში: ლორია, გ. კაშია, ლ. ნოზაძე, სპასოვიჩი.

სიონი: მამალაძე, - ექონია, ფრიდოლინი, ორბელაძე, სილაგაძე – ბაჯელიძე (46. რაქვიაშვილი), სანიკიძე, ალავიძე, კორღალიძე (78. უგრეხელიძე), - ჩასემი (85. ევოჩე), დარასელია.

სათადარიგოებში: ბობღიაშვილი, ლ. ჭელიძე, ოქროპირიძე, ცხადაძე.

გაფრთხილება: სილაგაძე (44), დარასელია (76)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ფეიქრიშვილმა (28) მამალაძეს ვერ აჯობა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ტურში ცენტრალურ მატჩად "დინამოსა" და "სიონის" დაპირისპირება იყო მიჩნეული, რომელსაც ვნებათაღელვის გარეშე არ ჩაუვლია. ეს იყო თამაში, რომელმაც ზოგი ჩააფიქრა, ზოგიც გააბრაზა და გასარკვევი დეტალებიც დატოვა. მატჩის შედეგ, "სიონი" არჩათვლილ გოლსა და დაუნიშნავ პენალტს აპროტესტებდა. ბოლნისელები ამაზე სარჩელის შეტანასაც აპირებენ ფეხბურთის ფედერაციაში. თუმცა ამაზე ქვემოთ. მანამდე კი სჯობს თანმიმდევრობით მივყვეთ.

შეხვედრა ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველ ნახევარში მასპინძლებმა ბოლნისელები დაჯაბნეს, მაგრამ შესვენების შემდეგ უკვე ვერაფრით ჯობდნენ სტუმრებს, რომლებმაც არაერთი მწვავე შეტევა განახორციელეს. გოლიც გაიტანეს, რომელიც მთავარმა მსაჯმა **დავით ხარიტონაშვილმა** არ ჩათვალა. ერთადერთი გოლი კი სტუმართა საჯარიმოში **ხუციშვილის** წაქცევასა და პენალტს მოჰყვა. ამ შემთხვევაში არბიტრთან არავის უნდა ჰქონდეს პრეტენზია, თერთმეტმეტრიანი სრულიად სამართლიანად დაინიშნა.

თამაში დინამოელთა უპირატესობით დაიწყო და მასპინძლებს რამდენჯერმე შეეძლოთ დაწინაურება. თბილისელთა შეტევების ორგანიზატორი კაპიტანი **დავით დიღმელაშვილი** გახლდათ, რომელიც კარგად ამარაგებდა ბურთებით **მერებაშვილს, ფეიქრიშვილს, კობახიძეს, იაშვილს.** საწყის წუთებში ფეიქრიშვილსა და მერებაშვილს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შანსი, მაგრამ ბოლნისელთა მეკარე **ზურაბ მამალაძე** თამაშობდა კარგად. მამალაძის საიმედო თამაში მართლაც, რომ გამორჩევას იმსახურებს. ეს რომ არა, დინამოელები სამ ბურთს მაინც გაუტანდნენ სტუმრებს. გამოსარჩევია მერებაშვილიც, რომელმაც ახლო თუ შორეული დისტანციიდან რამდენიმეჯერ ძლიერად და ზუსტად გაისროლა. ამას გარდა მერებაშვილი დაცვასაც ხშირად ეხმარებოდა და ბოლნისელთა შეტევებიც არაერთხელ ჩაშალა. არც ბოლნისელები გამოიყურებოდნენ ურიგოდ. "სიონმა" განსაკუთრებით მეორე ტაიმში უმატა თამაშს. **დარასელიასა** და **ჩასემის** ატიურობას **გრიშიკაშვილი** მცველთა დახმარებით დაუხვდა. ამ მცველებში კი ყველაზე გამორჩეული **ნედ ზელიჩი** გახლდათ. ამ მატჩში მისი გამოცდილება, კლასი და საჭიროება კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

59-ე წუთზე კი გოლიც გავიდა. **კორღალიძემ** იმ მომენტში, სიმართლე რომ ვთქვათ, საჯარიმოში ჩაწოდება გადაწყვიტა, მაგრამ ბურთი კარში აღმოჩნდა. გვერდითმა არბიტრმა კორღალიძის დარტყმისთანავე აღმართა ალამი და გოლი არ ჩაითვალა. ბურთი ბადეში რომ აღმოჩენილიყო, საიმისოდ **ლევან სილაგაძემ** იბრძოლა. ამ ეპიზოდზე ტრიბუნიდან დანახულიდან ძნელია რამის გადაჭრით თქმა. ზოგი აცხადებს, რომ სილაგაძე თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ზოგიც მისგან მეკარის წინააღმდეგ თამაშში წესების დარღვევაზე საუბრობს. ზოგი კი თვლის, რომ გოლი წესების სრული დაცვით გავიდა და არბიტრი არასწორად მოიქცა, როცა გოლი არ ჩათვალა.

თამაში დაძაბულად და საინტერესოდ გაგრძელდა. მალევე სტუმრებმა კიდევ ერთი შეტევა წამოიწყეს და დარასელიას წაქცევისთვის პენალტს ითხოვდნენ. მერე კვლავაც იყო მამალაძის კარგი თამაში და ბოლოს, ხუციშვილის წაქცევა საჯარიმოში, რასაც პენალტი მოჰყვა. იაშვილმა თერმეტმეტრიანი გოლად აქცია. გოლის შემდეგ კი დინამოელებმა კიდევ რამდენიმე მწვავე შეტევა მოაწყვეს და ანგარიში რომ ვერ გაზარდეს, ესეც მამალაძის დამსახურებაა.

მატჩის შემდეგ

კახა ცხადაძე ("სიონის" მთავარი მწვრთნელი): - თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ძალიან დაგვაკლდა შოთა ბაბუნაშვილი. ის თბილისის "დინამოდან" ვინათხოვრეთ და კონტრაქტის მიხედვით მას ამ გუნდთან თამაშის უფლება არ ჰქონდა. მის ნაცვლად მოთამაშე ბაჯელიძე სათანადო ფორმაში არ იყო და პირველ ნახევარში ჩვენი გუნდის ცენტრი მოისუსტებდა. პირველ ტაიმში მეტოქეს მცირედი ტერიტორიული უპირატესობა მივეცით, თუმცა მერე წარმატებული შეცვლები გავაკეთეთ. შესვენების შემდეგ, "დინამოს" აბსოლუტურად ყველა ასპექტში ვაჯობეთ. მეტოქეს მაღალი ბურთების ჩაკიდებაზე ჰქონდა აქცენტიდა საამისოდ ჩვენ მზად ვიყავით. კარგი კონტრშეტევები განვახორციელეთ. ძალიან ლამაზი გოლი გავიტანეთ და არ ჩაგვითვალეს. ვფიქრობ, ფეხბურთელებმა კარგად გაართვეს თავი ჩემს დავალებებს. მათ კარგი თამაშისა და თავდადებისათვის მადლობა გადავუხადე.

დუშან უკრინი ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): - დაძაბული თამაში იყო. ჩვენმა გუნდმა პირველი ტაიმი უფრო კარგად ითამაშა, ვიდრე მეორე. მეორე ნახევარში თამაში შეიცვალა, მხოლოდ გრძელი პასები კეთდებოდა. ეს არ იყო "დინამოს" თამაში.

- როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ჩასათვლელი "დინამოს" კარში გატანილი ბურთი?

- სათადარიგოდან დანახულით ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. ვიდეოფირი უნდა ინახოს და მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება საუბარი. ვფიქრობ, გოლამდე ჩვენს მეკარეს უხეშად ეთამაშნენ და ჯარიმა იყო დასანიშნი.

- რატომ ითამაშა "დინამომ" მხოლოდ ერთი თავდამსხმელით?

- არა, ერთი ფორვარდით არ გვითამაშია. მეტოქეს სამი თავდამსხმელით ვუტევდით. შეცვლებით კი კიდევ უფრო გავაძლიერეთ შემტევი პოტენციალი

დავით ცაბაძე

ს.კ. სიონის განცხადება

ვრესკონფერენციის დასრულებისთანავე "სიონის" ხელმძღვანელობამ განცხადება გააკეთა. მასმედიის წინაშე ბოლნისელთა კლუბის გენერალური მდივანი ჯემალ ჭიპაშვილი და ვიცე-პრეზიდენტი დავით სილაგაძე წარდგნენ.

ჯემალ ჭიპაშვილი: ბოლნისის "სიონის" ხელმძღვანელობის სახელით უფლებამოსილი გახლავართ გავაცხადოთ, რომ არბიტრმა ეს მატჩი დაბალ დონეზე იმსაჯა. ჩვენი აზრით, უსამართლოდ არ ჩათვალა ჩვენ მიერ გატანილი გოლი. იმ ეპიზოდში თამაშის წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, ამ ეპიზოდის შემდეგ, დარასელიას წაქცევისთვის პენალტი გვეკუთვნოდა. ჩვენს კარში "დინამომ" პენალტით გაიტანა ბურთი, რაც ხუციშვილის წაქცევას მოჰყვა. ჩვენ ვთვლით, რომ ხუციშვილის წაქცევამდე იაშვილმა ხელით გაისწორა ბურთი და მერე ხუციშვილზე თამაშის წესების დარღვევა იქნა დაფიქსირებული.

მსაჯის ასეთმა უსამართლო ქმედებებმა, მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია. თუ ფედერაციის სამსაჯო კორპუსს გამბედაობა ეყოფა, ამ მატჩის შედეგი უნდა გაუქმდეს და დაინიშნოს გადათამაშება.

დავით სილაგაძე: ყველამ კარგად იცით, რომ მიმდინარე სეზონში მსაჯთა მიმართ არაერთი პრეტენზია გამოითქვა და არა მარტო ჩვენი მხრიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ ჩემპიონატს დაბალკვალიფიციური მსაჯები ემსახურებიან. ასეთი დონის მატჩებს მაღალი კვალიფიკაციის არბიტრები უნდა ემსახურებოდნენ. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, სულაც არ ვამტკიცებ, რომ მეტოქე დავჯაბნეთ. პირიქით, პირველ ტაიმში "დინამოს" ნამდვილად ჰქონდა უპირატესობა. თუმცა მეორე ნახევარში იყო მომენტები, რომლის გამოყენების შემთხვევაში მოგება შეგვეძლო. რაც შეეხება იმ არჩათვლილ გოლს, ჩემ გვერდით ფედერაციის ხელმძღვანელობა იჯდა. არ ვიცი, რა ჯარიმაზე იყო საუბარი. ვფიქრობ, კორღალიძეს საჯარიმოში ჩაწოდება ჰქონდა გადაწყვეტილი ბურთი კარში წავიდა და კარის ხაზიც გადაკვეთა. სილაგაძე მხოლოდ ამის შემდეგ შეეხო ბურთს და რა ჯარიმაზეა საუბარი? ეროვნულ ჩემპიონატში აუცილებლად უნდა მორჩეს არაობიექტური და მიკერძოებული მსაჯობა. ალბათ ხარიტონაშვილს ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მისცემენ. თუმცა ჩვენთვის ეს არაფერს ნიშნავს. ჩვენ დღეს 3 ქულა დავკარგეთ, ამით ჩვენ დავზარალდით. მაშინ ჩაწერონ დებულებაში და ასეთ ვითარებაში მსაჯს ერთმატჩიანი კი არა, სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცენ, რათა სხვამ იგივე აღარ გაიმეოროს.

რაც შეეხება დაუნიშნავ პენალტს, დარასელია საჯარიმოში იყო შესული და მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილი. ის ნააქციეს და არბიტრმა იქით მისცა დარასელიას გაფრთხილება.

ამას ჩვენ აუცილებლად გავაპროტესტებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ შედეგი გაუქმდეს.

ბოლოს...

რაც შეეხება ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის თავკაცმა ამირან კაჭახიძემ გვითხრა, რომ თბილისში არ იმყოფება და "სიონის" საჩივრის შესახებ მისთვის არაფერია ცნობილი. კაჭახიძის მოედგილე ავთო შალამბერიძემ კი შემდეგი განგვიმარტა:

"დებულების მიხედვით, მსგავს მიზეზებზე, არჩათვლილ გოლსა და დაუნიშნავ პენალტზე ჩივილს აზრი არ აქვს. ეს პირდაპირ წერია რეგლამენტში. ჩვენ ვესაუბრეთ "სიონის" ხელმძღვანელებს. ფირიც ვნახეთ. იქ აშკარად ჩანს, რომ პენალტი "სიონის" კარში სამართლიანად იყო დანიშნული. არჩათვილი გოლისას კი სილაგაძე ნამდვილად თამაშგარე მდგომარეობაში იყო. შესაბამისად, "სიონმა" მატჩის ოქმში დააფიქსირა ის მომენტები, რაც სადავოდ მიაჩნია და ამას განვიხილავთ".

ბოლნისური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმაც იგივე გვითხრა:

"ჩვენ ვიყავით ფედერაციაში და ავთო შალამბერიძეს ვესაუბრეთ. როგორც აღმოჩნდა, ასეთ მიზეზებზე საჩივარი არ მიიღება. თუმცა მატჩის ოქმში მივუთითეთ, რომ მსაჯობა არაობიექტური იყო და ფედერაციაში საკითხის განხილვას ხვალიდან დაიწყებენ. ის ეპიზოდები, რომლებსაც ვაპროტესტებთ, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2-ს" სხვადასხვა რაკურსით აქვს გადაღებული. ჩვენ ამ ფირებს ფედერაციაში წარვადგენთ და სიმართლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ".

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კერკეტი კაკალი ამერისათვის

ბორჯომი-ამერი

1:0

31.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
2 000 მაყურებელი

1:0 კაკალაძე (75. პენ)

ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, ნადირაშვილი, ღონღაძე, ავალიანი, შ. გრიგალაშვილი, კვერნაძე (46. გოგიჩაიშვილი), კაიდარაშვილი (90. თედიაშვილი), კაკალაძე (90. საყვარელიძე).

სათადარიგოები: ასაბაშვილი, ლომიძე, ლაზარაშვილი.

ამერი: ქვაჩახია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, ბოლქვაძე (64. სევასტოპულო), მესხი, ჯელაძე (55. ვაჩეიშვილი), დოლიძე (74. ჩიმაკაძე), ჩიკვილაძე, ტატანაშვილი, დავითაშვილი.

სათადარიგოები, ნადირაშვილი, ელბაქიძე, გაბისკირია.

გაფრთხილება: მესხი (56)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი "ამერი" საკურორტო ქალაქს სამი ქულის წამოსაღებად სტუმრობდა, თუმცა ამას ასრულება არ ეწერა. მასპინძლებმა თავდადებული და ენერგიული თამაშით შეძლეს თბილისელთა დამარცხება. თუ გავიხსენებთ ამ გუნდების შარშანდელ შეხვედრას, მაშინაც ასე მოხდა, ლიდერებში მყოფმა "ამერმა" სწორედ ბორჯომში წაიფორხილა და მეტად საჭირო ქულები დაკარგა.

პირველი სახიფათო მომენტი უკვე მე-8 წუთზე შეიქმნა - **შოთა გრიგალაშვილმა** სწრაფი შეტევა წამოიწყო, მაგრამ ბოლო დარტყმა გამოუვიდა არაზუსტი. მალე მას **კაკალაძემ** მიბაძა, რომელიც **ღონღაძის** პასით აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, თუმცა მისი თავური მცირედით უზუსტო გამოდგა. ამის შემდეგ **ბოლქვაძე** გააქტიურდა და მარჯვნივ-მარცხნივ კარგი პასები არიგა. შედეგად მე-17 წუთზე "ამერს" შეეძლო ანგარიშის გახსნა, ბოლქვაძემ **დოლიძე** პირისპირ შეჰყარა მეკარეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცუდად დაარტყა. პირველი ტაიმის ბოლოს კი სტუმრებს გოლის გატანის კიდევ ერთი შანსი მიეცათ - დოლიძემ ისარგებლა ბორჯომელ მცველთა შეცდომით და დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან დაურტყა **შეყრილაძეს**. მეკარემ გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო მოგერიება და თავისიანები გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

მეორე ტაიმი ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. სტუმართა საქმეები მას შემდეგ აირია, რაც მწვრთნელმა ბოლქვაძე შეცვალა. "ამერს" მოედნის ცენტრში მნიშვნელოვანი ძალა, შეტევებს კი სიმწვავე მოაკლდა.

შედეგად მასპინძლებს შესატევად მეტი სივრცე და დრო მიეცათ. ბორჯომელთა აქტიურობამ შედეგი მალე გამოიღო. 75-ე წუთზე "ამერის" მცველებმა საჯარიმოში კაკალაძე მოცელეს და **კრიჭაშვილმაც** უყოყმანოდ მიუთითა პენალტის ნიშნულისკენ. დარტყმა დაზარალებულმა თავად ითავა და ანგარიშიც გაიხსნა 1:0. "ამერი" მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდა და შესამჩნევად გააქტიურდა. თამაში ამ მომენტში თავის თავზე აიღო ვეტერანმა **დავითაშვილმა,** ბევრი იმოძრავა, პასებიც აკეთა თუმცა მისი და თანაგუნდელთა მცდელობები ამაო გამოდგა. ბორჯომელებმა თავი ორგანიზებულად დაიცვეს, ორჯერ კი შეყრილაძემ არ გაატანინა სტუმრებს. ისე მასპინძლებს შეხვედრის ბოლო წუთებზე მეორე გოლის გატანაც მართებდათ. გრიგალაშვილმა ზუსტი პასი გაუკეთა კაკალაძეს, რომელიც პირისპირ გავიდა ქვაჩახიასთან, მეკარე მოძრაობაზე დაიჭირა, მაგრამ მახვილი კუთხიდან კარგად ვეღარ დაარტყა. **ქვაჩახიას** მიერ მოგერიებული ბურთი კარის წინ სამ მეტრში მდგომ **კაიდარაშვილს** მიუვიდა, მაგრამ გარდაუვალ გოლს სტუმრები მცველის თავგანწირულმა თამაშმა გადაარჩინა

მატჩის შემდეგ

გიორგი ჩიხრაძე (**"ამერის" მთავარი მწვრთნელი**): "დაძაბული თამაში გამოვიდა, აქცენტი შეტევაზე გვქონდა გაკეთებული, თუმცა სახიფათო მომენტების რეალიზაცია ვერ მოვახერხეთ, რის გამოც დავისაჯეთ და წავაგეთ. გავაანალიზებთ ყოველივეს და ვეცდებით, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ".

ვლადიმერ ხაჩიძე (**"ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი**) "ამერი" ჩვენზე ძლიერი გუნდია, თანაც ჩვენ ორი მოთამაშე გვაკლდა. მიუხედავად ყველაფრისა ბიჭებმა დიდი მონდომება და ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს. მთელ გუნდს დაუფასდა თავგანწირვა და შევძელით ამ ძნელი თამაშის მოგება. ვეცდებით, მომავალშიც კარგი თამაშით გავახაროთ ჩვენი ერთგული გულშემატკივრები".

მერაბ გრძელიძე
ბორჯომიდან

დილა-ტორპედო

1:0

31.03. გორი. თ. ბურჯანაძე
2 000 მაყურებელი

1:0 ყველაშვილი (42)

დილა: თევდორაძე-კობახიძე, ბალაშვილი, ყველაშვილი, ლომაშვილი-ნოზაძე (80. ტლაშაძე), კ. ხანიშვილი, დ. ხანიშვილი (89. ბალიაშვილი), ბ. ჩიტაია (69. ვარდოსანიძე), სულთანიშვილი, გონჩაროვი

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, თაყაძე, წინამძღვრიშვილი, აბრამიშვილი

ტორპედო: ოდიშარია-ხარებავა, მახარობლიძე, კუხიანიძე, ტაბიძე-კაშია, კირკიტაძე, დანელია (78. ნაჭყებია), გოდერიძე-ჭედია (86. ქიმუცაძე), კიკვიძე (66. დივნიშვილი)

სათადარიგოები: გუშერიძე, ნიქაბაძე, ხარშილაძე, კეჭაყმაძე

არბიტრი: დ. სანაია

გადახალისებული და გაახალგაზრდავებული გორის „დილა" მეორე წრეში პირველად წარდგა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე. მოგეხსენებათ გორის ცენტრალურ არენაზე იანვრის შემდგომ რემონტი მიმდინარეობს და ამის გამო მეორე წრის ერთი საშინაო შეხვედრა „დილამ" თბილისში ჩაატარა. XVIII ტურის წინ რემონტის ერთი ეტაპი დასრულდა და ადგილობრივ გუნდს უკვე შეუძლია საშინაო მატჩების საკუთარ მოედანზე გამართვა.

მატჩისადმი ინტერესი გორში დიდი იყო, შესაბამისად, დღესდღეობით „ბურჯანაძეზე" დამონტაჟებული ორი ათასი ინდივიდუალური სკამი მაყურებელმა სრულად შეავსო. ქომაგები თავისი გუნდისგან მონატრებულ გამარჯვებას ითხოვდნენ, რაც მიიღეს კიდეც.

განსხვავებით გაგრძელებისგან, დასაწყისი არ ყოფილა საინტერესო. მოწინააღმდეგენი ნელა და მეთოდურად ცდილობდნენ მეტოქისთვის საკუთარი თამაშის თავსმოხვევას. უტევდა ძირითადად „დილა", „ტორპედო" კი როგორც მოსალოდნელი იყო, კონტრშეტევებზე აკეთებდა აქცენტს. მასპინძელთა იერიშებს თავდაპირველად იოლად უსწორდებოდა სტუმართა დაცვა, საჯარიმოს მისადგომებთანაც უჭირდათ გორელებს ბურთის მიტანა. მე-20 წუთზე შექმნილი პირველი სახიფათო მომენტიც, **ირაკლი კობახიძის** მიერ დაახლოებით 40 მეტრიდან ჩაწოდებულს მოჰყვა. მას საჯარიმოში ჩაწოდება უნდოდა, თუმცა ბურთი ლამის სტუმართა კარში აღმოჩნდა - ხარიხას მოხვდა. აქედან მოყოლებული „დილა" სრულ ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა. ერთხანს გორელები მეტოქის ნახევარზეც „დასახლდნენ" და მხოლოდ შეტევაზეღა ფიქრობდნენ. იერიშებისას დაცვის ხაზიც ისეთივე აქტიური იყო, როგორც თავდასხმა, რითაც „ტორპედოს" უფრო მწვავე კონტრშეტევების საშუალება მიეცა. 28-ე წუთზე ასეთი ვითარებით ისარგებლა **გიორგი ჭედიამ**, რომელსაც საბოლოოდ **თევდორაძემ** აჯობა. ორ წუთში **ნოზაძის** ფლანგურ ჩაწოდებას კართან ახლოს მდგარი **საბა სულთანიშვილის** უზუსტო თავური მოჰყვა. შესვენებამდე ქუთაისელთა კიდევ ერთი კონტრშეტევისას ძელმა გადაარჩინა „დილა". ტაიმის ბოლომდე ქუთაისელებმა ველარაფრით გამოიჩინეს თავი, „დილამ" კი გოლი გაიტანა. 42-ე წუთზე **ამირან ყველაშვილის** უძლიერესი დარტყმული მცველებმა კუთხურზე მოიგერიეს. იქიდან ჩაწოდებული ბურთი მცველებმა გაიტანეს საჯარიმოდან, სადაც მას კვლავაც ყველაშვილი დახვდა და დაახლოებით 20 მეტიდან ბურთს მიწაზე დაშვება რომ არ აცალა, ისე დაარტყა - 1:0.

გორელთა კარნახით მიმდინარეობდა შეხვედრის მეორე ნახევარიც. „დილა" ერთთავად უტევდა, მოედნის ცენტრიც მათ ხელში იყო, სადაც გამორჩეულად კარგად **კობა ხანიშვილი** ირჯებოდა და აღარც დაცვას გამოპარვია მეტოქის კონტრშეტევები. ჯერ იყო და **გონჩაროვმა** შეუტია სახიფათოდ, მერე კი ხუთნუთიანი ინტერვალით **დათო ხანიშვილს** ორჯერ შეეძლო გატანა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ტორპედოს" ერთ-ერთმა თავკაცმა **პაპუნა მელაძემ** განაცხადა: „ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია და ამ პატარა ბიჭების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. რაც შეეხება „დილას", გორელებმა გვაჯობეს."

მამუკა ვარდოსანიძე (დილას მთავარი მწვრთნელი): „გუნდს 17 ტურია არ მოუგია და შესაბამისად დიდი იყო ფსიქოლოგიური წნეხი, თუმცა ბიჭებმა ყველფერი გადალახეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. „დილაში" ჯერ კიდევ უამრავი საქმეა გასაკეთებელი. ჩვენ მომავლის გუნდს ვქმნით და ეს საქმე მალე არ კეთდება. მთავარია, პროგრესს ვხედავ. ისეთ მდგომარეობაში ვართ, დარჩენილი ყველა მატჩი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა"

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ბათუმი-კახეთი

3:2

31.03. ბათუმი. ანგისა
მაყურებელი

1:0 ტულუში (50); 2:0 ტულუში (59. კერესელიძის პასით); 2:1 ბიძინაშვილი (79); 3:1 ტულუში (84); 3:2 კუპრაშვილი (85)

დინამო: სომხიშვილი - თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი - შალამბერიძე (46. ტულუში), ნერგაძე, ბეჟანიძე (63. ფარტენაძე), ცანავა (46. დარჩიძე), კუნჭულია - კერესელიძე.

სათადარიგოები: ბექთაშვილი, დუმბაძე, ბაჯელიძე, მახარაძე.

კახეთი: იაშვილი - მ. ხიდაშელი (63. ტეტიაშვილი), კობაძე, ბაბილაშვილი, მურველაშვილი - კუპრაშვილი, ჩუოლაშვილი, მაჩაიძე, ბიძინაშვილი - გ.ხიდაშელი, მედოევი.

სათადარიგოები: გიგაური, აბდულაევი.

გაფრთხილება: ჩუოლაშვილი (20), მედოევი (43)

არბიტრი: ლ. სილაგავა

სატურნირო ცხრილის ფსკერზე მოკალათებულ „კახეთს" ბათუმში სერიოზულად არავინ აღიქვამდა. ალბათ, ამიტომაც ყველა მასპინძელთა იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, თუმცა რომ არა მთავარი მსაჯი **ლაშა სილაგავა**, იქნებ საქმე სხვაგვარადაც წარმართულიყო და კახელებს ბათუმიდან სამი ქულაც კი წაეღოთ.

მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო. ფეხბურთელებმა და გულშემატკივრებმა პატივი მიაგეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიდ გამსახურდიას** ხსოვნას...

პირველ ტაიმში არაფერი მომხდარა ისეთი, რომლის დაფიქსირებაც და თქვენამდე მოტანა აუცილებელი იყო ერთი მომენტის გარდა, რომელმაც გულშემატკივრებს ტაშიც გამოსტაცა. **კუნჭულიამ** კუთხური ჩაწოდა, მცველმა თავით გამოიტანა, საჯარიმოს ხაზთან მდგარმა **ბეჟანიძემ** კი მკერდზე მიიღო ბურთი და მიწაზე დაუშვებლად მეტოქის კარისკენ გადაგზავნა. რომ არა იაშვილის აკრობატული ნახტომი, გოლი გარდაუვალი იყო.

მეორე ტაიმში **გოგიტიძემ** ტაქტიკურ ცვლილებას მიმართა. **შალამბერიძე** გაიყვანა, კუნჭულია მის ფლანგზე გადაისროლა, თავდასხმაში ეულად მოთამამე **კერესელიძეს** კი **ტულუში** შეუწყვილა. ამან გაამართლა, ვინაიდან სწორედ ტულუში იქცა მატჩის გმირად.

50-ე წუთი - თელაველმა ნახევარმცველმა თავით ბურთი ცენტრიდან საკუთარი კარისკენ დააბრუნა. სანამ **კობაიძე** და **მერაბ ხიდაშელი** არკვევდენ, თუ ვისი მისამართით იყო პასი გაკეთებული, ტულუშმა ორივეს შუაში გაურბინა და ბურთიც აართვა. გოლის გატანა კი აღარ გასჭირვებია.

59-ე წუთი. კერესელიძე მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და პირით ხაზთან მისულმა ტულუშს გაუკეთა ზუსტი გადაცემა - 2:0.

79-ე წუთი. ბათუმელმა მცველებმა შეცდომა დაუშვეს. ბურთი **ბიძინაშვილმა** ჩაჭრა, საჯარიმო მოედანში შეიჭრა და... 2:1.

84-ე წუთზე **კუპრაშვილმა** ბურთი ბათუმელ მცველს აართვა და ანგარიში წესების სრული დაცვით გაათანაბრა, მაგრამ მატჩის არბიტრმა რატომღაც გოლი არ ჩათვალა, რამაც ბათუმელი გულშემატკივრებიც კი აღაშფოთა. სანამ ამ მომენტის ჩაწერით ვიყავით დაკავებულნი, ტულუშმა ჰეთ-თრიქის შესრულება შეძლო - 3:1.

85-ე წუთზე კუპრაშვილმა თავისი მაინც გაიტანა. შორეული დარტყმით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა 3:2.

აღსანიშნავია ისიც, რომ 43-ე წუთზე **მედოევის** წაქცევისთვის მსაჯმა პენალტი კი არ დანიშნა, სიმულაციისთვის კახეთის ფორვარდი გააფრთხილა.

მატჩის დასასრულს კი სწორედ ის სიტყვები მომესმა, რომელიც სათაურად გამოვიყენე!

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

მონატრებული გამარჯვება

რა ჰქენი, ლაშა?

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ყველაზე იოლი მატჩი

ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი

3:0

31.03. მცხეთა. არმაზი
150 მაყურებელი

1:0 გელაშვილი (28), 2:0 რაზმაძე (31, პენ.), 3:0 ბერიაშვილი (82)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი – პ. დათუნაიშვილი (84. ბეჭვაია), ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე – გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი (80. კვაღინიძე) – ბერიაშვილი, გელაშვილი (80. ღუჭაშვილი), მელქაძე

სათადარიგოში: მიქაბერიძე, ადამაძე, ინჯგია, კიკნაძე

ლოკომოტივი: გვარამაძე – თუთბერიძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი (30. გ. კირკიტაძე (66. ბახტაძე), კუპრეიშვილი – გულორდავა (54. ბარბაქაძე), მალიჩავა, ფოფხაძე, ჩომახიძე – ყლენტი, გოჩაშვილი

სათადარიგოში: მიგინეიშვილი, სამხარაძე, სოსელია

გაფრთხილება: კუპრეიშვილი (30), ლომაია (38)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ნიკოლოზ გელაშვილი

ვეტერინარები იმთავითვე კი იყვნენ მატჩის ფავორიტები, მაგრამ ძნელი სათქმელი იყო, დროულად შეძლებდნენ თუ არა ზესტაფონული შოკიდან გამოსვლას. შაბათს ნათლად გამოჩნდა, არაერთი ხარვეზის მიუხედავად, "ვიტ ჯორჯია" კვლავ რჩება იმ ძალის მქონე გუნდად, რომელიც სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილის ბინადრებთან ქულებს იშვიათად კარგავს.

შეხვედრა მასპინძელთა გამოკვეთილი უპირატესობით დაიწყო და თამაშის სურათი ამის შემდეგ აღარ შეცვლილა. **მუმლაძის** შეგრდებმა თავიდანვე ცადეს მეტოქის შუა და უკანა ხაზებში ხარვეზების პოვნა, რაც იოლად შეძლეს კიდეც. მართალია, პირველი ტაიმის შუაწელამდე **გვარამაძის** კართან მხოლოდ ნახევრადმომენტები იქმნებოდა, მაგრამ შეხვედრის საბოლოო შედეგი მაინც იოლად გამოსაცნობი ჩანდა.

"ლოკომოტივის" ტაქტიკა კონტრშეტევებზე იყო აგებული, მაგრამ ახალგაზრდა რკინიგზელები რამდენიმესვლიანი სწრაფი კომბინაციების განხორციელებას ფაქტობრივად, ვერ ახერხებდნენ. სტუმართა თამაშს ტრავმირებული **ლევან ყენიას** არყოფნამ დაასვა დაღი, თუმცა წარმოუდგენელი იყო, "ლოკომოტივის" ტალანტს თამაშის მსვლელობაში გარდატეხა შეეტანა.

მოვლენებს წინ გავუსწროთ და ვთქვათ, რომ ერთადერთი საგოლე შანსი შეექმნა ექსჯორჯიელ **ვლადიმერ გოჩაშვილს** (მეორე ტაიმში **ბედიაშვილმა** აუღო), სხვა ეპიზოდებში იგი ვერ აქტიურობდა, ფხა ვერც მისმა თანაგუნდელებმა გამოიჩინეს.

მიმდინარეობდა 28-ე წუთი, როცა ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკა გელაშვილმა** შეტევის მარცხენა ფრთაზე ცრუ მოძრაობით გვერდი სამ მეტოქეს აუარა და მახვილი კუთხიდან ეფექტური გოლი გაიტანა.

გავიდა ორიოდე წუთი და **გიორგი ბერიაშვილის** ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანით ანგარიშში სხვაობა **ლუკა რაზმაძემ** გაზარდა. მატჩის ბედიც იქვე გადაწყდა.

მარცხს ამ ფაქტს ვერ ნამდვილად დაებრალებენ, მაგრამ ამ ორ გოლში "ლოკომოტივის" მწვრთნელთა და ექიმთა შეუთანხმებელმა ქმედებამაც შეიტანა თავისი წვლილი. საქმე ისაა, რომ პირველი გოლისას და პენალტის დანიშნის ეპიზოდში მოედნის მიღმა სტუმართა დაშავებულ ცენტრალურ მცველ **გუშარაშვილს** თავზე გუნდის სამედიცინო პერსონალი დასტრიალებდა და შესაბამისად, **მინაშვილის** ფეხბურთელები ათი კაცის შემადგენლობით, საკვანძო პოზიციის მოთამაშის გარეშე იბრძოდნენ. გუშარაშვილმა თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, მაგრამ ამის გარკვევას თითქმის ხუთი წუთი დასჭირდა.

მეორე ნახევარი უფრო ქაოსური იყო. იმატა ორმხრივმა შეცდომებმა, განსაკუთრებით ლოკომოტიველთა მხრიდან. თავის გამოჩენის რეალური შესაძლებლობა ხელიდან გელაშვილმა და ბერიაშვილმა გაუშვეს.

ამ უკანასკნელს აქტიურობა ბოლოსღა დაუფასდა, როცა ეფექტური დარტყმით ამ არცთუ შთამბეჭდავ შეხვედრას წერტილი დაუსვა. "ვიტ ჯორჯიამ" ცხრილის ზედა ნაწილში მყოფთა ერთი ნაწილის წაფორხილებით შესანიშნავად ისარგებლა და ევროსაგზურის მოპოვების შანსი შეინარჩუნა.

ლევან ჯანეზაშვილი
მცხეთა-თბილისი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

XXIV ტური

გაგრა-ზესტაფონი 2	**1:1**
მესხეთი-რაქა	**3:0**
ნ. დინამო-ამერი 2	**0:0**
დინამო 2-სპარტაკი	**1:0**
მაღაროელი-მგლები	**1:0**
სამგრელია-ვიტ ჯორჯია 2	**0:0**
მეშახტე-გურია	**0:0**
ოლიმპი-მეშაქრე	**1:0**
მერანული-ჩიხურა 2	**0:0**

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მგლები	23	17	2	4	38-13	53
2. მესხეთი	23	15	4	4	39-13	49
3. ოლიმპი	24	13	4	7	45-24	43
4. მეშაძრე	24	11	8	5	29-20	41
5. ამერი 2	24	10	9	5	34-26	39
6. მაღაროელი	24	10	7	7	33-27	37
7. გაგრა	24	11	3	10	33-29	36
8. ვიტ ჯორ. 2	24	10	6	8	36-21	36
9. დინამო 2	24	9	7	8	44-24	34
10. სამგრელია	23	8	7	8	23-31	31
11. ნ. დინამო	22	9	3	10	30-31	30
12. მეშახტე	22	8	5	9	30-29	29
13. ზესტაფ. 2	22	7	8	7	22-18	29
14. ჩიხურა 2	23	6	5	12	21-37	23
15. სპარტაკი	24	6	3	14	13-34	21
16. რაქა	22	5	6	11	22-37	21
17. გურია	24	5	5	14	23-51	20
18. მერანული	23	2	4	17	14-61	10

ოლიმპი-მერანი

1:0

31.03. რუსთავი. ფოლადი
6000 მაყურებელი

ლ. გრიგალაშვილი (55. საკ. კარში)

ოლიმპი: ალავიძე - მახვილაძე, ონიანი, ჭიჭვეიშვილი - სეთურიძე, ძამსაშვილი, აფციაური, ნავალოვსკი (77. ხუბუა), - კახელიშვილი (46. ქებაძე), გოცირიძე, დვალიშვილი (88. ბერუაშვილი)

სათადარიგოში: მერლანი, ჩხარტიშვილი.

მერანი: გლუნჩაძე - კედელაშვილი, აფშილავა, ლ. გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი - ზედელაშვილი (76. კეტაშვილი), ქემაშვილი, ფურთუხია (66. გიგა ბურჯანაძე), კობერიძე - ჩივაძე - ნოზაძე (56. დეისაძე).

სათადარიგოში: ლომიძე, დათუნაშვილი, ნეფარიძე, ნაკანი.

გაფრთხილება: კედელაშვილი (75), დვალიშვილი (85). არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი).

არბიტრი: ო. ხეცაძე

თამაშამდე წუთიერი დუმილით ფეხბურთელებმა საქართველოს პირველ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** ხსოვნას მიაგეს პატივი.

რეზო ძოძუაშვილი კლაუს ტოპმოლერს რომ ურჩევს, იმ ტაქტიკურ სქემას საკუთარ გუნდში რეალურად ახორციელებს - მეორე წრეში "ოლიმპი" უმთავრესად სამი ცეტრალური მცველით თამაშობს და საკმაოდ საიმედო დაცვითაც გამოირჩევა. ფლანგის მოთამაშეები ვითარების მიხედვით მცველისა და ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებენ.

ერთი შეხედვით, ძოძუაშვილის ტაქტიკა მარტივია - ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ტანმაღალი თავდამსხმელებისკენ მიემართება და თითქოს, ასეთი თამაშის წინააღმდეგ კონტრზომა იოლი მოსაფიქრებელია. თუმცა ნებისმიერ ტაქტიკაში მთავარი არა ტაქტიკა, არამედ შემსრულებლებია, რომელთა დეფიციტსაც "ოლიმპი" არ განიცდის. მსგავსი გრძელი სკამით ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის.

"მერანის" ახალმა მწვრთნელს, **ასლან ბალაძეს** ჯერ ხეირიანად საკუთარი გუნდის შესასწავლი დრო არ ჰქონდა, არათუ მეტოქის. ამიტომაც, "მერანს" ლიდერთან ტოლ-სწორად თამაში გაუჭირდა. მასპინძლები ძალიან კარგად უტევდნენ და ანგარიშმა არ მოგატყუოთ - "ოლიმპმა" ძალიან ბევრი მომენტი შექმნა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ იხეირა.

მე-6 წუთი: **ძამსაშვილის** უძლიერესი დარტყმის შემდეგ გლუნჩაძემ ივაჟკაცა. ეს მოთელვა იყო. მერე და მერე მან კიდევ ბევრჯერ გამოიჩინა თავი.

მე-7 წუთი: მეკარე ამჯერად **სეთურიძის** დარტყმულს გადაეფარა.

მე-13 წუთი: **დვალიშვილის** დარტყმული მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.

69-ე წუთი: **ნავალოვსკის** ჩანოდებულს დვალიშვილმა თავი დაახვედრა, მაგრამ **გლუნჩაძემ** ისევ საოცარი რეაქცია გამოავლინა.

ორიოდე წუთში იგივე განმეორდა - ისევ ნავალოვსკი, კვლავ დვალიშვილის თავური და გლუნჩაძის საოცრებები.

ძალიან აქტიურები და სასარგებლოები იყვნენ ფლანგის მოთამაშეები. სეთურიძემ დასაწყისში ერთი ისეთი დაარტყა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ გლუნჩაძე იდგა საიმედოდ. ეს პატარა ბიჭი აქეთ-იქით იმდენჯერ გადახტა, სახლში გვარიანი დალურჯებული წავიდოდა.

ძალიან აქტიური და სასარგებლო იყო ნავალოვსკი. ძნელი ასახსნელია, პერსპექტიული მცველი "დინამომ" ასე იოლად როგორ გაუშვა, მაგრამ ამით "ოლიმპმა" რომ იხეირა, ორი აზრი არაა. მარცხენა ფლანგიდან გიორგიმ "მერანი" აიკლო და გოლიც მის გარღვევას მოჰყვა. ნავალოვსკიმ საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი, სტუმართა მცველი **ლევან გრიგალაშვილი** შეცდა და მოგერიების ნაცვლად, ბურთი საკუთარი კარის ცხრიანში ჩაჭრა - 1:0.

77-ე წუთზე ჩვენი სტადიონებისთვის უჩვეულო და უცნაური ფაქტი დაფიქსირდა: ნავალოვსკი გამუდმებული შეტევებით დაიღალა, შეცვალეს და მაყურებელმა ტაშით გააცილა. ისე შევეჩვიეთ ცარიელი ტრიბუნებს, შევსებული სტადიონი და ტაში სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

"ოლიმპმა" ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოიყენა, რასაც მარტო მოთამაშეებს ვერ დავაბრალებთ. სეთურიძე ჩიოდა, ასეთ მოედანზე რაღაცის გასაკეთებლად ორი-სამი შეხება რომ გჭირდება, ხარისხიან საფარზე იმავეს ერთი შეხებით გააკეთებო.

ასეა, ხარისხიანი მოედანი "ოლიმპსაც" სჭირდება და ზოგადად, ქართულ ფეხბურთს. ასეთ შემთხვევაში, მაყურებელი ჩემპიონატისადმი მეტ ინტერესს გამოიჩენს, რადგან კარგ საფარზე გაცილებით ლამაზი ფეხბურთის ჩვენებაა შესაძლებელი.

დაბოლოს, შაბათს საქართველოს ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონის, **გელა კეტაშვილის** ვაჟის, **გიორგის** დებიუტი ვიხილეთ. "მერანის" მეპატრონე **დილარ ხაბულიანს** მისი იმედი აქვს, ნამდვილი ტალანტიაო.

მოგებულებს არ ასამართლებენ

მატჩის შემდეგ

ასლან ბალაძე ("მერანის" მთავარი მწვრთნელი): "ეტყობა, ლიდერთან შეხვედრამ მოთამაშეები შებორკა. შედეგითაც უკმაყოფილო დავრჩი და თამაშის ხარისხითაც. ჩვენთან ყველაფერი გამოსასწორებელია. საკმაოდ კარგი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ დიდი სამუშაოა გასანევი. თანაც, ლიდერი გვიჭირდება. ასეთად ვალერი გაგუა მიმაჩნია, მისი იმედი მაქვს, მაგრამ რატომღაც დღეს ის ჩვენთან არაა. საერთოდ, ფორმიდან ამოვარდნილი ავტორიტეტი მოედანზე მაინც საჭიროა, რადგან შეიძლება რაღაც ერთი გააკეთოს და თამაში მოგაგებინოს. ბათუმის "დინამოში" ასეთი იყო ტულუში. სხვათა შორის, ზესტაფონში ძალიან სასიამოვნოდ გამაოცა ჩივაძემ. მოუმზადებელია, მაგრამ პოტენციალი გააჩნია. ეგაა, ჩელებაძესავით თავდამსხმელი გვჭირდება."

რევაზ ძოძუაშვილი ("ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი): "კარგია, მომენტებს რომ ვქმნით, მაგრამ რეალიზაცია არ გვივარგა და ეს მანერვიულებს. მამშვიდებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. დღეს ჩვენ არ ვთამაშობდით, უფრო ვჭიდაობდით. ასლანის მსგავსად, ჩვენც ძლიერი გოლეადორი გვჭირდება. ასლან, ასეთი თუ გამოჩნდება, იმედია, დაგვითმობთ. თქვენ ჩელებაძე, ჩვენ - შენგელია, ურიგო არ იქნებოდა."

მერაბ მამულაშვილი
რუსთავი-თბილისი

რუსთავში სტადიონს არემონტებენ

წესითა და რიგით, მალე საქართველოში კიდევ ერთი ლამაზი და კოხტა სტადიონი უნდა აშენდეს. უფრო ზუსტად, საუბარია რუსთავის "ფოლადის" რეკონსტრუქციაზე, რომელზეც "ოლიმპი" თამაშობს.

სტადიონზე სამუშაოები გაზაფხულის დადგომისთანავე დაიწყო. აღმოსავლეთი ტრიბუნების ნაწილზე ბეტონი ჩაასხეს და ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას მალე დაიწყებენ.

რუსთავის "ოლიმპის" პრეზიდენტი **ბადრი ქარქაშაძე** დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის: *"რეკონსტრუქცია დაიწყო და დარწმუნებული ვარ, მალე რუსთავში თანამედროვე სტადიონი გვექნება. ყოველ ორშაბათს რეკონსტრუქციის თაობაზე სტადიონზე კრებები იმართება, რომელსაც მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა ესწრება.*

ძალიან სერიოზული გეგმები განხორციელდება. წესითა და რიგით, ინდივიდუალური სკამები აპრილის ბოლოსთვის დამონტაჟდება. იტალიიდან უკვე 6 000 პლასტმასის სკამია ჩამოტანილი. ძველებური რაოდენობით მაყურებელი ვეღარ დაეტევა, რადგან უეფას სტანდარტების თანახმად, რიგებს შორის გარკვეული მანძილი უნდა იყოს.

ამას გარდა, დამონტაჟდება ახალი ტაბლო და განათების სისტემა. წინასწარი მონაცემებით, მისი სიმძლავრე 1 000 ლუქსამდე უნდა იყოს. უკვე აშენდა ახალი სველი წერტილები, გასახდელებიც მოწესრიგდა. ჩვენი მიზანია, ევროთასებზე გასვლის შემთხვევაში, მეტოქეს საკუთარ სტადიონზე ვუმასპინძლოთ და არა თბილისში. ეს რეალურად მეჩვენება".

რუსთავის "ფოლადთან" ერთად, მალე "მერანის" სტადიონიც უნდა გაიხსნას. კლუბის პრეზიდენტმა, **დილარ ხაბულიანმა** გვითხრა, რომ მშენებლობა, ფაქტობრივად, დასრულებულია. ეგაა, რომ მოედანზე ნაადრევად შესვლით, ბალახის გაფუჭება არ გვსურსო.

დილარ ხაბულიანი

მერაბ მამულაშვილი

ჩიხურა-ზესტაფონი

0:0

31.03. გორი. ქართლი
100 მაყურებელი

ჩიხურა: სტურუა-ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ქუხილავა-ბუცხრიკიძე, ი.ზაბახიძე (46. გვეტაძე), ქუცურუა, მახარაძე-გ. მიქაძე (69. მ. მიქაძე), დვალი

სათადარიგოები: დოლაძე, სტეფანიშვილი, ვ. ზაბახიძე

ზესტაფონი: ჭანტურია-ღონღაძე, თოდუა, საჯაია, ნოზაძე (59. იონანიძე)-დოღონაძე (46. ნ. კვასხვაძე), რ. ონიანი, ჟონატასი, ვიეირა (85. ლეანდრო)-ფიფია, გ. ჩხეტიანი

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ჩოხელი, სანაია, სანტოსი

გაფრთხილება: დვალი (32), მახარაძე (60), ვიეირა (80), ონიანი (88)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

რაჭიმ ვერ გაიჭანეს გოლი?

ქართლზე პატარა კარი ჭოფილა

საჩხერის სტადიონზე არსებული პრობლემების გამო იმერული დერბი გორში, „ქართლზე" გაიმართა. ერთ-ერთი აუტსაიდერისა და ერთ-ერთი ლიდერის შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა, რასაც გარკვეულწილად კარგმა ამინდმაც შეუწყო ხელი. ორივე გუნდისათვის ნებისმიერ ქულას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და მეტოქეებმაც ურთიერთს ტოლი არ დაუდეს. მთელი მატჩის განმავლობაში უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე. მართალია ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ საკმაოდ მწვავე და სახიფათო კონტრიერიშები გამოსდიოდათ ნომინალურ მასპინძლებს.

პირველი აღსანიშნი სახიფათო მომენტი "ზესტაფონის" კართან შეიქმნა - **გიორგი მიქაძის** მიერ შორი მანძილიდან დარტყმული **ჭანტურიამ** გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. ძლიერი და სახიფათო დარტყმებით ყველაზე მეტად "ზესტაფონის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ვიეირა** გამოირჩეოდა, ვინც ამ გზით მასპინძელთა გუნდი რამდენჯერმე ანერვიულა. 27-ე წუთზე მისი დარტყმული მცველებს რომ არ მოეგერიებინათ, გოლიც გავიდოდა. საპასუხოდ რამდენიმე წუთში მიქაძემაც ცადა შორეული და ძლიერი დარტყმით გოლის გატანა, მაგრამ „ზესტაფონის" გოლკიპერი ისევ შეუვალი იყო. იმავე მიქაძესთან ერთად ზესტაფონელებისთვის განსაკუთრებულ თავისტკივილად **ჯაბა დვალი** იქცა. საჩხერელთათვის სამწუხაროდ, დვალს ძირითადად ინდივიდუალური ოსტატობით უწევდა ფონს გასვლა და თანაგუნდელებს რომ სათანადოდ აებათ მხარი, შესაძლოა, „ჩიხურას" ეხეირა კიდეც.

მიუხედავად ტერიტორიულ უპირატესობისა, სტუმრები საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდნენ. **თემურ მახარაძის** შეგირდების მცდელობა უშედეგო უპირველეს ყოვლისა, უზუსტო დარტყმების გამო გახლდათ. ტაიმის ბოლოს სტუმართაგან **ზვიად სტურუას** კარის აღება ოცდახუთი მეტრიდან ისევ სამხრეთამერიკელმა ვიეირამ სცადა, თუმცა დარტყმული მცირედით უზუსტო აღმოჩნდა...

მეორე ტაიმშიც ბურთს ძირითადად ისევ ზესტაფონელები ფლობდნენ, სახიფათოდ კი შეხვედრის მეორე ნახევარში პირველად საჩხერელებმა შეუტიეს - 59-ე წუთზე **ქუცურუას** გარღვევას გამჭოლი გადაცემა მოჰყვა, ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა მიქაძემ კი ბურთი კარის მიმართულებით გადაგზავნა, მაგრამ კარის ხაზთან მდგარ ჯაბა დვალს მოარტყა. უკმაყოფილო მახარაძემ შეტევის გაძლიერება გადაწყვიტა და მოედანზე **იონანიძე** შეუშვა. იგრძნეს რა, რომ დაგეგმილი სამი ქულა ხელიდან ეცლებოდათ, ზესტაფონელებმა დაწოლა გააძლიერეს, მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე და ენერგიულად ცდილობდნენ სტურუას კარის დალაშქვრას, მაგრამ აღსანიშნავია „ჩიხურას" დაცვის კარგი თამაში. ერთ მომენტში სწორედ მასპინძელთა მცველმა გამოიტანა კარის ხაზიდან თავით ვიეირას მიერ უძლიერესად დარტყმული ბურთი. ზესტაფონელებს იმდენად სურდათ გოლის გატანა, რომ **ონიანმა** მატჩის მიწურელს „მარადონას სტილში" ხელითაც კი გადაგზავნა ბურთი კარისკენ, რომელიც, რა თქმა უნდა, არ ჩაითვალა, თუმცა ამ დღეს, როგორც ჩანს, „ზესტაფონს" „ღმერთის ხელიც" ვერ უშველიდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე **თემურ მახარაძე** საკმაოდ გაღიზიანებული გახლდათ და საუბრისას მხოლოდ მოედნის მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება: „მოედანი არასტანდარტულია, არც მისი საფარია ნორმალურ მდგომარეობაში, რამაც ხელი შეგვიშალა სასურველი შედეგის მიღწევაში"

ვახტანგ თურმანიძე კი კმაყოფილი ჩანდას შედეგით: „მატჩით კმაყოფილი ვარ. ჩვენმა ბიჭებმა ყველაფერი კარგად გააკეთეს. ამ თამაშში მოგებაც შეგვეძლო. ახლადშექმნილი გუნდი გვყავს და ამის მიუხედავად ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ"

გიორგი ედიშერაშვილი
გორიდან

ივარჯიშებს ესპანეთი თბილისში?

ეროვნული ნაკრები

ფიფამ საზაფხულოდ ესპანეთი შეგვირჩია

შაბათს "ლელო" საქართველოს ნაკრების ბრაზილიასა და არგენტინასთან ამხანაგური შეხვედრების ჩატარების შესაძლებლობაზე იუწყებოდა. მხარეებს შორის მოლაპარაკებების მიმდინარეობა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამაც** დაადასტურა.

გუშინ კი ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე საერთაშორისო შეხვედრების კალენდარში ამოვიკითხეთ, თითქოს 22 აგვისტოს საქართველო თბილისში ესპანეთს მასპინძლობს.

ძალიან კარგი და სასიხარულო იყო ეს ინფორმაცია, მაგრამ საკმაოდ დაუჯერებელიც, თუკი მატჩის ჩატარება შეთანხმებულია, რა იყო ამაში დასამალი?

უჩა უგულავას პასუხმა ჩვენი ვარაუდი გარკვეულწილად, დაადასტურა კიდეც.

"ესპანეთს ვხვდებით? რომ ვხვდებოდეთ, ეს მე აუცილებლად მეცოდინებოდა. დასამალი რაა, მოლაპარაკება გვქონდა, მაგრამ იმხელა თანხა მოითხოვეს, რასაც ვერ გადავიხდიდით. იმ დროს ესპანელებს სხვასთანაც ჰქონდათ მოლაპარაკება და ჩავთვალეთ, რომ უფრო რეალური პარტნიორის მოძებნა გვიღირდა. ეტყობა, ესპანელები ჩვენს პასუხს ისევ ელიან. თამაში გამორიცხული არაა, მაგრამ ჯერ ასეთი შეთანხმება არ არსებობს. მე ის მიკვირს, ასეთ გადაუმონმებელ ინფორმაციას ფიფას ოფიციალური ვებგვერდი რომ ავრცელებს".

მერაბ მამულაშვილი

ზესტაფონი გადათამაშებას ითხოვს

ქართლზე პატარა კარებიაო...

"ზესტაფონის" წარმომადგენლებს "ჩიხურასთან" მატჩამდე ეჭვი გაუჩნდათ, რომ "ქართლის" სტადიონზე კარების ზომები სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. შეხვედრის შემდეგ მათ სფფ-ის დამკვირვებლისა და მატჩის დელეგატის თანდასწრებით, ზომები აიღეს და ეჭვი საფუძვლიანი აღმოჩნდა, საერთაშორისო ნორმებთან შეუსაბამობამ 7-10 სანტიმეტრი შეადგინა.

იმერული კლუბის ხელმძღვანელთა უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტურ მტკიცებულებებს დამკვირვებელმა და დელეგატმა ხელი არ მოაწერეს.

"ზესტაფონი" პროფლიგისგან მატჩის შედეგის გაუქმებასა და გადათამაშებას ითხოვს.

ლოკომოტივი

მინაშვილის მატარებელი ჭაბუკებში გაჩერდა

კიკნაძემ სეზონში მესამე გუნდი ჩაიბარა



გიორგი კიკნაძე

თბილისის "ლოკომოტივში" მთავარი მწვრთნელი მაინც შეიცვალა. ინფორმაცია, რომელიც ორი კვირის წინ "ლელომ" გაავრცელა, მაშინ არ დადასტურდა, მაგრამ რეალურ ცნობებს რომ ემყარებოდა, ახლა გახდა ცხადი.

მე-18 ტურში "ლოკომოტივი" "ვიტ ჯორჯიასთან" გასვლით მატჩში 0:3 დამარცხდა. თამაშის შემდეგ კი გუნდის მეპატრონეებმა მთავარი მწვრთნელი **ამირან მინაშვილი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ინფორმაცია "ლოკომოტივის" გენერალურ დირექტორ **დიმიტრი ობოლაძესთან** გადავამოწმეთ: "დიახ, "ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრის შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ. თუმცა ამირან მინაშვილმა "ლოკომოტივში" დიდი მუშაობა გაწია და მისი საერთოდ გაშვება მიზანშეუწონლად ჩაითვალა. მას ჩვენი ჭაბუკთა ლიგის გუნდი ჩავაბარეთ".

ობოლაძის თქმით, ამიერიდან "ლოკომოტივს" **გიორგი კიკნაძე** გაწვრთნის, რომლის ასისტენტადაც **ზაზა ზამთარაძე** იმუშავებს. კიკნაძეს გუნდს დღეს 12.00 საათზე წარუდგენენ.

"რადგან გუნდი მძიმე სატურნირო მდგომარეობაში ჩავარდა, რაღაც უნდა შეგვეცვალა. გიორგი კიკნაძე ნიჭიერი სპეციალისტია და ვფიქრობთ, მას შეუძლია ვითარების შეცვლა", - გვითხრა ობოლაძემ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე წლეულს უკვე ორ გუნდს წვრთნიდნენ. დალაგებულ ვითარებაში რუსთავის "ოლიმპი" დებიუტანტმა მწვრთნელებმა პირველ ადგილზე აღაზევეს. მეორე წრე ქუთაისის "ტორპედოში" დაიწყეს, მაგრამ არეულ-დარეულ გარემოში მუშაობა უაზრობად ჩათვალეს.

გუნდში ერთ სეზონში გაშვებული ხუთი მწვრთნელი კი გვახსენდება. თუმცა, კიკნაძე პირველი ქართველი სპეციალისტია, რომელმაც ერთ სეზონში მესამე გუნდი ჩაიბარა და ამით რეკორდი დაამყარა.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 — ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე ძეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუქმებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

იაშვილმა (მარჯვნივ) კიდევ ერთი გოლი გაიტანა

ლეგიონი

ფორვარდების კვირა

ამ უძმეებზე ქართველმა ფორვარდებმა იყოჩაღეს, თავად განსაჯეთ, გოლები გაიტანეს: შოთა არველაძემ, ალექსანდრე იაშვილმა, მიხეილ აშვეთიამ და ვასილ გიგიაძემ. პირველის გოლმა "ალკმაარს" ჩემპიონობის შანსი შეუნარჩუნა, მეორისამ - ბუნდესლიგის საგზურზე ოცნება რეალური გახადა, ხოლო გიგიაძემ ამით საკუთარივე შეცდომა გამოასწორა. და კიდევ: თვეზე მეტი იძულებითი შესვენების შემდეგ ფეხბურთს "მიუნხენის" მცველი მათე ღვინიანიძე დაუბრუნდა.

ტრიბუნებიდან

ზურაბ ხიზანიშვილმა თავისი გუნდის განადგურებას "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩში (1:4) "ოლდ ტრეფორდის" ტრიბუნიდან უყურა. შეგახსენებთ, რომ ქართველმა მცველმა ტრავმა შოტლანდიის ნაკრებთან მატჩში ზუსტად იმ ეპიზოდში მიიღო, როცა საქართველოს ნაკრებმა მეორე გოლი გაუშვა. "ბლექბერნი" 40 ქულით ინარჩუნებს მეათე ადგილს. ზოგიერთი იტალიური წყაროს მტკიცების მიუხედავად, "რომასთან" მატჩს მწყობრში ვერ შეხვდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე**. კალაძე განაცხადშიც არ ყოფილა, მატჩი კი 1:1 დასრულდა. "მილანი" მეხუთეზეა 44 ქულით. შესაძლოა, **ანჩელოტის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშეც დარჩეს.

იაშვილის მერვე, მათეს დაბრუნება

ბუნდესლიგაში ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი დათმო **ლევან კობიაშვილის** "შალკემ", მიუნხენის "ალიანს არენაზე" "ბაიერნის" წინააღმდეგ - 0:2. ახლა "შალკე" მეორე ადგილზე მყოფ "ვერდერს" მხოლოდ ორი ქულით უსწრებს. ტრავმის გამო კობიაშვილის თამაში საეჭვო იყო, თუმცა ის მიუნხენში მაინც ვიხილეთ. ქართველმა ლეგიონერმა ნორმალურად ითამაშა, თუმცა შაბათს მისი კლუბი შეტევაში ხეირიანს ვერაფერს ქმნიდა. "შპორტალმა" კობიაშვილის გარჯა, ისევე როგორც სტუმართა უმეტესობისა, 4 ბალით შეაფასა.

მიხეილ აშვეთიას გოლის და "კარლ ცაისის" მორიგი მარცხის შესახებ უკვე მოგითხრეთ. გუშინ მეორე ბუნდესლიგის ტურის სხვა მატჩებიც გაიმართა და ქართული გოლი კვლავ გავიდა. "ფრაიბურგი" აუტსაიდერ "ბრაუნშვაიგს" ესტუმრა და 2:0 გაიმარჯვა. ნაკრებში გატანილ დუბლს ბრაუნშვაიგში ერთი დაუმატა **ალექსანდრე იაშვილმა.** 75-ე წუთზე **მატმურის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ქართველმა გოლად აქცია. "ფრაიბურგს" ამ მოგების შემდეგ 45 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზე იმყოფება. იაშვილს "შპორტალმა" მატჩში საუკეთესო შეფასება, 2 ბალი დაუნერა. მას მართლაც დიდებული სეზონი აქვს, 25 მატჩში 8 გოლი და 12 საგოლე პასი დაუგრავდა. **ოთარ ხიზანეიშვილმა** მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ამიტომ დააკლდა გუნდს. 18 თებერვლის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **მათე ღვინიანიძე**. მათე ესენში "როტ ვაისთან" 2:0 დასრულებული მატჩში მე-80 წუთზე ჩაერთო. **დავით სირაძის** "აუე" "აუგსბურგთან" 0:3 დამარცხდა და ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლას ჩამოშორდა. ქართველმა ფორვარდმა სრულად ითამაშა. სირაძის თამაში 3,5 ქულით შეაფასეს.

არველაძის მეცამეტე გაელვება

"ვაალვიკთან" მატჩის 24-ე წუთზე **შოთა არველაძემ** გახსნა ანგარიში, რომელმაც ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგი ტურისთვის გამოჯანმრთელება დროულად მოახერხა. შემდეგ **იენერმა** კიდევ ერთი გაიტანა და აზ-ს საჩემპიონო შანსი შეუნარჩუნდა - 2:0. ქართველმა ფორვარდმა ჩემპიონატში მე-13 გოლი გაიტანა, მის ანგარიშზე 6 საგოლე პასიცაა. "ალკმაარი" 63 ქულით მესამეა, ის "ეინდჰოვენს" ხუთი, ხოლო "აიაქსს" ორი ქულით ჩამორჩება. **ვან გაალმა** შოთა მატჩის 65-ე წუთზე შეცვალა.

საბერძნეთში სპორტი გააუქმეს

დანიაში **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი" გაანადგურეს. "ნიდერზელანდთან" 1:4 მარცხში ქართველი მცველი სასტარტოში იყო. "ვიბორგი" 22 ქულით 12-გუნდიან სუპერლიგაში მეცხრე ადგილზეა. საბერძნეთში ყველა სპორტული ღონისძიება გადაიდო. მიზეზი ქალთა ფრენბურთის მატჩისას მომხდარი ტრაგედიაა, ფანებს შორის შეტაკებაში "პანათინაიკოსის" ერთ-ერთი გულშემატკივარი გარდაიცვალა, ხოლო 12 დაიჭრა. 13 აპრილამდე საბერძნეთში საფეხბურთო მატჩები გაუქმებულია. კვიპროსში თასის მეოთხედფინალში, **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისმა" 1:0 დაამარცხა "აპოელი", გოლი **ფრუსოსმა** გაიტანა, ქართველმა მწვრთნელმა კი არ ითამაშა.

მხოლოდ ნალჩიკელები

რუსეთის ჩემპიონატში მესამე ტურის მატჩები გაიმართა, რომელშიც რუსეთში მოთამაშე შვიდი ქართველიდან მხოლოდ ნალჩიკის "სპარტაკის" ქართულმა დუეტმა ითამაშა - "ყუბანთან" გასვლით მატჩში (2:2). **ალეკო ამისულაშვილმა** სრულად იასპარეზა (გააფრთხილეს), ხოლო **ლევან გვაზავამ** მატჩის ბოლო 13 წუთი ითამაშა. საქართველოს ნაკრებში ნათამაშებ **დავით მუჯირსა** და **ლაშა სალუქვაძეს** არ უთამაშიათ.

ანტიგმირობას გადაურჩა

გიორგი ციმაკურიძის ახლანდელმა გუნდმა საჭირო ორი ქულა დააკარგვინა მის ყოფილ კლუბ "შახტიორს", თუმცა გიორგი მხოლოდ სათადარიგო იყო "ილიჩივეცის" რიგებში და თამაშის ბოლომდეც სათადარიგო დარჩა. კიეველებმა ხარკოვში 2:0 მოიგეს, თუმცა "დინამოს" ქართველობიდან მხოლოდ **კახა ალადაშვილი** იყო განაცხადში და ისიც მხოლოდ სათადარიგო. კიევში ყოფილი კლუბის წინააღმდეგ არ უთამაშია **ჯაბა კანკავას,** მას დისკვალიფიკაცია არ მოუხდია ჯერ. მასპინძელთა შორის იყო **ლაშა ჯაკობია,** რომელიც 74-ე წუთზე გააფრთხილეს.

კრივოი როგში მორიგი გოლი გაიტანა **ვასილ გიგიაძემ,** რომელიც კინაღამ მატჩის ანტიგმირი გახდა. ზაპოროჟიელებთან მატჩის მე-18 წუთზე მან პენალტი ვერ გაიტანა (მეკარემ აუღო). 79-ე წუთზე სტუმრებმა გაიტანეს, თუმცა 83-ე წუთზე გუნდს ისევ ქართველმა კაპიტანმა უშველა - გიგიაძემ დამატებაზე გაიტანა დაახლოებით სამი მეტრიდან. ქართველთა ფორვარდმა სეზონში მეათე გოლი გაიტანა. **ლადო ბურდულმა** სრულად ითამაშა. სტუმართა რიგებში კი **დავით კვირკველია** გაისარჯა 90 წუთი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

შოთა არველაძე ანგარიშს ხსნის

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სეზ. სტატ.
ინგლისი				
პრემიერლიგა, XXXI ტური				
ზურაბ ხიზანიშვილი	მანჩესტერი-ბლექბერნი	4:1	არ უთამაშია, ტრავმა	17 თ, 0 გ.
იტალია				
სერია A, XXIX ტური				
კახა კალაძე	რომა-მილანი	1:1	არ უთამაშია, ტრავმა	12 თ, 1 გ.
გერმანია				
ბუნდესლიგა, XXVII ტური				
ლევან კობიაშვილი	ბაიერნი-შალკე	2:0	90 წუთი	22 თ, 3 გ.
II ბუნდესლიგა, XXVII ტური				
ალექსანდრე იაშვილი	ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი	0:2	90 წუთი, 1 გოლი (პენ.)	25 თ, 8 გ.
ოთარ ხიზანეიშვილი	ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი	0:2	არ უთამაშია, ტრავმა	12 თ, 1 გ.
დავით სირაძე	აუგსბურგი-აუე	3:0	90 წუთი	23 თ, 2 გ.
გიორგი ლომაია	კარლ ცაისი-ჰანზა	1:2	90 წთ	8 თ, -9 გ.
მიხეილ აშვეთია	კარლ ცაისი-ჰანზა	1:2	90 წთ, 1 გოლი	8 თ, 4 გ.
მათე ღვინიანიძე	ესენი-მიუნხენი	0:2	10 წთ. (შეცვლაზე)	15 თ, 0 გ.
ჰოლანდია				
ერედივიზიე, XXX ტური				
შოთა არველაძე	ალკმაარი-ვაალვიკი	2:0	65 წთ (შეცვალეს), 1 გოლი	26 თ, 13 გ.
საბერძნეთი				
სუპერლიგა, XXVI ტური				
ლევან ცქიტიშვილი	ატრომიტოსი-პანიონიოსი	-	ტური გადაიდო	15 თ, 2 გ
ლევან მაღრაძე	პოკ-ქსანთი	-	-	19 თ, 0
კვიპროსი				
A დივიზიონი, თასი				
თემურ ქეცბაია	ანორთოსისი-აპოელი	1:0	არ უთამაშია	-
კლიმენტი წიტაიშვილი	აპპ-აელ	2:1	70 წთ (შეცვალეს)	-
ლევან ქეცბაძე	ომონია-ეთნიკოსი	2:1	2 წთ (შეცვლაზე)	-
უკრაინა				
ვიშა ლიგა, XXX ტური				
კახა ალადაშვილი	მეტალისტი-დინამო	0:2	არ უთამაშია, სათადარიგო	6 თ, 0 გ.
ოთარ მარცვალაძე	მეტალისტი-დინამო	0:2	არ უთამაშია	3 თ, 0 გ.
ჯაბა კანკავა	არსენალი-დნიპრო	1:1	არ უთამაშია, დისკვ.	16 თ, 4 გ.
რევაზ ბარაბაძე	არსენალი-დნიპრო	1:1	არ უთამაშია	3 თ, 0 გ.
ილია კანდელაკი	ზარია-ჩერნომორეცი	0:4	არ უთამაშია	17 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	მეტალურგი დ.-კარპატი	-	დღეს	13 თ, 2 გ.
ლადო გურდული	კრივბასი-მეტალურგი ზ.	1:1	90 წთ	18 თ, 1 გ.
ვასილ გიგიაძე	კრივბასი-მეტალურგი ზ.	1:1	86 წთ. (შეცვალეს), 1 გოლი	20 თ, 10 გ.
გიორგი ციმაკურიძე	ილიჩივეცი-შახტარი	1:1	არ უთამაშია, სათადარიგო	13 თ, 0 გ.
დავით კვირკველია	კრივბასი-მეტალურგი ზ.	1:1	90 წუთი	15 თ, 4 გ.
ირაკლი მოდებაძე	კრივბასი-მეტალურგი ზ.	1:1	არ უთამაშია	15 თ, 3 გ.
გიორგი ჟოლიძე	ზარია-ჩერნომორეცი	0:4	68 წთ (შეცვალეს)	4 თ, 0 გ.
ლაშა ჯაკობია	არსენალი-დნიპრო	1:1	90 წთ, გააფრთხ.	9 თ, 2 გ.
რუსეთი				
პრემიერლიგა, III ტური				
გოგიტა გოგუა	ტომი-სატურნი	1:1	არ უთამაშია, ტრავმა	1 თ, 0 გ.
ნუკრი რევიშვილი	რუბინი-ხიმკი	2:1	არ უთამაშია	0 თ, 0 გ.
ლაშა სალუქვაძე	რუბინი-ხიმკი	2:1	არ უთამაშია	2 თ, 0 გ.
დავით მუჯირი	კრილია სოვეტოვი-მოსკვა	0:0	არ უთამაშია	2 თ, 0 გ.
მალხაზ ასათიანი	ცსკა-ლოკომოტივი	2:0	არ უთამაშია, ტრავმა	0 თ, 0 გ.
ალეკო ამისულაშვილი	ყუბანი-სპარტაკი ნ.	2:2	90 წუთი, გააფრთხილეს	3 თ, 0 გ.
ლევან გვაზავა	ყუბანი-სპარტაკი ნ.	2:2	13 წუთი (შეცვლაზე)	3 თ, 0 გ.
პოლონეთი				
ვიშა ლიგა, XXVIII ტური				
გამა ჯიქია	ლეგია-ლკს	2:1	არ უთამაშია	4 თ, 0 გ.
დანია				
სუპერლიგა, XIX ტური				
გიორგი ფოფხაძე	ნიდერზელანდი-ვიბორგი	4:1	90 წუთი	5 თ, 0 გ.

კობიაშვილმა (მარცხნივ) და ალთინთოფმა ლუსიო და ბაიერნი ვერ შეაკავეს

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური

კანის მუშტი მუშტი არაა?

SOS, დორტმუნდი გასავარდნ ზონაშია!

ამ საქციელის გამო კანს მხოლოდ ყვითელი ბარათი მისცეს

"თქვენ ვერასდროს გახდებით გერმანიის ჩემპიონები!" - "ბაიერნის" გულშემატკივრებმა ამ სიტყვებით "შალკეს" ფანები წყობიდან გამოიყვანეს. "ალიანს-არენის" პუბლიკა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სკანდირებდა ზემოთ მოყვანილ ფრაზას და ამ წინადადების ყოველი გამეორება თითოეულ გელზენკირხენელს გულს უკლავდა. ტურის, მეორე წრის და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთლიანად ამ სეზონის ერთ-ერთმა ცენტრალურმა მატჩმა მოლოდინი გაამართლა. ეს იყო ემოციებით დატვირთული, დრამატული შეხვედრა, რომელსაც, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, სკანდალის გარშე არ ჩაუვლია.

"ბაიერნმა" "შალკე" 2:0 დაამარცხა, ანუ იმ ანგარიშით, რაც **ფრანც ბეკენბაუერმა** იწინასწარმეტყველა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუნხენელები უფრო დიდი სხვაობით მოგებასაც იმსახურებდნენ და რომ არა "შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერის** შესანიშნავი თამაში, ბუნდესლიგის ლიდერს და უმთავრეს ფავორიტად ქცეულ "შალკეს" ორ-სამ გოლს კიდევ გაუტანდნენ. ერთი სიტყვით, "რეკორდმაისტერმა" **ლევან კობიაშვილის** გუნდს უჩვენა, თუ როგორ უნდა ითამაშოს გუნდმა, რომელსაც გერმანიის ჩემპიონობა უნდა. არადა, ამ "ბაიერნისაც" ვეღარაფერი გავიგეთ - "რეალი" დაიფრინეს, "ვერდერთან" სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და ძალიან არ გაუმართლათ, სამი ქულა რომ ვერ მოიპოვეს, რის გამოც ყველამ იფიქრა, რომ ბავარიული გიგანტი "ვერცხლის სინის" შენარჩუნებისთვის იბრძოლებდა, მაგრამ მერე ფრანკფურტში, ყველასათვის მოულოდნელად დამარცხდნენ და **ოტმარ ჰიტცფელდიც** იძულებული გახდა ეთქვა, ჩემპიონები ვეღარ გავხდებითო. ახლა კი "შალკეს" ასწავლეს ჭკუა და უკვე ბევრს სჯერა, რომ გერმანიის პირველობაზე "ბაიერნისთვის" არაფერი დამთავრებულა - მიუნხენური კლუბი "შალკეს" 6 ქულითღა ჩამორჩება. კობის გუნდი კი გაურკვეველ სიტუაციაშია - "შალკემ" ბოლო 6 თამაშიდან მხოლოდ 1 მოიგო.

"ვფიქრობ, რომ "ბაიერნი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და სულაც არაა გამორიცხული, რომ ტიტული შეინარჩუნოს!" - ეს სიტყვები რეკორდმაისტერის ყოფილ დამრიგებელ **ფელიქს მაგათს** ეკუთვნის. *"ჩვენ მხოლოდ ქულებს ვაგროვებთ და აღარაფერს ვამბობთ ჩემპიონობაზე. სამაგიეროდ, "ვერდერი" და "შალკე" ჩვენ წინაშე შიშით ძრწიან!"* - ეს კი **მარკ ვან ბომელის** განცხადებაა.

გელზენკირხენელთა თავკაცი **მირკო სლომკა** თამაშის წინ ამბობდა, "ბაიერნის" ნახევარდაცვაში სუსტი წერტილები აღმოვაჩინეო, მაგრამ თამაშმა ცხადყო, რომ მირკომ ან ვერაფერი აღმოაჩინა, ანაც ფეხბურთელებს ვერ აუხსნა წესიერად, რაც აღმოაჩინა. ყოველ შემთხვევაში, თამაშის დროს სუსტი წერტილები მხოლოდ "შალკეს" დაცვაში ილანდებოდა და თანაც ძალიან უხვად. "ხუმარებმა" კი მხოლოდ ერთხელ შექმნეს რეალური მომენტი, როცა **პანდერის** სოლორეიდსა და ჩანდებას **ბაირამოვიჩი** გამოეხმაურა, მაგრამ ააცილა (29-ე წუთი). გოლები? "ბაიერნი" ძალიან სწრაფად, მე-3 წუთზე დანინაურდა: ვან ბომელმა **მაკაის** უპასა, რომელმაც ბურთი 14 მეტრიდან ჩააჭედა ნოიერის ხარიხის ქვეშ. ეს ჰოლანდიელის მე-100 გოლი გახლდათ მიუნხენური კლუბის მაისურით (100-დან 75 ბუნდესლიგაში აქვს გატანილი). 78-ე წუთზე კი **სალიჰამიჯიჩმა ლუსიოს** ჩინებული პასისთვის მადლობა გადაუხადა და მახვილი კუთხიდან შანსი არ დაუტოვა ნოიერს. ნოიერს, რომელიც საუკეთესო იყო გელზენკირხენელთა შორის. ბრაცოს გოლი და **ოლივერ კანის** გადარევა ერთი იყო - "ვულკანმა" ტრადიციულად მუშტები იქნია და დიდხანს, ძალიან დიდხანს ღრიალებდა. მასაც სჯერა, რომ "ბაიერნს" "ვერცხლის სინისკენ" მიმავალ მატარებელზე ჯერ არ დაუგვიანია.

გადავიდეთ სკანდალზე. 68-ე წუთზე "ბაიერნის" საჯარიმოში კანმა და **სიმონ ლარსენმა** ბურთისთვის იბრძოლეს, რის შემდეგაც ოლი გააფთრებული წამოუხტა დანიელს და სახეში მოსდო - აყლაყუდა ლარსენი წამსვე მინდორზე გაიშხლართა. აბსოლუტურად ყველა ექსპერტი თანხმდება იმაზე, რომ "ბაიერნის" კაპიტანი წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა **ფანდელმა** მას მხოლოდ გაფრთხილება მისცა, რამაც ნამატჩევს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. შხაპის მიღების შემდეგ ლარსენი და კანი კატკამობებში ერთმანეთს შეხვდნენ, დანიელმა სახეზე მიიფარა ხელები, ნიშნად იმისა, რომ თავს იცავდა, კანმა კი უსიტყვოდ ჩაუარა "შალკეს" მე-9 ნომერს. *"ძალიან მაგრად ჩამარტყა. არ ვიცი, რატომ არ გააგდეს! და რაც მთავარია, თამაშის მერეც არ მომიხადა ბოდიში,"* - ჩივის ლარსენი. სხვათა შორის, ოლის არც ბეკენბაუერი ამართლებს: *"მოედანზე ასეთი რამ არ უნდა მოხდეს! არ ვიცი, რა დაემართა ოლის. როგორც ჩანს, დოპინგსკანდალის შემდეგ ძალიან ანერვიულებულია,"* - განაცხადა კაიზერმა.

"ასეთი რამ "შალკეს" ფეხბურთელს რომ გაეკეთებინა, მაშინვე მოედნიდან მიაბრძანებდნენ," - ბრაზობს სლომკა. ჰიტცფელდმა ტელეკომპანია DSF-ის პირდაპირ ეთერში ოლის საქციელი ძალიან სასაცილოდ ახსნა, კანი ლარსენს ეხუტებოდაო. ოტმარის ამ სიტყვებზე სლომკას სიცილი აუტყდა, ვერაფერს იტყვი, ძალიან საინტერესო მოსაზრებააო. გადაცემა "არენის" წამყვანმა **ოლვერ ვალკემ** კი დასძინა: *"თუ ეს ჩახუტების მცდელობა იყო, მაშინ კანის საცოლე ძალიან მეცოდება."* განრისხებული გახლდათ "შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიულერიც**: *"ყვითელი ბარათი დაცინვა იყო. ფანდელმა უნდა აღიაროს, რომ კანის მოედნიდან გაძევების ვაჟკაცობა არ ეყო."* და რას ამბობს თვითონ მსაჯი? - *"ყვითელი ბარათის მიცემაც შემეძლო და წითელისაც. მე ყვითელი ავირჩიე!"* მატჩის შემდეგ სალიჰამიჯიჩი და კანი "შალკეს" კაპიტან **მარსელო ბორდონთან** წაკინკლავდნენ. ისინი სლომკამ გააშველა. აქვე გეტყვით, რომ ფუშინ კანმა თქვა, მომდევნო სეზონის შემდეგ კარიერას ვამთავრებ, ასე რომ, "ბაიერნთან" კონტრაქტს არ გავაგრძელებო.

მოკლედ, "ბაიერნმა" ჩინებული საჩუქარი გაუკეთა "ვერდერს", რომელსაც "კოტბუსის" დამარცხება მართებდა იმისათვის, რომ გალიდერებულიყო. მაგრამ ბრემენელებმა ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ აღმოსავლელებს ერთი გოლიც კი ვერ გაუტანეს და 0:0-ს დასჯერდნენ. ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ბრემენული კლუბი ქულებს უაზროდ ანიავებს. 22-ე და 23-ე ტურებში, გეხსომებათ, "შალკემ" ჯერ "ვოლფსბურგს" ვერ მოუგო (2:2), მერე კი "ლევერკუზენთან" დამარცხდა (0:1) და "მუსიკოსებს" გელზენკირხენული გუნდის წაფორხილების სათავისოდ გამოყენება მაშინაც შეეძლოთ, მაგრამ "ჰამბურგთან" წაგეს (0:2), მერე კი მაჩანჩალა "გლადბახსაც" აჩუქეს ქულა (2:2). ახლა კი ფრე "კოტბუსთან" და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ვერდერმა" "ენერგის" ვერც პირველ წრეში მოუგო (1:1).

გადახედეთ სტატისტიკას - ბურთის ფლობა 73%-27% "ვერდერის" სასარგებლოდ, კარში დარტყმა: 22-8 ასევე "ვერდერის" სასარგებლოდ. "კოტბუსი" თავს 11 კაცით იცავდა და ბოლომდე დაიცვა კიდეც. 63-ე წუთზე "ენერგის" თავკაცმა **ზანდერმა** ორივე ფორვარდი მოედნიდან გაიყვანა და მათ ნაცვლად მცველი და ნახევარმცველი შეუშვა - მთლად ლამაზი საქციელი ვერ იყო, მაგრამ ბუნდესლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში ნებისმიერი ხერხით ბრძოლა გამართლებულია. "ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზემ** კოტბუსელებს შეუტია, ისე ითამაშეს, როგორც მე-8 ლიგის გუნდები თამაშობენო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს - მთავარია, რომ "კოტბუსმა" ამ სეზონში "ვერდერს" ქულები უკვე მეორედ დააკარგვინა. ყველაზე რეალური შანსი ბრემენელთაგან **პერ მერტეზაკერს** ჰქონდა, რომელმაც ხუთი მეტრიდან თავით დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. მატჩის მიწურულს კი "ვერდერს" გაუმართლა - ვიზემ ორჯერ **შაოს** აუღო, მერე კი **გუნკელის** დარტყმაც მოიგერია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ თამაშის შემდეგ **ტორსტენ ფრინგსმა** განაცხადა, ხელმძღვანელებს უკვე ვაცნობე, რომ "იუვენტუსთან" მოლაპარაკებებს ვაწარმოებო და იქვე დაამატა, "ვერდერის" ფანებმა მაპატიონ, მაგრამ ეს ჩემთვის ბოლო შანსია, რომ ძალები გერმანიის საზღვრებს გარეთაც მოვსინჯოო.

"შტუტგარტი" "ალემანიას" მასპინძლობდა და შვაბებს მინი-კრიზისის (მხოლოდ 2 ქულა ბოლო 4 თამაშში) დასრულება უნდოდათ. მაგრამ ვის უნდა გაეტანა გოლები აახენელთა კარში? როგორც იცით, **მარიო გომესი** ტრავმირებულია. შვაბთა თავკაცმა **არმინ ფეემ** დაამტკიცა, რომ კარგი ყნოსვა აქვს. გომესის ნაცვლად მან სასტარტოში **მარკო შტრელერი** გაამწესა. ფეემ მატჩის წინ თქვა, მარკო დღეს აუცილებლად გაიტანსო და ისე აგიხდეთ ყველაფერი: შვეიცარიელმა 30-ე წუთზე გახსნა ანგარიში. 59-ე წუთზე აახენელებმა წონასწორობა აღადგინეს, რის შემდეგაც ფეემ შტრელერი **ბენი ლაუთით** შეცვალა და თამაშში ჩართვიდან ზუსტად 5 წუთში ამ უკანასკნელმა "შტუტგარტი" ისევ წინ გაიყვანა. ბოლოს "ალემანიას" **კაკაუმაც** გაუტანა და ამრიგად, შვაბები მესამე ადგილზე დარჩნენ.

უბედური კაცია **თომას დოლი**. "ჰამბურგთან" ერთად გასავარდნ ზონაში იყო, გააგდეს და გუნდი ფსკერიდან ამოვიდა. დანიშნეს "დორტმუნდში" და ახლა "ბორუსიაც" გავარდნის კანდიდატია. დიახ, დორტმუნდის "ბორუსია" გასავარდნ ზონაშია - პარასკევს BVB ბილეფელდში დამარცხდა (0:1)! როგორც გაირკვა, დოლმა **ლარს რიკენი** და **ფლორიან კრინგე** მოყვარულთა გუნდში გადაისროლა. მიზეზი? რიკენი იმიტომ, რომ მოედანზე შესვლის შემდეგ თამაშის სურვილი არ ეტყობოდა. კრინგეს კი სათადარიგოთა სკამზე რაღაც ჩაუდენია. "დორტმუნდის" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ამბობს: *"განავალში ვართ! ფეხბურთელებს გუნდი ფეხებზე ჰკიდიათ!"* სადამდე დაეცა "დორტმუნდი"...

მომდევნო ტური

7 აპრილი. **ჰანოვერი-ბაიერნი, ალემანია-ბორუსია (დ), ჰამბურგი-შტუტგარტი, შალკე-ბორუსია (მ), ვოლფსბურგი-მაინცი, ჰერტა-არმინია, აინტრახტი-კოტბუსი.** 8 აპრილი. **ვერდერი-ნიურნბერგი, ლევერკუზენი-ბოხუმი.**

არმინია-ბორუსია (დ) 1:0

არმინია: ჰაინი-3, კორზინიტცი-3.5, ვეშტერმანი-3, შულერი-3.5, ტეშე-4 (68. ტ. მარქსი-3.5), კუჩერა-4, კაუფი-3, ბიომე-4.5, დ. კობილიკი-3.5 (79. კამპერი), ზუმა-4.5 (68. აიგულერი-4), ვიხნიარეკი-3.5.

ბორუსია (დ): ვაიდენფელერი-4, ფ. დეგენი-4.5, ვიორნსი-3.5, მეტცელდერი-3, დედე-4, ტინგა-5, კრუსკა-4.5 (75. რიკენი), კრინგე-4.5 (88. საკა), ნ. შაჰინი-5 (85. ამოა), ვალდესი-5, ფრაი-5.5.

გოლი: 1:0 კამპერი (80).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა**: 17-7; **კუთხური**: 2-2; **ჯარიმა**: 19-25; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

მაყურებელი: 26 601.

კოტბუსი-ვერდერი 0:0

კოტბუსი: პიპლიცა-2.5, და სილვა-3, მაკენა-2.5, მიტრესკი-3, კვიტანოვიჩი-3.5, ტ. როსტი-3, კუკიელკა-3.5, ბაუმგარტი-3.5 (82. ბანდროვსკი), მუნტეანუ-3.5, რადუ-4 (64. გუნკელი-3.5), კიოიო-4 (64. შაო-3.5).

ვერდერი: ვიზე-3.5, ფრიტცი-4.5, მერტეზაკერი-3, ნალდო-3.5, ვომე-3, ფრინგსი-3, დ. იენსენი-3.5, ვრანიეში-3.5 (73. უგო ალმეიდა), დიეგო-2.5, კლოზე-4.5 (80. როზენბერგი), ჰანტი-4.

გაფრთხილება: 4-1; **დარტყმა**: 8-22; **კუთხური**: 0-4; **ჯარიმა**: 23-12; **ბურთის ფლობა**: 27%-73%.

მაყურებელი: 20 344.

ბაიერნი-შალკე 2:0

ბაიერნი: კანი-4.5, სანიოლი-4, ლუსიო-3 (85. დემიკელინი), ვან ბუიტენი-3.5, ლამი-3.5, სალიჰამიჯიჩი-2.5, ოტლი-4, ვან ბომელი-3.5, შვაინშტაიგერი-3 (87. ლელი), მაკაი-2.5 (71. პისარო), პოდოლსკი-3.

შალკე: ნოიერი-2, რაფინია-4, ბორდონი-4, კრსტაჩიჩი-4, ჰანდერი-3.5, ბაირამოვიჩი-3.5 (65. იოზილი-3), ერნსტი-3.5, კობიაშვილი-4, ჰალილ ალთინთოფი-4.5 (74. ასამოა), კურანი-4, ლოვენკრანდსი-3.5 (35. ლარსენი-4).

გოლები: 1:0 მაკაი (3), 2:0 სალიჰამიჯიჩი (78).

გაფრთხილება: 2-3; **დარტყმა**: 12-9; **კუთხური**: 7-7; **ჯარიმა**: 26-26; **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

მაყურებელი: 69 000.

მაინცი-ლევერკუზენი 1:3

მაინცი: ვახე-3.5, დემირტასი-3, მ. ფრიდრიხი-5, ნოვესკი-3.5, როზე-5, გერბერი-4 (70. პეკოვიჩი-3.5), ანდრეასენი-5.5, აზაუგი-3.5 (57. ჟაბიში-4), ფოილნერი-3, რუმანი-4 (31. იოვანოვიჩი), ზიდანი-2.5.

ლევერკუზენი: ადლერი-1.5, შვეგლერი-4.5, კალსენ-ბრაკერი-3.5, ჟუანი-5, ბაბიჩი-3, როლფესი-3, ფრაიერი-3.5, შნაიდერი-1 (90. მადუნი), ბარბარესი-2.5, ბარნეტა-4.5, კისლინგი-4 (81. ვორონინი).

გოლები: 0:1 ბარბარესი (41), 0:2 ბარბარესი (44), 0:3 შნაიდერი (52), 1:3 ზიდანი (75).

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა**: 14-11; **კუთხური**: 6-1; **ჯარიმა**: 12-16; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

მაყურებელი: 20 300.

ნიურნბერგი-პერტა 2:1

ნიურნბერგი: შეფერი-3, დ. რაინჰარდტი-3.5 (27. სპირანოვიჩი-4), ვოლფი-2, ბოშამი-3.5, პინოლა-2.5, გალაშეკი-3, ენგელჰარდტი-3, გრეშკო-4 (85. პაგენბურგი), პოლაკი-3.5 (76. კრისტიანსენი), შროთი-4, საენკო-3.

პერტა: ფიდლერი-3.5, ჩაჰედი-4.5, შიმუნიჩი-3.5, ვან ბურკი-4, ჟილბერტო-3.5, დარდაი-4.5, ებერტი-3.5, ბაშთურქი-3.5, კ. ბოატენგი-4.5 (67. დეუაგა-3.5), პანტელიჩი-4.5 (59. ედე-3), ხიმენესი-3.

გოლები: 1:0 გალაშეკი (4), 2:0 ენგელჰარდტი (60), 2:1 ხიმენესი (69).

გაფრთხილება: 4-1; **დარტყმა**: 16-14; **კუთხური**: 4-8; **ჯარიმა**: 20-21; **ბურთის ფლობა**: 42%-58%.

მაყურებელი: 45 649.

შტუტგარტი-ალემანია 3:1

შტუტგარტი: ჰილდებრანდი-4, ოსორიო-3.5, მეირა-4, მანინი-4, ბოკა-2.5 (86. ბეკი), პარდო-3, ჰილბერტი-4.5 (70. ფარნერუდი-2), ჰიტცლშპერგერი-2.5, ხედირა-3.5, კაკაუ-3, შტრელერი-3 (70. ლაუთი-2.5).

ალემანია: შტრაუბი-4.5, შტელე-3.5, კლიტცპერა-4.5, სიჩონი-4, ლეივაკაბესი-4, მ. ლემანი-4 (88. ჰაიდრიხი), პინტუ-4.5 (75. დუმი), რეგეკამპფი-3 (88. იოზგენი), რიოსლერი-4, შლაუდრაფი-4, იბიშევიჩი-3.5.

გოლები: 1:0 შტრელერი (30), 1:1 სიჩონი (59), 2:1 ლაუთი (75), 3:1 კაკაუ (84).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 29-12; **კუთხური**: 8-2; **ჯარიმა**: 15-10; **ბურთის ფლობა**: 58%-42%.

მაყურებელი: 43 000.

ბორუსია (მ)-აინტრახტი 1:1

ბორუსია (მ): კელერი-4, კირხი-4, გოჰური-5, ზე ანტონიო-3.5, იანსენი-3.5, კლუგე-4.5, ელ ფაკირი-4 (84. კაჰე), კომპერი-3.5 (63. მარინი-3.5), ინსუა-3.5, ლამიდი-4.5 (68. ნოივილი-4), რაფაელი-5.

აინტრახტი: ნიკოლოვი-2.5, ოხსი-3.5, ვასოსკი-3, კირიაკოსი-3, შპიხერი-3, პროისი-4.5, ფინკი-5, კრისი-4, შტრაიტი-2.5 (86. რუსი), ტაკაჰარა-5 (89. რემერი), თურკი-5 (61. ჰელერი-2.5).

გოლები: 0:1 კირიაკოსი (11), 1:1 ინსუა (89).

გაძევება: კირიაკოსი (86. აინტრახტი).

გაფრთხილება: 5-4; **დარტყმა**: 18-11; **კუთხური**: 10-6; **ჯარიმა**: 21-16; **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

მაყურებელი: 52 177.

ჰამბურგი-ვოლფსბურგი 1:0

ჰამბურგი: ფ. როსტი-3.5, ბენჯამინი-4, ბ. რაინჰარდტი-3, მატიჯევიჩი-3, �eta-3.5, იაროლიმი-2.5 (90+4. აბელი), დ. იონგი-3.5, მაჰდავიკია-2.5, ბენერეა-4 (81. ...), ...ერ ვაარტი-2 (77. ტროხოვსკი), სანოგო-4.5.

ვოლფსბურგი: იენტცში-2.5, სარპეი-4, მადლუნგი-4, ჰოფლანდი-3, ვან დერ ჰეიდენი-3.5, სანტანა-4.5, ვან დერ ლეეგტე-4.5, მაკიადი-5 (46. ბოაკი-4), კრეინოვეკი-5 (63. მენსეგესი-3.5), მარსელინიო-4.5, კლიმოვიჩი-4.

გოლი: 1:0 მაჰდავიკია (60)

გაფრთხილება: 2-3

მაყურებელი: 57 000

ბოხუმი-პანოვერი 2:0

ბოხუმი: დრობნი-3.0, ო. შრიოდერი-3.5, მალტრიტცი-2.5, იაია-3.5 (78. ბუტჩერი), მიხელბეკი-3.5 (27. ბიონიგი-3), ჟდებელი-4 (60. დრშეკი-3), დაბოვსკი-2, მიშიმოვიჩი-3.5, გროტი-2.5, ეპალე-2.5, ვეკასი-2.

პანოვერი: ენკე-3.5, ჩერნდოლო-4.5, ვინიციუსი-3.5, ფარენპორსტი-5, ტარნატი-4, ბალიტში-4, ლალა-3.5, შრიოტერი-4 (69. იენდრიშეკი-3.5), როზენტალი-4.5 (63. ბრუგინკი-4), ჰუშტი-4 (46. ჰაშემიანი-4.5), შტაინერი-4.5.

გოლები: 1:0 გეკასი (35), 2:0 ეპალე (42)

გაფრთხილება: 4-1

მაყურებელი: 24 177

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შალკე	27	16	5	6	42-27	53
2. ვერდერი	27	15	6	6	61-33	51
3. შტუტგარტი	27	14	7	6	45-31	49
4. ბაიერნი	27	14	5	8	41-31	47
5. ლევერკუზენი	27	12	6	9	43-36	42
6. ნიურნბერგი	27	9	14	4	38-25	41
7. ჰანოვერი	27	9	8	10	33-39	35
8. ჰერტა	27	9	7	11	37-44	34
9. ალემანია	27	9	6	12	42-48	33
10. ჰამბურგი	27	6	14	7	30-27	32
11. ვოლფსბურგი	27	7	11	9	27-30	32
12. კოტბუსი	27	8	8	11	29-36	32
13. აინტრახტი	27	6	13	8	34-45	31
14. ბოხუმი	27	8	6	13	32-42	30
15. მაინცი	27	7	9	11	24-40	30
16. არმინია	27	7	8	12	32-36	29
17. ბორუსია (დ)	27	7	8	12	29-38	29
18. ბორუსია (მ)	27	6	7	14	22-33	25

ბომბარდირები: 14 - გეკასი (ბოხუმი); 13 - გომესი (შტუტგარტი), მაკაი (ბაიერნი); 11 - ფრაი (ბორუსია დ), კურანი (შალკე), კლოზე (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა); 10 - დიეგო (ვერდერი), რადუ (კოტბუსი), ტაკაჰარა (აინტრახტი).

II ბუნდესლიგა

XXVII ტური

ბურგაუზენი-უნტერაუხენი 4:1

გოლები: 1:0 ბოგავაცი (19), 1:1 კოლომაუნიკი (33), 2:,1 აიგნერი (68), 3:1 ტოლესკი (77), 4:1 ბურკჰარდტი (84)

ქარლ ცაისი-ჰანზა 1:2

გოლები: 0:1 გლედსონი (36), 1:1 აშვეთია (85), 1:2 ჩეტკოვიჩი (86)

პადერბორნი-ქარლსრუე 1:2

გოლები: 0:1 მუტცელი (23), 0:2 მანერი (80), 1:2 კრუპნიკოვიჩი (82)

აუგსბურგი-აუე 3:0

გოლები: 1:0 ჰაასი (2), 2:0 ჰაასი (52), 3:0 ლუცი (55)

ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი 0:2

გოლები: 0:1 ოლაიენგბესი (63), 0:2 იაშვილი (75-პენ)

ესენი-მუნხენი 0:2

გოლები: 0:1 ვოლფი (46), 0:2 გიოქთანი (51)

კიოლნი-ბოგენჰაიმი 3:1

გოლები: 0:1 მაიერჰოფერი (10), 1:1 კაბანასი (65), 2:1 ჰელმესი (71), 3:1 ნოვაკოვიჩი (88)

ოფენბახი-ფიურთი 1:2

გოლები: 0:1 კლაინე (8), 1:1 ბუნგერტი (35), 1:2 ლანიგი (87)

აიზენრსლაუტერნი-დუისბურგი დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ქარლსრუე	27	17	6	4	58-31	57
2. ჰანზა	27	13	12	2	40-22	51
3. ფიურთი	27	13	6	8	44-30	45
4. ფრაიბურგი	27	12	9	6	41-33	45
5. დუისბურგი	26	11	10	5	47-33	43
6. კაიზერი	26	11	10	5	35-24	43
7. აუგსბურგი	27	11	9	7	34-23	42
8. აუე	27	13	3	11	40-38	42
9. კიოლნი	27	10	8	9	40-37	38
10. მიუნხენი	27	11	5	11	37-39	38
11. პადერბორნი	27	8	9	10	26-28	33
12. კოგენჰაიმი	27	8	8	11	28-36	32
13. ოფენბახი	27	8	6	13	34-43	30
14. ქარლ ცაისი	27	6	8	13	28-46	26
15. ბურგჰაუზენი	27	6	8	13	33-53	26
16. ესენი	27	6	7	14	29-35	25
17. უნტერჰაჩინგი	27	6	7	14	25-40	25
18. ბრაუნშვაიგი	27	3	7	17	12-40	16

ბომბარდირები: 15 - ფედერიკო (ქარლსრუე); 14 - კაპლანი (ქარლსრუე); 11 - ჰელმესი (კიოლნი), ტურკერი (ოფენბახი), ტიმი (ფიურთი), კერნი (ჰანზა); 10 - ლოური (აუგსბურგი), მოხტარი (დუისბურგი).

რეგიონალიგა (ჩრ)

XXIX ტური

დორტმუნდი II-დინამო (დ) 2:3; უნიონი-ალენი 1:1; ვუპერტალი-მაგდებურგი 1:3; ვილჰელმშავენი-გლადბახი II 1:2; ემდენი-ჰამბურგი II 2:0; ლევერკუზენი II-კილი 4:0; ჰერტა II-ოსნაბრიუკი 1:3; ვერდერი II-ფორტუნა 2:0; ლიუბეკი-ერფურტი 0:2.

რეგიონალიგა (სამ)

გადადებული მატჩი

პფიულენდორფი-ვეენი 1:0.

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტური

ჩელსი: ისევ ცუდი თამაში და სამი ქულა

მანჩესტერი ისევ შეუჩერებელია

შაბათს საღამოს "მანჩესტერ იუნაიტედი" **პოლ სქოულზმა** გამოაფხიზლა. უიღბლო პირველი ნახევრის შემდეგ "ეშმაკებმა" შთამბეჭდავად გაიმარჯვეს. "მენიუს" ერთმანეთის მიყოლებით ორი უსიამოვნება შეემთხვა: **ნემანია ვიდიჩმა** მხარი ამოიგდო და შეცვალეს. სერბი მცველის გასვლისთანავე **მეტ დერბიშირმა** ანგარიში გახსნა. "ბლექბერნის" თავკაცი **მარკ ჰიუზი სერ ალექსის** საყვარელი მოსწავლეა. შაბათ საღამოს ის მასწავლებელს სამი ქულის ართმევით დაემუქრა, მაგრამ...

სტუმრების უპირატესობა 61-ე წუთამდე გაგრძელდა. **კრისტოფერ სამბამ უეინ რუნის** იერიში ჩაუშალა. ბურთი სქოულზს მიუგორდა, რომელსაც მაშინვე შეეძლო კარში დარტყმა. ამის ნაცვლად ვეტერანმა ნახევარმცველმა ბლექბერნელთა ორი მცველი, **რაიან ნელსენი** და **სტივ უორნოკი** ჩამოიშორა და ბურთი მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ათ წუთში **მაიკლ ქერიგმა** იმავე კუთხეში გაიტანა. გავიდა კიდევ ათი წუთი და **ჟი სუნ პარკმა** მეტოქე წელში გადატეხა. თამაშს ახლად გამოჯანმრთელებულმა **ოლეგ გუნარ სოლსკიაერმა** დაუსვა წერტილი. დარჩენილ შვიდ მატჩში "იუნაიტედს" მინიმუმ 15 ქულა სჭირდება... და, რა თქმა უნდა, რუნის გამოცოცხლება. არცერთი გოლი, არცერთი საგოლე გადაცემა და ორი გაფრთხილება ინგლისის ნაკრების ორ შესარჩევ მატჩში - ასეთია უეინის ბოლო ორი კვირის მონაგარი.

რა თქმა უნდა, სანერვიულოა ვიდიჩის ტრავმაც. ის ძირითადის მეორე მცველია (**გარი ნევილის** შემდეგ), რომელსაც იძულებითი დასვენება უნევს. საჰაერო დუელის შემდეგ ვიდიჩი მინას მხარით დაენარცხა. ნემანია **ჯონ ოშიმ** შეცვალა. სანამ დაცვა გადაეწყობოდა, გოლი გავიდა: **მორტენ გამსტ პედერსენმა** დაბალ კუთხეში დასცხო. ბურთი ქერიკს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. **ედვინ ვან დერ სარმა** იმარჯვა, მაგრამ დერბიშირთან ვეღარაფერი გაანყო. ამ ბიჭმა შვიდი დღით ადრე ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში "უემბლიზეც" გაიტანა (იტალიასთან 3:3)...

"ჩელსი" ორი ქულის განიავებას გადაურჩა. "არისტოკრატები" უიმედო აუტსაიდერ "უოტფორდს" ეწვივნენ და მხოლოდ დამატებულ დროში გაიმარჯვეს: შეცვლაზე შესულმა **სალომონ კალუმ ანდრეი შევჩენკოს** პასით ისარგებლა. გოლმა "ჩელსის" მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ენით აუწერელი სიხარული მოუტანა. "იუნაიტედთან" ექვსქულიანი სხვაობა შენარჩუნდა. მასთან ერთად, შენარჩუნდა ჩემპიონობის შანსიც. "ჩელსიმ" საკუთარი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინა. უოტფორდელ **დემიენ ფრენსისსა** და **სტივ კაბას** ორი საუცხოო მომენტი ჰქონდათ. ამის მიუხედავად, უკვე მერამდენედ, **ჟოზე მოურინიოს** გუნდი სამი ქულის მოპოვებას ახერხებს.

ძირითადში ითამაშა **ფრენკ ლემპარდმა**. ხელის ტრავმის გამო მას ანდორასთან მატჩი გაუცდა. ნახევარდაცვას დაუბრუნდნენ **ჯერემი** და **კლოდ მაკელელე,** თუმცა ისინი ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალეს. მოედანზე გამოვიდნენ **პაულუ ფერეირა** და **კალუ**. ცვლილებების მიუხედავად, თამაშის ხასიათი არ შეცვლილა. "უოტფორდი" მედგრად იდგა და სახიფათო იერიშებზე მიდიოდა. მოურინიო კოლეგა **ენდი ბუთროიდს** ნაეკიდა. მწვრთნელების აზრი ორად გაიყო ერთ-ერთი ეპიზოდის შეფასებისას. **სმიტისა** და ფერეირას ორთაბრძოლისას არბიტრმა **ურაია რენიმ** "ჩელსის" სასარგებლოდ თავისუფალი ჯარიმა დანიშნა და არა კუთხური, როგორც ბუთროიდი ითხოვდა. სანამ კამათი აგრესიაში გადაიზრდებოდა, ორივე ბანაკმა თავ-თავიანთი მწვრთნელების დაშოშმინებაზე იზრუნა.

საფინალო სასტვენის მოახლოებასთან ერთად, "ჩელსის" იერიშებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. თუმცა გატანა "უოტფორდსაც" შეეძლო: 88-ე წუთზე, კუთხურისას, ფრენსისმა ბურთი ოთხი იარდიდან **პეტრ ჩეხს** გაარტყა. ფრე გარდაუვალი ჩანდა. ამ დროს შევჩენკომ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, კალუმ ბურთს თავი მიჰკრა და შეაგდო...

ამ სეზონში "არსენალმა" "ლივერპული" სასტიკად დაჩაგრა. მოუშუშებელია ჭრილობები, რომელიც მერსისაიდელებს იანვარში, სამდღიანი შუალედით, "ენფილდ როუდზე" მიაყენეს. ასოციაციისა და ლიგის თასებზე "მეთოთეებმა" 6:3 და 3:1 გაიმარჯვეს. მოიგეს ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრაც. და აი, შაბათ საღამოს ლივერპულელებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს. **პიტერ კრაუჩმა** ჰეთ თრიკი შეასრულა. მისმა გუნდმა "არსენალს" გადაუსწრო და მესამე საფეხურზე მოკალთდა. შეგახსენებთ, კრაუჩმა ნაკრებში ცხვირის ოპერაციის გამო ვერ ითამაშა. სტუმრებს მეოთხე გოლი **დანიელ აგერმა** უძღვნა. "არსენალმა" თავს დატეხილ აგრესიას მხოლოდ **ვილიამ გალასის** დარტყმა დაუპირისპირა. ეს საკმარისი, რა თქმა უნდა, არ იყო.

ინგლისელი მიმომხილველები გაუთავებლად კამათობენ, რომელია **სტივ ჯერარდის** ოპტიმალური პოზიცია: ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგი თუ ცენტრი? შაბათს **რაფა ბენიტესს კრეიგ ბელამი** არ ჰყავდა (სანაკრებო მატჩისას დაშავდა). ამიტომ ჯერარდი მის ადგილზე, უკანდახეულ თავდამსხმელად ათამაშა. სტივმა მინდორზე მხოლოდ 56 წუთი დაჰყო. მწვრთნელმა ის **დირკ კუიტით** შეცვალა. ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ ვარსკვლავმა საფუძვლიანად უნდა დაისვენოს. მის გასვლა გუნდს ოდნავადაც არ შეტყობია: ოთხ წუთში "არსენალი" მესამედ დაამწუხრეს.

მატჩს "ლივერპულის" ამერიკელი ბოსები, **ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი** დაესწრნენ. ჯილეტი სტადიონზე თითქმის ორი საათის ადრე მივიდა, მასავით ადრიანად მისულ ფანებს კარებში დახვდა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი. მისტერ ჯორჯმა უსაფრთხოების თანამშრომლებსაც ჩამოუარა, ყველა მოიკითხა და ავტოგრაფებიც ჩამოარიგა...

"ბოლტონი"-"შეფილდის" მატჩის შემდეგ მასპინძლები უეფას თასის ზონას, სტუმრები კი ქვედა დივიზიონს მიუახლოვდნენ. ნახევარმცველმა **კევინ დევისმა** სეზონის მეექვსე გოლი გაიტანა...

"ჩარლტონმა" "ვიგანს" უპრინციპულესი მატჩი მოუგო. **ალან კერბიშლის** შეგირდებმა ბოლო ოთხ შეხვედრაში ათი ქულა შემატეს აქტივს. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა **დარენ ბენტმა** თამაშის მიწურულს, პენალტით, სეზონის მე-12 გოლი შეაგდო. 11-მეტრიანი რომ არა, ამ მატჩში ერთი გამოსარჩევი ეპიზოდიც კი არ იქნებოდა. აუტსაიდერებმა მოსაწყენზე მოსაწყენი ფეხბურთი ითამაშეს.

გაიმარჯვა "ვესტ ჰემმაც". "ჩარლტონის" დარად, პრემიერლიგიდან უბრძოლველად გავარდნას არც ის აპირებს. **კარლოს ტევესმა** ერთი გაიტანა და კიდევ ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. არგენტინელი ჩემპიონატის მიწურულსღა ათამაშდა. ის მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე შეცვალეს. "აპტონ პარკმა" არგენტინელი ტაშით გააცილა.

რაც შეეხება "მიდღსბროს", ორი კვირის წინ **გარეთ საუთგეიტმა** "მანჩესტერ სიტისთან" შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანა (წააგო). მიზეზი ასოციაციის თასის მოახლოებული მეოთხედფინალი გახლდათ. რივერსაიდელებს ფეხბურთელთა დასვენებამ არ უშველა. ისინი თასიდანაც გავარდნენ. ამიტომ შაბათს საუთგეიტმა ყველა ვარსკვლავს უხმო, მაგრამ ისევ უიმედოდ წააგო. "ბოროს" პრემიერლიგაში დარჩენა ჯერაც არ აქვს განაღდებული...

ამ უქმეებზე ევროზონაში მოხვედრის იმედი გადაეწურა "ნიუკასლს". ჯორდები შინ "მანჩესტერ სიტისთან" დამარცხდნენ. "მიდღსბროსთან" ორი კვირისწინანდელი მატჩის დარად, **ემილ მპენზამ** ამჯერადაც გაიტანა. სტიუარტ პირსის შეგირდებმა ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ ორი თამაში მოიგეს და სულიც მოითქვეს. "ფულჰემისა" და "პორტსმუთის" შეხვედრა ფრედ დასრულდა. სტუმართა ხორვატმა ლეგიონერმა **ნიკო კრანჩარმა** პრემიერლიგაში პირველი გოლი გაიტანა.

და ბოლოს, გუშინდელ მატჩში "ტოტენჰემმა" "რედინგი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. **რობი კინმა** ერთადერთი გოლი პენალტით შეაგდო. 11-მეტრიანი რედინგელი მცველის, **გრეგ ჰალფორდის** ხელით თამაშის გამო დაინიშნა. ხუთშაბათს "მამლებს" "სევილიასთან" უეფას თასის პირველი მეოთხედფინალი ელით.

მოგზაურო ტური

6 აპრილი. მანჩესტერ სიტი-ჩარლტონი, ევერტონი-ფულჰემი. 7 აპრილი. ჩელსი-ტოტენჰემი, არსენალი-ვესტ ჰემი, ბლექბერნი-ასტონ ვილა, მიდღსბრო-უოტფორდი, რედინგი-ლივერპული, შეფილდი-ნიუკასლი, ვიგანი-ბოლტონი, პორტსმუთი-მანჩესტერ იუნაიტედი.

მანჩესტერ იუნ.-ბლექბერნი 4:1

იუნაიტედი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი (28. ოში), ჰაინცე, რონალდო (84. სოლსკიაერი), ქერიკი, სქოულზი, პარკი, გიგზი (84. სმიტი), რუნი.

ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, დანი, ქერმოოლუ (74. პეტერი), მოკოენა, პედერსენი, დერბიშირი, მაჟარტი (69. რობერტსი).

გოლები: 0:1 დერბიშირი (29), 1:1 სქოულზი (61), 2:1 ქერიკი (73), 3:1 პარკი (83), 4:1 სოლსკიაერი (90).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 27(17)-6(3); **ჯარიმა**: 7-12; **კუთხური**: 8-1.

მაყურებელი: 76 098

უოტფორდი-ჩელსი 0:1

უოტფორდი: ფოსტერი, ჩემბერსი, დე მერიტი, შიტუ, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ფრენსისი, რინალდი, ჰენდერსონი (69. პრისკინი), კაბა (81. ბუაზა).

ჩელსი: ჩეხი, ჯერემი (46. ფერეირა), კარვალიო, ტერი, ეშლი კოული (58. მიკელი), მაკელელე (46. კალუ), ლემპარდი, ბალაკი, რაიტ-ფილიპსი, დროგბა, შევჩენკო.

გოლი: 0:1 კალუ (90).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 12(6)-13(8); **ჯარიმა**: 18-9; **კუთხური**: 5-10.

მაყურებელი: 19 793

ლივერპული-არსენალი 4:1

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, აურელიო, პენანტი, ალონსო, მასკერანო (82. რიისე), გონსალესი (69. ზენდენი), ჯერარდი (56. კუიტი), კრაუჩი.

არსენალი: ლემანი, ებუე (82. ჰოიტი), კოლო ტურე, გალასი, კლიში, გლები, ფაბრეგასი, დიაბი (65. როსიცკი), დენილსონი, ჟულიო ბაპტისტა (65. ლიუნგბერგი), ადებაიორი.

გოლები: 1:0 კრაუჩი (4), 2:0 კრაუჩი (35), 3:0 აგერი (60), 3:1 გალასი (73), 4:1 კრაუჩი (81).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 12(5)-11(3); **ჯარიმა**: 17-8; **კუთხური**: 2-7.

მაყურებელი: 43 958

ბოლტონი-შეფილდ იუნ. 1:0

ბოლტონი: იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ბენ ჰაიმი, გარდნერი, ნოლანი, ფაიე, სპიდი, დევისი, ანელკა, დიუფი (86. თეიმურიანი).

შეფილდი: კენი, კილგალონი, ჟაგიელკა, ლუკეტი, ბრომბი, გილესპი (82. შელტონი), მონტგომერი, ლიგერტვუდი, ტონგე, ნეიდი (64. სტიდი), კაზიმ-რიჩარდსი.

გოლი: 1:0 დევისი (80).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 19(12)-7(4); **ჯარიმა**: 8-12; **კუთხური**: 11-4.

მაყურებელი: 24 312

ჩარლტონი-ვიგანი 1:0

ჩარლტონი: კარსონი, იანგი, ელ ქარქური, დიავარა, ჰრეიდარსონი, რომედალი (46. მარკუს ბენტი), ჰოლანდი (71. ემბროუზი), სონგი ბილონგი, ტომასი, ჟენგი, დარენ ბენტი, ემბროუზი (87. ფაიე).

ვიგანი: ფილანი, ჰოლი, დე ზეუუვი, ჯეკსონი, ბაინესი, ტეილორი (72. ვალენსია), ლანდზაატი, სკოკო (76. შარნერი), მაკალოხი, ფოლანი, ჰესკი.

გოლი: 1:0 დარენ ბენტი (86-პენ).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 4(1)-6(1); **ჯარიმა**: 10-15; **კუთხური**: 4-9.

მაყურებელი: 26 500

ვესტ ჰემი-მიდღსბრო 2:0

ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, ფერდინანდი, კოლინზი, მაკარტნი, ბოუიერი, ნობლი, რეო კოკერი (66. მულინსი), ეთერინგტონი, ზამორა (67. ბლანკო), ტევესი (82. ბოა მორტე).

მიდღსბრო: შვარცერი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი (69. ჰუთი), ტეილორი, პერნაბი (55. ჯონსონი), ბოატენგი, როშემბაკი (87. იუელი), დაუნინგი, იაკუბუ, ვიდუკა.

გოლები: 1:0 ზამორა (2), 2:0 ტევესი (45).

გაფრთხილება: 0-1; **დარტყმა**: 9(6)-10(3); **ჯარიმა**: 11-17; **კუთხური**: 3-4.

მაყურებელი: 34 977

ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი 0:1

ნიუკასლი: გივენი, კარი, მური (73. ონიეკუ), ტეილორი, ბაბაიარო, სოლანო (76. მილერი), ბატი, პარკერი, დაფი, დაიერი (77. სიბირსკი), მარტინსი.

სიტი: ისაკსონი, ონუოა (85. ტრაბელსი), დანი, დესტენი, ბოლი, სუნი, ბარტონი, ჰამამი (46. სამარასი), ჯონსონი, ვასელი, მუენზა.

გოლი: 0:1 მუენზა (80).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 15(6)-7(5); **ჯარიმა**: 9-16; **კუთხური**: 8-1.

მაყურებელი: 52 004

ფულჰემი-პორტსმუთი 1:1

ფულჰემი: ნიემი, როსენორი, პირსი, ბოკანეგრა, კუოდრო, სმერტინი, დევისი, ბრაუნი, დიოპი (57. რუთლიჯი), მაკბრაიდი (65. ჯონი), რაძინსკი (62. მონტელა).

პორტსმუთი: ჯეიმსი, ლორენი, კემპბელი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, ონილი, ჰიუზი, დევისი, კრანჩარი (61. ტეილორი), მვარუვარი (83. მვუბმა), კანუ (80. ტოდოროვი).

გოლები: 0:1 კრანჩარი (4), 1:1 პირსი (90).

გაფრთხილება: 1-0; **დარტყმა**: 13(9)-10(7); **ჯარიმა**: 14-22; **კუთხური**: 6-4.

მაყურებელი: 22 806

ტოტენჰემი-რედინგი 1:0

ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, როჩა, ლი, ლენონი, ზოკორა, ჯენსაი, მალბრანკი (80. ჰადლსტონი), ბერბატოვი, რობი კინი (75. დეფო).

რედინგი: ჰანემანი (46. ფედერიკი), ჰალფორდი, დაბერი, ინგიმარსონი, შორი, ლიტლი (75. ოსტერი), ჰარპერი, სიდველი, ჰანტი (65. დოილი), ლიტა, კიტსონი.

გოლები: რობი კინი (41-პენ).

გაფრთხილება: 1-0; **დარტყმა**: 18(7)-6(3); **ჯარიმა**: 7-6; **კუთხური**: 5-7.

მაყურებელი: 36 067

ასტონ ვილა-ევერტონი დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერ იუნ	31	23	3	5	74-21	78
2. ჩელსი	31	22	6	3	55-19	72
3. ლივერპული	31	17	6	8	48-31	57
4. არსენალი	30	16	7	7	52-28	55
5. ბოლტონი	31	15	5	11	36-38	50
6. ტოტენჰემი	31	14	6	11	44-44	48
7. ევერტონი	30	12	10	8	38-26	46
8. რიდინგი	31	13	5	13	43-39	44
9. პორტსმუთი	31	11	10	10	37-32	43
10. ბლეკბერნი	31	12	4	15	37-45	40
11. ნიუკასლი	31	10	7	14	34-40	37
12. მიდღსბრო	31	9	9	13	32-38	36
13. მანჩესტერ ს	30	10	6	14	23-34	36
14. ფულჰემი	31	7	14	10	32-45	35
15. ასტონ ვილა	30	7	13	10	29-35	34
16. ვიგანი	31	9	6	16	30-45	33
17. შეფილდი	31	8	7	16	25-45	31
18. ჩარლტონი	31	8	6	17	29-49	30
19. ვესტ ჰემი	31	7	5	19	25-51	26
20. უოტფორდი	31	3	11	17	19-47	20

ბომბარდირები: 18 - დროგბა (ჩელსი); 16 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 13 - მაკარტი (ბლექბერნი); 12 - რუნი (მანჩესტერ იუნ), აიეგბენი (მიდღსბრო); 11 - ლემპარდი (ჩელსი), ჯონსონი (ევერტონი), ვან პერსი (არსენალი); 10 - დიოილი (რიდინგი), ანრი (არსენალი), კანუ (პორტსმუთი), მარტინსი (ნიუკასლი).

ჩემპიონატი

LX ტური

ლიდსი-პრესტონი 2:1

გოლები: 0:1 ორმეროდი (5), 1:1 ბლეიკი (51), 2:1 ჰილი (90)

ბარნსლი-დერბი 1:2

გოლები: 0:1 დ. ჯონსი (11), 0:2 ოუკლი (48), 1:2 ტოგველი (90)

ბარნლი-ლეიტონი 0:0

ქრ.პალასი-უენსდი 1:2

გოლები: 0:1 ბარტონი (57), 1:1 მორისონი (80), 1:2 ტადგეი (85)

ქარლიზლი-სანდერლენდი 0:1

გოლი: 0:1 უოლასი (72)

ჯოლჩესტერი-ნორვიჩი 3:0

გოლები: 1:0 კარეტონი (52), 2:0 გარსია (64), 3:0 იველომუ (73)

პალი-საუთენდი 4:0

გოლები: 1:0 უინდესი (43), 2:0 უინდესი (73), 3:0 უინდესი (79), 4:0 რიკეტსი (81)

იფსვიჩი-პლიმუთი 3:0

გოლები: 1:0 გარვანი (9), 2:0 ლი (15), 3:0 ჰეინსი (90)

ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი 1:2

გოლები: 0:1 ფილიპსი (48), 1:1 ბლეკსტოკი (63), 1:2 გერა (84)

სტოკი-ლესტერი 4:2

გოლები: 0:1 კენტონი (16), 1:1 პარკინი (18), 2:1 ფულერი (29-პენ), 2:2 ჰემონდი (58), 3:2 სიდიბე (79), 4:2 ლოურენსი (90)

ვულვზი-საუთემპტონი 0:6

გოლები: 0:1 საგანოვსკი (24), 0:2 ბრინი (27-საკ. კარში), 0:3 საგანოვსკი (36), 0:4 ბესტი (55), 0:5 სურმენი (79), 0:6 საგანოვსკი (83)

ბირმინგემი-კოვენტრი 3:0

გოლები: 1:0 ჟაიდი (13), 2:0 დ. კემპბელი (65), 3:0 დ. კემპბელი (78)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დერბი	40	23	7	10	56-40	76
2. ბირმინგემი	39	22	8	9	58-35	74
3. სანდერლენდი	40	22	7	11	61-39	73
4. პრესტონი	39	20	8	11	57-43	68
5. ვესტ ბრომვიჩი	40	19	10	11	68-47	67
6. ვულვზი	40	19	9	12	45-47	66
7. საუთჰემპტონი	40	17	12	11	67-48	63
8. კარდიფი	40	17	12	11	54-43	63
9. სტოკი	40	16	13	11	51-35	61
10. ჯოლჩესტერი	40	17	8	15	60-48	59
11. უენსდი	40	15	11	14	60-60	56
12. კრ. პალასი	40	15	10	15	49-45	55
13. პლიმუთი	39	12	16	11	51-53	52
14. ქოვენტრი	40	15	7	18	43-52	52
15. იფსვიჩი	40	15	6	19	52-52	51
16. ნორვიჩი	39	14	8	17	48-59	50
17. ლესტერი	39	11	13	15	43-52	46
18. პალი	40	12	8	20	45-58	44
19. ბარნლი	38	10	12	16	36-41	42
20. ბარნსლი	40	12	5	23	46-71	41
21. ქუინზ პარკი	39	10	10	19	46-61	40
22. საუთენდი	40	9	12	19	40-63	39
23. ლიდსი	40	11	6	23	41-65	39
24. ლუტონი	40	9	10	21	47-67	37

ბომბარდირები: 21 - ჩოპრა (კარდიფი); 19 - კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 18 - რასიაკი (საუთჰემპტონი); 17 - კარეტონი (ჯოლჩესტერი), ირნშოუ (ნორვიჩი); 16 - ჰოვარდი (დერბი), იველუმო (ჯოლჩესტერი); 15 - ლი (იფსვიჩი); 14 - მაკშიფრი (ბირმინგემი), ნაჯენტი (პრესტონი).

I ლიგა

LX ტური

ტრანმერი-კარლაილი 0:2; ბლეკპული-ქრიუ 2:1; ბრისტოლი-ნოტინგემი 1:1; ჩელტენჰემი-ლეიტონი 2:1; ჯილინგემი-ბრენტფორდი 2:1; ჰადერსფილდი-პორტ ვეილი 2:2; მილუოლი-სუონსი 2:0; ნორთჰემპტონი-ბრაიტონი 0:2; ოლდჰემი-იეოვილი 1:0; როტერჰემი-ბორნმუთი 0:2; სკანთორფი-ბრედფორდი 2:0.

II ლიგა

LX ტური

ჰარტლპული-ჩესტერი 3:0; ბარნეტი-დარლინგტონი 2:1; ბოსტონი-ბერი 0:1; ჰერეფორდი-მილტონი 0:0; ნოტსი-გრიმსბი 2:0; პიტერბრო-უიკომბი 3:3; როჩდილი-ლინკოლნი 2:0; სუნდონი-შრიუსბერი 2:1; ტორკი-სტოკპორტი 1:0; უოლსლო-აკრინგტონი 3:2; რექსჰემი-მენსფილდი 0:0.

ტურნირი

LX ტური

ალდერშოტი-სტ. ალბანსი 2:0; ალტრინჩემი-ექსეტერი 1:2; კემბრიჯი-უეიმაუთი 7:0; ქროული-სტევენეიჯი 3:0; ფორესტ გრინი-რაშდენი 0:2; გრეისი-ჰალიფაქსი 1:0; კიდერმინსტერი-ნორთვიჩი 0:1; მორეკამბი-უოკინგი 2:0; ოქსფორდი-ბარტონი 0:0; საუთპორტი-სტეფორდი 5:1; ტამუორტი-დაგენჰემი 0:2; იორკი-გრავესენდი 0:2.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXVIII ტური

სევილიამ უკან დაიხია

სეზონის დასრულებამდე 10 ტურით ადრე ბარსელონა ორი ქულით დაწინაურდა



რეალს რობინიომ მოაგებინა

"ბარსელონამ" გულშემატკივრები ნანატრი ლამაზი ფეხბურთით გაახარა. კატალონიურმა გრანდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სანახაობრივი თვალსაზრისით, კონკურენტებზე ორი თავით მაღლა დგას. **ლიონელ მესიმ** მორიგი სანახაობა შემოგვთავაზა. **რონალდინიოც** მოწოდების სიმაღლეზე იდგა. შეხვედრის მეორე ნახევარში მოვლენათა ეპიცენტრში **სამუელ ეტოო** მოექცა. კამერუნელმა ფორვარდმა ეფექტური გოლით დაგვამახსოვრა თავი. გალისიელებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. მთლიანობაში მათ ვერაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მარცხისგან თავი დაეღწიათ.

აღსანიშნავია, რომ პირველ ნახევარში "ბარსელონამ" "დეპორი" სულისშემხუთველ წნეხში ჩაადგო. მასპინძელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ლაკორუნიელები **ვიქტორ ვალდესის** კართან მიახლოებასაც ვერ ახერხებდნენ. **ფრანკ რიიკაარდის** შეგირდები კი დიდი ძალებით უტევდნენ. ეტოო დაუღალავად დარბოდა. რონალდინიოს ასეთი აქტიურობა კი საკმაო ხანია არავის უნახავს. პირველი საგოლე მომენტი მეორე წუთზე შეიქმნა. **ჩავი** შორეული ძლიერი დარტყმით სცადა ბედი, მაგრამ ბურთი მილიმეტრებით ასცდა მიზანს. რამდენიმე წუთში **ინიესტასაც** მოეცარა ხელი. შემდეგ რონალდინიოსა და ეტოოს ჯერი დადგა, მაგრამ არც ბრაზილიელსა და კამერუნელს გაუმართლათ. გაცუდებული მომენტების სიმრავლით შეშფოთებული გულშემატკივრები ფიქრობდნენ, რომ შესვენებამდე ანგარიშის გახსნა ვერ მოხერხდებოდა, თუმცა ამ დროს "ბარსას" ვარსკვლავების გენიალურობამ იჩინა თავი. რონალდინიომ ფანტასტიკური მოძრაობით **კოლოჩინი** ჩამოიტოვა და საოცარი პასით მესი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. არგენტინელმა ბურთი ჩინებულად დაამუშავა და ზუსტი დარტყმით **ავატეს** შანსი არ დაუტოვა.

კატალონიელებმა მეორე ტაიმშიც გამართულად ბასპარეზეს. აღსანიშნავია, რომ რიიკაარდის ბიჭები პირველივე წამიდან აგრესიულად გაგეწყვნენ და დიდი ძალებით შეუტიეს. შედეგმაც არ დაახანა. 51-ე წუთზე ეტოომ "დეპორტივოს" დაცვის უპასუხისმგებლობით ისარგებლა და "ბარსა" ორი ბურთით დააწინაურა. მასპინძლებს რამდენიმე წუთში კიდევ ერთხელ შეეძლო გატანა, მაგრამ რონალდინიოს არ გაუმართლა. ამასობაში კატალონიელებს სტუმართა კონტრშეტევა გამოეპარათ. შედეგად **ადრიანი** ვალდესთან პირისპირ გავიდა და სხვაობა შეამცირა. საფინალო სასტვენამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი. გალისიელებს შეეძლოთ ქულა გადაერჩინათ, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. **ხოაკინ კაპარროსის** შეგირდებს ნახევარდაკვცასა და თავდასხმაში სიმწვავე აკლდათ. საბილოოდ "ბარსელონამ" გამარჯვებამდე მიიყვანა საქმე და პირველი ადგილი შეინარჩუნა.

რიიკაარდმა თამაში ასე შეაფასა: "*კარგი მატჩი ჩავატარეთ. ვფიქრობ, გულშემატკივრები კმაყოფილი დარჩებოდნენ. მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ საგოლე მომენტები მრავლად შევქმენით. ბოლო დროს სასტიკად გვაკრიტიკებდნენ და ამბობდნენ, "ბარსამ" შეტევაში ეფექტურობა დაკარგაო. არ მიჯერებდნენ, როცა ვამბობდი, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო. როცა გუნდში ისეთი ვარსკვლავები გყავს, როგორებიც რონალდინიო, მესი, ეტოო და სხვები არიან, შეუძლებელია, ფანტაზია არ აღმოგაჩნდეს და მუდმივად უსახური ფეხბურთი ითამაშო. გამარჯვებით უაღრესად კმაყოფილი გახლავართ. ვფიქრობ, აბსოლუტულად დამსახურებულად მოიგეთ. როგორც იცით, ცალკეული ფეხბურთელების ღვაწლის გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ ახლა ის შემთხვევაა, როცა ენას კბილს ვერ დავაჭერ. რონალდინიოს, მესისა და ეტოოს ტრიო შეუდარებელი იყო. მათ საოცრად ითამაშეს.*"

"ვალენსიასა" და "ესპანიოლს" დასახული ამოცანების მისაღწევად გამარჯვება იმდენად სჭირდებოდათ, რომ ორივე გუნდმა თავდასხმას სერიოზული ძალები მოახმარა. ფავორიტად, რა თქმა უნდა, "ღამურები" მიიჩნეოდნენ, მაგრამ "ესპანიოლმა" იმდენად კარგად იასპარეზა, წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა. ამ შეხვედრაში ფრე, ალბათ, ყველაზე სამართლიანი შედეგი იქნებოდა, თუმცა იღბალი მასპინძელთა მხარეს იყო.

აღსანიშნავია, რომ მესტალიელებმა კატალონიელებთან ბრძოლას უდიდესი ენერგია შეალიეს. ბევრი ფიქრობდა, ისინი "ჩელსისთან" სასიცოცხლო დაპირისპირების წინ თავს არ მოიკლავდნენ, მაგრამ **კიკე ფლორესის** შეგირდებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ ისინი პრიმერა დივიზიონში გამარჯვებას ჩემპიონთა ლიგაზე ნაკლებ ყურადღებას არ უთმობენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებს ძალიან გაუმართლათ, რადან ანგარიშის გახსნა მალევე შეძლეს. **ფერნანდო მორიენტესის** არყოფნაში მთელი პასუხისმგებლობა **დავიდ ვილიას** დაანვა. მასპინძელთა საუკეთესო ფორვარდმა საზოგადოებას მოლოდინი არ გაუცრუა. მეთერთმეტე წუთზე მან სტუმართა საჯარიმოში შექმნილი უწესრიგობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მასპინძელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ზუსტად ორ წუთში **რიერა** მეურვეს დაუსხლტა და "ვალენსიის" კარი მახვილი კუთხიდან დალაშქრა. მოვლენათა ამგვარი განვითარება სენიორ ფლორესის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა, ამიტომ მან შეგირდებს თავდასხმაში თამამად წასვლა მოთხოვა. ფეხბურთელებმა მწვრთნელის ბრძანება შეისმინეს. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ "ესპანიოლმა" მორიგი ბურთი გაუშვა. 25-ე წუთზე **ვისენტემ**, ფაქტობრივად, რიერას იდენტური გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში თამაში ორმხრივ შეტევებში წარიმართა. გულშემატკივრებმა უაღრესად სანახაობრივი და ლამაზი ფეხბურთი იხილეს. 58-ე წუთზე **მიგელ ანხელ ანგულო** ისეთ პოზიციაზე აღმოჩნდა, საიდანაც აცილება გატანაზე რთული იქნებოდა. ვალენსიელმა რამდენიმე მეტრიდან ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. გულშემატკივრებმა იფიქრეს, საფინალო სასტვენამდე ნერვიულობა აღარ მოუწევდათ, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. 62-ე წუთზე **ლუის გარსიამ** კარის ხაზს მიღმა წაქცეულ **სანტიაგო კანისარესს** უპრობლემოდ შეუგდო. სტუმრებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, ნამდვილად არ წააგებდნენ. **რაულ ტამუდომ, ივან დე ლა პენიამ** და ლუის გარსიამ შესანიშნავი მომენტები ვერ გამოიყენეს.

კიკე ფლორესი შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა: "*მიხარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ. პირველ ტაიმში ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო. თუმცა შესვენების შემდეგ პრობლემები შეგვექმნა და გამარჯვება საფრთხეში ჩავაგდეთ. როგორც ჩანს, ნაადრევად ვინამეთ, რომ ორთაბრძოლა მოგებული იყო. "ესპანიოლმა" მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. გამოგიტყდებით, კატალონიელთა ასეთ გამართულ თამაშს არ ველოდი. მოგეხსენებათ, "ჩელსისთან" მეტისმეტად საპასუხისმგებლო თამაში გველის. მიუხედავად ამისა, არაფერს მოვეგებოდეთ და ბოლომდე დავიხარჯეთ. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ეს გაუმართლებელი საქციელი იყო, მაგრამ ყველას გასაგონად ვამბობ, რომ "ვალენსია" ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლას ბოლო წუთამდე გააგრძელებს.*

ხშირად ვერ ნახავთ, როცა ესპანელი ჟურნალისტები პირდაპირ და დაუფარავად ამბობენ, "რეალმა" გამარჯვება დაუმსახურებლად მოიპოვაო. უნდა მოგახსენოთ, რომ უკლებლივ ყველა სპორტულმა გაზეთმა ერთი და იმავე შინაარსის მიმოხილვა გამოაქვეყნა. ვიგოელებმა გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ აბსოლუტურად ხელმოცარულები დარჩნენ. სამეფო კლუბმა კი ძალიან ცუდი თამაშით მაქსიმალურ შედეგს მიაღწია. **კაპელომ** ძირითადი შემადგენლობა ზუსტად იმ ფეხბურთელებით დააკომპლექტა, რომლებმაც რამდენიმე კვირის წინ "კამპ ნოუზე" სუპერკლასიკოში იასპარეზეს. იტალიელ სპეციალისტს იმის იმედი ქონდა, რომ მისი ბიჭები ინიციატივას პირველივე წუთებიდან დაეუფლებოდნენ. ჩანაფიქრმა არ გაამართლა. "სელტა" საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა თავს. გალისიელებს ანგარიშის გახსნა მალევე შეეძლოთ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში რამდენჯერმე შეცდნენ. შეცდომა მათ დაცვაში თამაშის დროსაც დაუშვეს. შედეგად **რუუდ ვან ნისტელროი** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა. **პინტომ** ის წესების დარღვევით შეაჩერა. მსაჯმა მხოლოდ პენალტის დანიშვნა არ იკმარა და მას ყვითელი ბარათი აუფრიალა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა 11-მეტრიანი გოლად აქცია. თამაშის სცენარიდან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლები ასეთ ანგარიშს არ იმსახურებდნენ. სამართლიანობა მათ მხოლოდ ტაიმის მიწურულს აღადგინეს. **კასილიასთან** პირისპირ გასულმა **ანხელმა** შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მეორე ტაიმში მასპინძლებს მადრიდული გრანდის დასჯა არაერთხელ შეეძლოთ, თუმცა მათ ჩინებული მომენტები ვერ გამოიყენეს. ამასობაში კაპელომ **რობინიო** ჩართო თამაშში. ახალგაზრდა ბრაზილიელმა "რეალს" სულზე მოუსწრო. მის მიერ გატანილი გოლის წყალობით დედაქალაქელებმა პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი შეინარჩუნეს.

რობინიოს თავურმა კაპელო უზომოდ გაახარა: "*ტყუილად მიტევთ და ცდილობთ, წონასწორობა დამაკარგვინოთ. ნაკლებად მაინტერესებს, რას ფიქრობთ თამაშის ხარისხზე. ჩემთვის ყველაფერზე მთავარი ის არის, რომ გავიმარჯვეთ და შინ სამი ქულით ვბრუნდებით. რობინიომ უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა. მან გადამწყვეტ მომენტში პოზიცია სწორად შეარჩია და უმნიშვნელოვანესი ბურთი შეაგდო.*"

ანსოტეგის წყალობით "სოსიედადმა" ზედიზედ მეორე საშინაო გამარჯვება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ სანსებასტიანელები ამ თამაშისთვის მთელი კვირის განმავლობაში ემზადებოდნენ. კლუბის ხელმძღვანელობამ ბილეთები გააიაფა და თითოეულ სკამზე საგანგებოდ დაბეჭდილი ფურცელი დადო. მათი აფრიალებით გუნდის გამამხნევებელი მოზაიკა დახატეს. ბასკებმა დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს და "ლევანტეს" გამარჯვება გამოსტაცეს. ანსოტეგიმ გამარჯვების ბურთი ურთულესი თავურით მიითვალა. აღსანიშნავია, რომ დარტყმის მომენტში ის კარისკენ ზურგით იდგა. შედეგად "სოსიედადმა" ბოლო ადგილიდან ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლა. გულშემატკივრებს, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს პრიმერა დივიზიონში დარჩენის იმედი გაუჩნდათ.

"სევილიამ" პამპლონაში სასიცოცხლო ორი ქულა დაკარგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ბარსელონა" საჩემპიონო მარათონში სწორედ ორი ქულით დაწინაურდა. **ხუანდე რამოსი** საკმაოდ გულდაწყვეტილი გახლდათ, თუმცა ანდალუსიელთა დამრიგებელი აცხადებს, რომ მისი ბიჭები კვლავაც ფავორიტები არიან და სანატრელი საჩემპიონო ტიტულისთვის ბოლო წამამდე იომებენ.

მომდევნო ტური

7 აპრილი. **ბილბაო-ვალენსია, სარაგოსა-ბარსელონა.** 8 აპრილი. **დეპორტივო-ხიმნასტიკი, ესპანიოლი-სოსიედადი, რეალი-ოსასუნა, სევილია-რასინგი, ლევანტე-ბეტისი, მალიორკა-ხეტაფე, რეკრეატივო-სელტა, ვილიარეალი-ატლეტიკო.**

ბეტისი-ვილიარეალი 3:3

ბეტისი: დობლასი, მიგელ ანხელი, ხუანტო, არსუ, რომერო (82. მალდონადო), კაპი (62. მელი), ასუნსაო, ედუ, ფერნანდო, ჩისკო (62. დანი), რობერტი.

ვილიარეალი: ვიერა, ხოსემი, ფუენტესი, სიგანი, ენრიკე, მარკოსი (82. არუაბარენა), სენა, ხოსიკო, მ. ფერნანდესი (71. პირესი), ფორლანი, ფრანკო (78. სომოსა).

გოლები: 0:1 ფორლანი (1), 1:1 ფერნანდო (9), 1:2 ფორლანი (47), 2:2 ედუ (72), 2:3 პირესი (77), 3:3 ხუანტო (90+2)

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა**: 15(6)-10(6); **კუთხური**: 8-2; **თამაშგარე**: 2-1; **ჯარიმა**: 24-16; **ბურთის ფლობა**: 59%-41%

მაყურებელი: 50 000

სოსიედადი-ლევანტე 1:0

სოსიედადი: ბრავო, ხერარდო (82. მიკელ გონსალესი), ვიქტორ ლოპესი, ანსოტეგი, გარიდო (63. ლოპეს რეკარტე), რივასი, გარიტანო, სავიო, ჩაბი პრიეტო, დიას დე სერიო (67. ერერა), კოვაჩევიჩი.

ლევანტე: მოლინა, კურტუა (86. ჰარტი), ალექსისი, დესკარგა (75. რეჯი), დეუ, ტომაზი, ბერსონი (56. ზე მარია), ნ'დიაიე, რიგა, კაპო, სალვა.

გოლი: 1:0 ანსოტეგი (38)

გაძევება: რიგა (53. ლევანტე)

გაფრთხილება: 2-5; **დარტყმა**: 9(5)-10(3); **კუთხური**: 4-3; **თამაშგარე**: 6-8; **ჯარიმა**: 16-22; **ბურთის ფლობა**: 47%-53%

მაყურებელი: 25 242

ვალენსია-ესპანიოლი 3:2

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, მარჩენა, ალბიოლი, ხოაკინი, ანგულო (68. სილვა), ვისენტე (74. უგო ვიანა), ვილია (83. გერა).

ესპანიოლი: კამენი, ლაკრუსი (66. საბალეტა), ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, რუფეტე (81. კორრ), მოისესი, დე ლა პენია, რიერა, ტამუდო, ლუის გარსია (74. პანდიანი).

გოლები: 1:0 ვილია (12): 1:1 რიერა (14), 2:1 ვისენტე (26), 3:1 ანგულო (59), 3:2 ლუის გარსია (63)

გაფრთხილება: 4-5; **დარტყმა**: 12(7)-11(4); **კუთხური**: 6-7; **თამაშგარე**: 2-4; **ჯარიმა**: 18-11; **ბურთის ფლობა**: 51%-49%

მაყურებელი: 40 000

ბარსელონა-დეპორტივო 2:1

ბარსელონა: ვალდესი, ძამბრუტა, ტიურამი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი (90+1. მოტა), ედმილსონი, ჩავი, ინიესტა (75. ოლეგერი), მესი (85. ჟიული), რონალდინიო, ეტო'ო.

დეპორტივო: ავატე, კოლოჩინი, ჟორჟე ანდრადე, ლოპო, კაპდევილია, ხუან როდრიგესი, დე გუსმანი (83. სერხიო), ესტოიანოფი, ვერდუ, კრისტიანი, რიკი (61. ადრიანი).

გოლები: 1:0 მესი (45), 2:0 ეტო'ო (51), 2:1 ადრიანი (59)

გაფრთხილება: 3-2; **დარტყმა**: 18(6)-12(3); **კუთხური**: 4-6; **თამაშგარე**: 2-1; **ჯარიმა**: 18-24; **ბურთის ფლობა**: 65%-35%

მაყურებელი: 63 827

ატლეტიკო-მალიორკა 1:1

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პერეა, პაბლო, ელერი, ანტონიო ლოპესი, ხურადო, გაბი (60. აგუერო), გალეტი (66. მარკესი), ლუქსენი, მისტა, ფერნანდო ტორესი.

მალიორკა: მოია, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ჰერეირა, იბაგასა, ბასინასი (61. მაქსი ლოპესი), არანგო (72. ტუნი), ვიქტორი (89. დიეგო ტრისტანი), იონას გუტიერესი.

გოლები: 1:0 ფერნანდო ტორესი (15), 1:1 არანგო (52)

გაძევება: ლუქსენი (90+5. ატლეტიკო)

გაფრთხილება: 6-5; **დარტყმა**: 16(3)-9(1); **კუთხური**: 7-2; **თამაშგარე**: 2-2; **ჯარიმა**: 24-16; **ბურთის ფლობა**: 51%-49%

მაყურებელი: 36 000

რასინგი-ბილბაო 5:4

რასინგი: ტონიო, პინილიოსი, რუბენი, გარაი, კრისტიანი, ვიტოლო, კოლსა, ბალბოა (90+2. მომო), მუნიტისი (90+4. ხუანხო), ჟიგიჩი, ოსკარ სერანო (81. კრისტიან ალვარესი).

ბილბაო: არანსუბია, ესპოზიტო, ლუის პრიეტო, ამორებიეტა, ხავი გონსალესი, მურილიო, ირაოლა, ეჩებერია, ხავი მარტინესი (76. გარმენდია), გაბილონდო (69. იესტე), ურსაისი (56. ლორენტე).

გოლები: 0:1 ლუის პრიეტო (6), 1:1 კრისტიანი (58), 1:2 ეჩებერია (62), 2:2 გარაი (65-პენ), 3:2 ჟიგიჩი (69), 4:2 მურილიო (77-საკ. კარში), 4:3 ეჩებერია (79), 4:4 ირაოლა (82), 5:4 ჟიგიჩი (88)

გაფრთხილება: 4-4; **დარტყმა**: 20(6)-10(5); **კუთხური**: 6-3; **თამაშგარე**: 2-1; **ჯარიმა**: 18-25; **ბურთის ფლობა**: 54%-46%

მაყურებელი: 24 000

ხეტაფე-სარაგოსა 2:2

ხეტაფე: აბონდანსიერი, ბელენგერი, ალექსისი, კორტესი (48. მარისი), პარედესი, ალბერტო, მარიო კოტელო, კასკერო, ნაჩო (81. რედონდო), გუისა, მანუ დელ მორალი (74. ვივარ დორადო).

სარაგოსა: სესარი, დიოგო, გაბი მილიტო, ხუანფრანი, პიკე, სერხიო (45. სელადესი), საპატერი, დ'ალესანდრო (86. ლაფიტა), აიმარი, დიეგო მილიტო, სერხიო გარსია (78. ოსკარი).

გოლები: 0:1 სერხო გარსია (21), 0:2 დ'ალესანდრო (35), 1:2 მანუ დელ მორალი (42), 2:2 კასკერო (60)

გაძევება: პარედესი (90. ხეტაფე)

გაფრთხილება: 4-3; **დარტყმა**: 17(9)-12(5); **კუთხური**: 8-5; **თამაშგარე**: 1-4; **ჯარიმა**: 19-23; **ბურთის ფლობა**: 51%-49%

მაყურებელი: 19 000

ხიმნასტიკი-რეკრეატივო 1:1

ხიმნასტიკი: ბისარი, კალვო, მატელიანი, მარკო, კამპანიო, სერანო, შაბოდი, მორალესი (68. გრანი), რუბენ კასტრო (55. ხუან დიასი), პორტილიო, პინილია (76. ხენერელო).

რეკრეატივო: ლოპეს ვალიეხო, მერინო, მარიო, პაბლო ამო, დანი ბაუტისტა (73. როსუ), ბარბერი, აიტორი, ხესუს ვასკესი (64. ვიკეირა), ხუანმა (64. ჩელი), სინამა პონგოლე, უჩე.

გოლები: 0:1 სინამა პონგოლე (10), 1:1 პორტილიო (14)

გაძევება: კამპანიო (42. ხიმნასტიკი)

გაფრთხილება: 5-1; **დარტყმა**: 12(5)-14(2); **კუთხური**: 5-5; **თამაშგარე**: 5-2; **ჯარიმა**: 19-24; **ბურთის ფლობა**: 50%-50%

მაყურებელი: 20 000

სელტა-რეალი 1:2

სელტა: პინტო, კონტრერასი, ლეკი, პლასენტე, ანხელი, უბინია, ირონეი, ბამოგო (74. პერერა), ნენე (85. ჯონათანი), გუსტავო ლოპესი (69. ნუნიესი), ბაიანო.

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო (84. მეხია), ივან ელგერა, სერხიო რამოსი, ტორესი, გახო (74. ემერსონი), დიარა, იგუანი, გუტი, ვან ნისტელროი, რაული (62. რობინიო).

გოლები: 0:1 ვან ნისტელროი (26-პენ), 1:1 ანხელი (43), 1:2 რობინიო (83)

გაძევება: გუტი (90. რეალი)

გაფრთხილება: 5-6; **დარტყმა**: 18(6)-8(6); **კუთხური**: 8-0; **თამაშგარე**: 3-0; **ჯარიმა**: 9-20; **ბურთის ფლობა**: 49%-51%

მაყურებელი: 34 000

ოსასუნა-სევილია 0:0

ოსასუნა: რიკარდო, ხავიერ ფლანიო, კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, კორალესი, ერისე, ხუან-ფრანი, მუნიოსი (71. ექტორ ფონტი), რაულ გარსია, დავიდ ლოპესი (86. ვალდო), ვებო (77. მილოშევიჩი).

სევილია: კობენიო, ჰინკელი (62. კერჟაკოვი), ხავი ნავარო, დრაგუტინოვიჩი, დავიდი, მარესკა, მარტი, ხესუს ნავასი, პუერტა, ჩევანტონი (77. კანუტე), ლუიმ ფაბიანო (62. ჰოულსენი)

გაფრთხილება: 5-2; **დარტყმა**: 10(5)-17(2); **კუთხური**: 7-6; **თამაშგარე**: 2-3; **ჯარიმა**: 16-16; **ბურთის ფლობა**: 49%-51%

მაყურებელი: 25 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	28	16	8	4	59-26	56
2. სევილია	28	16	6	6	48-24	54
3. რეალი	28	15	6	7	39-25	51
4. ვალენსია	28	15	5	8	40-28	50
5. სარაგოსა	28	13	8	7	42-29	47
6. ატლეტიკო	28	12	8	8	33-24	44
7. რასინგი	28	11	10	7	35-34	43
8. რეკრეატივო	28	12	6	10	36-36	42
9. ხეტაფე	28	10	9	9	24-20	39
10. ესპანიოლი	28	9	11	8	31-31	38
11. ვილიარეალი	28	10	8	10	29-35	38
12. დეპორტივო	28	9	9	10	21-30	36
13. ოსასუნა	28	10	5	13	34-33	35
14. მალიორკა	28	9	6	13	29-40	33
15. ბეტისი	28	7	11	10	28-34	32
16. ლევანტე	28	6	10	12	23-38	28
17. სელტა	28	6	9	13	28-40	27
18. ბილბაო	28	6	8	14	31-45	26
19. სოსიედადი	28	4	9	15	20-36	21
20. ხიმნასტიკი	28	5	6	17	29-51	21

ბომბარდირები: 19 -კანუტე (სევილია); 18 - დიეგო მილიტო (სარაგოსა); 17 - რონალდინიო (ბარსელონა); 16 - ვან ნისტელროი (რეალი); 12 - მორიენტესი (ვალენსია); 11 - ვილია (ვალენსია); 10 - ლუის გარსია (ესპანიოლი), ფორლანი (ვილიარეალი), ტამუდო (ესპანიოლი), ბაიანო (სელტა).

II დივიზიონი

XXXI ტური

ლას პალმასი-ჟირონა 1:0

გოლი: 1:0 მ. მარკესი (36-პენ)

ლორკა-ელჩე 2:0

გოლები: 1:0 ხურადო (42), 2:0 როდრიგესი (45-პენ)

ხერესი-რეალი B 3:1

გოლები: 1:0 პალენსია (10-საკ. კარში), 1:1 ნეგრედო (16), 2:1 არუაბარენა (80), 3:1 კომუნასი (89)

სპორტინგი-ალბერა 1:2

გოლები: 1:0 კასტრო (32), 1:1 კრუსატი (50), 1:2 აკასიეტე (54)

ალბასეტე-კასტელონი 0:1

გოლი: 0:1 ბელმონტი (14)

სიუდადი-ბენიდორუ 2:1

გოლები: 0:1 რ. სანჩესი (41), 1:1 დიასი (76), 2:1 ლუკე (78)

ვალიადოლიდი-მალაგა 1:0

გოლი: 1:0 ტოჩე (72)

ნუმანსია-ალბაცეტი 1:0

გოლი: 1:0 ალვარესი (84)

ეიბარ-ვალენსიარიო 1:0

გოლი: 1:0 ორტისი (8)

სალამანკა-პონფერადინა 3:3

გოლები: 1:0 ელმანტიკო (30), 2:0 ბრაუნიო (43), 3:0 არპონი (52), 3:1 სიფუ (58), 3:2 რისო (82), 3:3 ფრანი (85)

ალკორონი-ტარაგონა 2:3

გოლები: 0:1 კალანდრია (32), 1:1 რ. ნავარო (56-პენ), 1:2 კიკე (63), 2:2 არტურო (78), 2:3 ტურიელი (83)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ვალიადოლიდი	31	20	8	3	48-21	68
2. ალმერია	31	17	7	7	52-32	58
3. ჟირონა	31	16	9	6	46-32	57
4. სიუდადი	31	14	6	11	32-28	48
5. ხერესი	31	13	8	10	37-27	47
6. ნუმანსია	31	13	8	10	34-30	47
7. ეიბიდო	31	12	9	10	39-35	45
8. სალამანკა	31	12	8	11	41-38	44
9. ერკულესი	31	12	8	11	38-35	44
10. კადისი	31	11	11	9	34-32	44
11. ალბასეტე	31	12	7	12	36-36	43
12. ლას პალმასი	31	10	11	10	38-37	41
13. სპორტინგი	31	12	4	15	36-34	40
14. ალავესი	31	10	10	11	36-40	40
15. ტენერიფე	31	11	6	14	30-37	39
15. კასტელონი	31	10	8	13	30-33	38
17. რეალი B	31	10	8	13	35-44	38
18. ელჩე	31	9	10	12	32-36	37
19. მალაგა	31	9	9	13	30-38	36
20. პონფერადინა	31	8	10	13	27-37	34
21. ლორკა	31	7	7	17	27-42	28
22. ვალენსიარიო	31	5	4	22	25-59	19

იტალია. სერია A. XXX ტური

ინტერი: რვა ქულა ჩემპიონობამდე

ინტერი-პარმა. მაქსველის გოლი სტუმართა კარში

ჩემპიონობა ლიგაში დარჩენილი ორი იტალიური გუნდი შაბათს ერთმანეთს ტურის ცენტრალურ შეხვედრაში დაუპირისპირდა. იმ დროს, როცა ყველა **ტოტი-რონალდოს** დუელს ელოდა, მთავარ გმირად ის ფეხბურთელი იქცა, ვისგანაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ – **ალბერტო ჯილარდინო**. "მილანის" საუკეთესო ბომბარდირი (12 გოლით), რომელიც კიდევ ერთხელ დარჩა სკამზე (უსამართლოდო, შენიშნავდა იტალიური პრესა), მეორე ნახევარში **ოლივეირას** მაგივრად შევიდა და თავის გუნდს ქულა გადაურჩინა. სიმართლე ითქვას, ჯილარდინოს ბოლო წუთებზე ათასპროცენტიანი მომენტი ჰქონდა და "მილანისთვის" სამი ქულის მოტანაც შეეძლო, მაგრამ ეს უკვე დიდი უსამართლობა იქნებოდა, იმიტომ, რომ მოედანზე იმ დღეს მარტო "რომა" თამაშობდა. **სპალეტის** გუნდი **ანჩელოტისას** აშკარად სჯობნიდა და ნაადრევად დანინაურების შემდეგ, არაერთხელ ჰქონდა შანსი, რომ უპირატესობა ორ ბურთამდე გაეზარდა, რითაც შეხვედრას საბოლოო წერტილსაც დაუსვამდა. ოთხშაბათს "რომა" "მანჩესტერს" პირველ მეოთხედფინალში მასპინძლობს და ერთადერთი პრეტენზია, რომელიც სპალეტის თავისი ფეხბურთელების მიმართ შეიძლება ჰქონდეს, სწორედ მომენტების გამოუყენებლობაა. "მილანს" კი, ასეთი თამაშის ფონზე, რაღაც სასწაულებრივი გარდასახვის იმედი უნდა ჰქონდეს, სამშაბათს "სან სიროზე" "ბაიერნს" რომ მოუგოს, თან არა მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით. ერთადერთი პოზიტიური სიახლე ანჩელოტის გუნდისთვის **ნესტას** ღირსეული დაბრუნება იყო (ნოემბრის შემდეგ), სხვა მხრივ კი "მილანის" შანსებს, რომ ევროპულ ნახევარფინალში და ჩემპიონატის პირველ ოთხეულში გავიდეს, ბევრი კითხვის ნიშანი ახლავს თან. შემთხვევითობა არ არის, რომ "როსონერიმ" წელს მხოლოდ ოთხი გასვლითი შეხვედრა მოიგო ("პარმასთან", "კიევოსთან","უდინეზესა" და "სიენასთან").

თამაში დაიწყო და მე-4 წუთზე მასპინძლები უკვე იგებდნენ: **დე როსიმ დიდა** აიძულა, რომ რთული ნახტომით ბურთი კუთხურზე გადაეგდო. კუთხური **ტოტიმ** მოაწოდა და **მექსემ**, საჯარიმოს ხაზიდან, შეუჩერებელი დარტყმით ანგარიში გახსნა. ასეთი საჩუქარი გაუკეთა ფრანგმა საკუთარ თავს 25-ე დაბადებისდღეზე, მართალია, ერთი დღის დაგვიანებით, მაგრამ მაინც. წესით, ამას "მილანის" რეაგირება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მთელი რეაქცია **შიმჩის** ერთი თავური იყო, რის შემდეგაც ბურთი კარს ოდნავ ასცდა. ეს იყო სტუმრების ერთადერთი მცდელობა პირველ ტაიმში, თუ არ ჩავთვლით რონალდოს ერთ დარტყმას, რომელსაც გზად მექსე გადაეღობა, ისე, რომ მეკარე **დონის** საქმეში ჩართვა არ დასჭირვებია. მოედანზე "რომა" დომინირებდა: მასპინძლები "ვერტიკალურ" ფეხბურთს თამაშობდნენ, ანუ პირდაპირ კარზე მიდიოდნენ და ამ საქმეში ძალიან ეხმარებოდათ თავისი გარემარბების, **მანსინისა** და **ვილპელმსონის** სისწრაფე. "მილანი" კი "ჰორიზონტალურად" თამაშობდა **ზეედორფის** ჩვეული და უკვე მოსაბეზრებელი ჰორიზონტალური პასებით, **პირლო** ჩვეული გრძელი გადაცემებისას უჩვეულოდ ხშირად ცდებოდა, **კაკა** კი თავისთვის თამაშობდა და ვერაფრით ეხმარებოდა თანამემაულე ფორვარდებს: ოლივეირამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ "მილანის" დონე არ არის, რონალდო კი ეპიზოდურად ჩანდა, თუმცა ხეირი არც მას მოუტანია. ვეტერანი განაპირა მცველები **კაფუ** და **ფავალი** წინ წასვლას ვერც ბედავდნენ. ეს ყველაფერი ძალიან ცოტა იყო იმისთვის, რომ სტუმრებს ანგარიში გაეთანაბრებინათ. პირველი ტაიმის შემდეგ კარის მიმართულებით შესრულებული დარტყმების სტატისტიკა ასეთი იყო: 5:0 "რომას" სასარგებლოდ. ამ ხუთიდან ორჯერ დიდამ იხსნა კარი ტოტისა და მექსეს დარტყმებისგან. შესვენებისას ანჩელოტის ჯილარდინო გაახსენდა. 62-ე წუთზე პირლომ ჯარიმიდან ბურთი ბოლოს და ბოლოს ხეირიანად ჩაანოდა, ჯილარდინომ მცველებს დაასწრო და ლამაზი თავურით გაათანაბრა. "რომა" წინ გავარდა და უფრო სახიფათოდ შეუტია, მაგრამ "მილანმა" გაძლო, ერთ ეპიზოდში კი კონტრშეტევაზეც გადავიდა: კაკამ ბურთი ცენტრში მიიღო, მცველებს თავისებურად დაუარა და მეკარის პირისპირ დატოვა ჯილარდინო, მაგრამ ფორვარდმა ააცილა. ნამატჩევს ანჩელოტიმ თამაში ასე შეაფასა: *"ძალიან აბნეულად და ზანტად დავიწყეთ და გოლიც ამის გამო გავუშვით. არადა, ფეხბურთელებისთვის ნათქვამი მქონდა, რომ ყურადღებით ყოფილიყვნენ კუთხურებზე, იმიტომ, რომ რომაელები კუთხურებს ყოველთვის უსწრაფესად ათამაშებენ. მეორე ტაიმში სხვა "მილანი" ვიხილეთ, ერთ მომენტში მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, დაწინაურებაც შეგვეძლო. ფრე ლოგიკური შედეგია, გამარჯვება ალბათ უსამართლობა იქნებოდა".*

ლუჩანო სპალეტი: *"შედეგით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ის მსურებს, რომ გუნდი ოპტიმალურ ფორმაშია. დიდი ენერგია დავხარჯეთ, თუმცა ამის გამო არ ვნერვიულობ. მომდევნო სამ დღეში ძალები უნდა აღვიდგინოთ, სტიმული არ გვაკლია. მთავარი მაინც ისაა, რომ დღეს ბრწყინვალე თამაში ვაჩვენეთ. ეს გვაძლევს იმის რწმენას, რომ "მანჩესტერთან" წარმატების მიღწევა შეგვიძლია".*

შაბათის მეორე შეხვედრაში "სიენამ" რეჯო კალაბრიიდან მოულოდნელი სამი ქულა ნამოიღო. ტოსკანურ გუნდს ბოლო 19 შეხვედრაში ერთადერთხელ მოეგო და ისიც 21 იანვარს. უნდა აღინიშნოს, რომ გამარჯვებაში სტუმრებს მსაჯიც წაეხმარა, როცა **ლუკარელი** 22-ე წუთზე გააძევა და "რეჯინა" 10 კაცით დატოვა. მცველის გაძევებასთან ერთად "სიენამ" პენალტიც მოიპოვა, მაგრამ **კოცას** მეკარე **კამპანიოლომ** აუღო. გამარჯვების გოლი სტუმრებმა პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე გაიტანეს: შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა **ბერტოტომ** კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავი დაჰკრა და "სიენას" სამი ქულა მოუტანა.

"ინტერმა", რაღა თქმა უნდა, ისევ მოიგო და "რომასთან" სხვაობა უკვე 20 ქულით გაზარდა. **რობერტო მანჩინისთვის** ეს მე-100 გამარჯვება იყო "ნერაძურის" მწვრთნელის როლში. სკუდეტოს ოფიციალურად გაფორმების დღე სულ უფრო ახლოვდება: თუ რაიმე სენსაციური არ მოხდა, "ინტერი" გაჩემპიონება აპრილის თვეს არ უნდა გასცდეს. ცხადია, რომ ასეთ სიტუაციაში მანჩინის გუნდს უჭირს საკუთარ თავში სტიმულის პოვნა. ერთადერთი მოტივაცია მილანელებისთვის რეკორდებია. ალბათ ამის გამო იყო, რომ პირველი ტაიმში "ინტერმა" ძალიან ზანტი და ისე-რა გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. "პარმა" მეტისმეტად დაბალი ღობეა ამ "ინტერისთვის", მთელი ძალით რომ ეთამაშოს: **რანიერის** გუნდის გასატეხად ტაიმის ნახევარი და პატარა აჩქარებაც სრულიად საკმარისია. წინა ტურის მსგავსად (ასკოლიში 2:1), "ნერაძურიმ" საქმეს ხელი შესვენების შემდეგ მოჰკიდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ათი წუთის განახლებული იყო თამაში, როცა **მაქსველმა** ანგარიში ულამაზესი გოლით გახსნა: ბრაზილიელი ბურთს დაეწია და გადასვლის საშუალება არ მისცა, შემდეგ **კრეპოსთან** "კედელი" გაითამაშა, ბურთიანად სამ მცველს შორის გაძვრა და ლამის პირითი ხაზიდან უძლიერესი დარტყმით შორეულ "ცხრიანში" შეაგდო, 1:0. მეორე გოლი მთლიანად **ადრიანოს** ნახელავი იყო: 70-ე წუთზე ბრაზილიელმა ბურთი საჯარიმოს გარეთ მიიღო, ორი მცველი ჩამოიშორა და მეკარის პირისპირ გასულმა "დაღეჭილი" ბურთი მიართვა გვერდზე მდგომ კრესპოს, რომელმაც ცარიელ კარში შეაგორა, 2:0. ამის შემდეგ "ინტერი" მოეშვა, მართალია, შეტევას აგრძელებდა (ადრიანომ თავით ზედა ძელს გაარტყა) , მაგრამ "პარმასაც" გაუხსნა სივრცეები და გოლის გაშვებას ორჯერ გადაურჩა: პირველად, **ტოლდომ** პირისპირ დარჩენილ **გასპარონის** მოუგერია, ხუთი წუთის შემდეგ კი **მაიკონმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ტურის ერთ-ერთი სიახლე ისაა, რომ "პალერმოს" დაკარგული ქულებით უკვე "ემპოლიც" დაენია. თვეების წინ ჩემპიონატის "მესამე ძალად" წოდებული "პალერმო" ზედიზედ შვიდი ტურია ვერ იგებს (2 ნაგება, 5 ფრე) და პოზიციებს ტურიდან ტურამდე კარგავს. "ტორინოს" წინააღმდეგ სიცილიური გუნდი მხოლოდ პირველ 20 წუთში იყო სახიფათო, მერე მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს და ერთსაათიანი უემოციო ფეხბურთის შემდეგ ყველაფერი 0:0-ით დასრულდა. ამასობაში "ემპოლიმ" აუტსაიდერი "ასკოლი" დაიბრიყვა და მეხუთე ადგილზე "მილანს" ხელახლა ჩაენაცვლა. "ფიორენტინამ" ბერგამოში ორბურთიანი უპირატესობა გაანაივა, რაც ამ გუნდისთვის მეტად უჩვეულო მოვლენაა. შედეგად, ზედიზედ მესამე ფრე და ფლორენციელებისთვის ჩემპიონთალიგური შანსები სულ უფრო მცირდება. "ვიოლას" სამი ლიდერი აკლდა: **მუტუ** და კაპიტანი **დაინელი** დისკვალიფიკაციის გამო, **ტონის** კი ტრავმის გამო თადარიგში დაჯდომა მოუწია. ამის მიუხედავად, სტუმრებისთვის ყველაფერი ისე იოლად დაიწყო, მათი არყოფნა სულ არ იგრძნობოდა. 27-ე წუთზე კუნთმაგარმა და ფეხმარდმა **რეჟინალადომ** მარჯვენა ფრთა გადაირბინა, ამასობაში თანაგუნდელმა ბურთი უგრძელესი პასით დააწია და ბრაზილიელმაც უძლიერესი დარტყმით ახლო "ცხრიანში" გაჭედა. ხუთ წუთში სტუმრებმა პენალტის უფლება მოიპოვეს და **პაცინიმ** სხვაობა ორამდე გაზარდა. 39-ე წუთზე ბერგამოელმა **ლორიამ** თავურით ერთი ბურთი გაქვითა. შესვენების შემდეგ "ატალანტა" თავგანწირვით იბრძოდა და 65-ე წუთზე **დონის** ზუსტი 11-მეტრიანით გაათანაბრა. ლუკა ტონი მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა მოედანზე, მაგრამ ფეხმტკიცანს დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია.

წარმატებით დაიწყო **ნანდო ორსის** სამწვრთნელო კარიერა "ლივორნოში". რობერტო მანჩინის ყოფილი თანაშემწე ტოსკანურ გუნდში ორი კვირის წინ დაინიშნა და მისმა გუნდმა პირველივე შეხვედრაში დამაჯერებელი და ლამაზი თამაშით გაიმარჯვა. **ლუკარელის** ჰეთთრიკითა (101-ე გოლი სერია A-ში) და **ფიორეს** გოლით "ლივორნომ" მიწასთან გაასწორა დასაწყისში დაინიურებული "კატანია", რომელსაც 11 ტურია აღარ მოუგია და თუკი პირველი წრის შემდეგ მე-4 ადგილს იკავებდა, ახლა გადარჩენისთვის უწევს ბრძოლა. "კიევომ" და "სამდორიამ" პირველ ტაიმში თითო გოლი გაცვალეს, მეორე ნახევარში კი მხოლოდ დაცვაზე იზრუნეს და ქულები გაიყვეს. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა "კალიარიმ" კონკურენტ "მესინასთან" და გასავარდნ ზონას უკვე 6 ქულით დაშორდა.

მომდევნო ტური

7 აპრილი. **ფიორენტინა-ასკოლი, პალერმო-კალიარი, ატალანტა-კიევო, რეჯინა-ინტერი, პარმა-ლივორნო, ლაციო-მესინა, კატანია-რომა, სამდორია-ტორინო, სიენა-უდინეზე, მილანი-ემპოლი.**

რეჯინა-სიენა 0:1

რეჯინა: კამპანიოლო-7, ლანძარო-5.5, ა. ლუკარელი-4.5, არონიკა-6, მესტო-6, ტონიოლი-5.5 (82. ამერინი-შ.გ), ფოჯა-6.5 (86. ნილსენი-შ.გ), ჯაკ. ტედესკო-6, მოდესტო-6 (70. ვიჯანი-შ.გ), ამორუზო-5.5, ბიანკი-6.5.

სიენა: მანნგერი-7, ბერტოტო-7, გასტელდელო-6.5, მოლინარო-6, ა. როსი-6 (82. ალბერტო-შ.გ), ანტონინი-7, ე. ბრეკი-6, გალიპა-6.5 (60. ვერგასოლა-6), პორტანოვა-6.5, კოცა-5.5 (62. ფრიკი-შ.გ), კორეია-5.5.

გოლი: 0:1 ბერტოტო (45)

გაძევება: ა. ლუკარელი (22. რეჯინა), კორეია (72. სიენა)

გაფრთხილება: 0-5; **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 12-9 (9-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

მაყურებელი: 12 000

რომა-მილანი 1:1

რომა: ა. დონი-6, კასეტი-6.5, მექსე-6.5, კიეუ-6, პაზენი-6, დე როსი-6.5, პისარო-6, ვილპელმსონი-6.5 (68. პეროტა-5.5), ტადეი-6.5, მანსინი-5.5 (85. ტავანო-შ.გ), ტოტი-6 (82. ვუჩინიჩი-შ.გ).

მილანი: დიდა-6, კაფუ-5.5, შიმჩი-5.5, ნესტა-6.5, ფავალი-5, ბროკი-5.5, პირლო-6, კაკა-5.5, ზეედორფი-5 (72. გურკუფი-შ.გ), ოლივეირა-5.5 (46. ჯილარდინო-6), რონალდო-5.5 (79. გატუზო-შ.გ).

გოლები: 1:0 მექსე (3), 1:1 ჯილარდინო (61)

გაფრთხილება: 3-2; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 22-13 (14-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

მაყურებელი: 45 000

ინტერი-პარმა 2:0

ინტერი: ტოლდო-6.5, მატერაცი-6.5, მაქსველი-6.5 (69. დიკური-6), ხ. ძანეტი-6.5, ბურდისო-6, მაიკონი-6, სტანკოვიჩი-6, ფიგუ-6.5 (69. რეკობა-6.5), კამბიასო-6.5, ადრიანო-6.5, კრესპო-6.5 (79. გონსალესი-შ.გ).

პარმა: ბუჩი-6.5, პაჩი-5 (85. ბოკეტი-შ.გ), კასტელინი-6 (73. ბოლანო-შ.გ), ფერნანდო კოუტუ-5.5, ფერონეტი-6, კონტინი-5.5, გასბარონი-7, პარავიჩინი-6.5, დესენა-5.5, ბუდანი-6 (72. მორფეო-6), ჯ. როსი-6.5.

გოლები: 1:0 მაქსველი (55), 2:0 კრესპო (70)

გაფრთხილება: 2-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 27-25 (15-20); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 40 000

ტორინო-პალერმო 0:0

ტორინო: აბიატი-6, ო. ბრეკი-6, კომოტო-6, ბოვო-6, ბალესტრი-6, ლაზეტიჩი-6 (77. ბარონე-შ.გ), არდიტი-5.5, როზინა-7, გალო-6, აბრუსკატო-5.5 (71. კონანი-5.5), მუცი-6 (69. სტელონე-6).

პალერმო: ა. ფონტანა-6.5, ბიავა-6 (57. კასანი-6), მ. პიზანო-6, ბარძალი-6, ძაკარდო-6, ჩარამბარო-6 (90. ჯაკომაცი-შ.გ), ბრეშანო-6.5, სიმპლისიუ-6, დიანა-6, კარაჩოლო-5, დი მიკელე-5 (73. ბრიენცა-შ.გ).

გაფრთხილება: 1-3; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 17-23; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 16-10 (9-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 21 000

ატალანტა-ფიორენტინა 2:2

ატალანტა: კალდერონი-6, ლორია-6.5, ბელინი-6.5, ტალამონტი-6, რიგალტა-6.5, ბომბარდირი-6 (46. კ. დონი-7.5), ტისონე-5.5 (46. ვენტოლა-6.5), დონატი-6, არიატი-7, ბერნარდინი-6 (84. აბეიხონი-შ.გ), ძამპანა-7.

ფიორენტინა: ფრეი-6.5, კროლდერუპი-6.5, პასკუალი-5.5, გამბერინი-6, პოტენცა-6.5, მონტოლივო-6.5, იორგენსენი-6.5, ბლაზი-6 (59. პაციენცა-6), ლიევორნი-7, პაცინი-6 (67. ტონი-5.5), რეფინალდო-6.5 (59. სანტანა-6.5).

გოლები: 0:1 რეფინალდო (27), 0:2 პაცინი (32-პენ), 1:2 ლორია (39), 2:2 კ. დონი (65-პენ)

გაფრთხილება: 2-2; **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 19-30; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 10-8 (6-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 13 000

ემპოლი-ასკოლი 4:1

ემპოლი: ბალი-6, პრატალი-6.5, ტოსტო-6, ლუკინი-6, რაჯი-6.5 (68. ადანი-6), ვანუკი-6.5, ალმორონი-6 (78. დ. მორო-შ.გ), ბუზე-6.5, მარიანინი-6, საუდატი-7 (73. მატეინი-შ.გ), პოცი-7.

ასკოლი: ელეფთეროპულოსი-5.5, მელარა-5.5, ვასტოლა-5.5 (57. ბონანი-5), ჯორალო-5.5, პეზე-5.5 (62. მ. დელვეკიო-5), ნასტასე-5, ფოლიო-5.5, ფინი-5.5, ბუდიანსკი-5, სონჩინი-6.5, პაოლური-5.5.

გოლები: 1:0 პოცი (44), 1:1 სონჩინი (50), 2:1 საუდატი (53-პენ), 3:1 საუდატი (71), 4:1 პოცი (74)

გაძევება: მ. დელვეკიო (67. ასკოლი)

გაფრთხილება: 1-4; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 21-29; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16-11 (6-8); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

მაყურებელი: 11 070

კიევო-სამპდორია 1:1

კიევო: სკუიცი-5, ლანა-6, მალაგო-6, მანდელი-6.5, დ'ანა-6.5, კოსოვსკი-6 (56. ლუსიანო-5.5), ბრიგი-7 (78. სეზარ პრატში-შ.გ), სამარკო-7, იტალიანო-6.5, ბოგდანი-7 (61. ობინა-6), პელსიე-5.

სამპდორია: ბერტა-5, აკარდი-6, კ. ძენონი-5.5, სალა-6.5, მაჯო-6, დ. ფრანჩესკინი-5.5 (65. ციგლერი-6), პალომბო-5.5, პაროლა-6, ვოლპი-6.5 (83. ჯ. დელვეკიო-შ.გ), კეალიარელა-7.5, ბაძანი-5.5 (74. ოლივეირა-შ.გ).

გოლები: 0:1 კეალიარელა (27), 1:1 ბრიგი (33)

გაფრთხილება: 0-1; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 27-27; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 9-7 (3-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 5 565

ლივორნო-კაპანია 4:1

ლივორნო: მანიტა-6, გალანტე-6.5, პასკუალე-6.5, პავანი-6, ბალერი-6 (29. გრანდონი-6), ა. ფილიპინი-7, პასონი-5.5 (67. ვიდიგალი-6), პეფერტაცელი-5.5 (59. კოპოლა-6), ფიორე-7, მორონე-6.5, კ. ლუკარელი-8.

კატანია: პანტანელი-5, სოტილი-6, ვარგასი-5, სეზარ ვინსიუ-5 (46. კაზერტა-5.5), სილვესტრი-5 (46. კორონა-6), ლუჩენტი-5.5, სტოვინი-5, ბაიოკო-5, ედუსეი-5.5 (72. ბიზო-5.5), მასკარა-5.5, სპინენზი-5.

გოლები: 0:1 სოტილი (14), 1:1 კ. ლუკარელი (20), 2:1 ფიორე (45), 3:1 კ. ლუკარელი (83-პენ), 4:1 კ. ლუკარელი (90)

გაძევება: ბაიოკო (66. კატანია)

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 11-23; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 17-9 (13-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 5 800

კალიარი-მესინა 2:0

კალიარი: ფორტინი-შ.გ, ბიანკი-6.5, დელ გროსო-6 (78. აგოსტინი-შ.გ), ლიპეი-6.5, ფერი-6, კონტი-6.5, კაპონე-6.5 (20. ა. დ'აგოსტინო-6.5), ბიონდინი-7 (73. მარკინი-შ.გ), ბუდელი-6.5, სუასო-7, პეპე-6.5.

მესინა: პაოლეტი-7, ძანკი-5.5, ლავეკია-5.5 (70. დე ვეკე-შ.გ), ზორო-5, რეა-5.5 (46. ჯალომბარდო-5.5), კანდელა-5.5, მაზიელო-5.5, პესტრინი-5.5, ალეარესი-5.5, რიგანო-6, ფლოკარი-5.5 (40. ილიევი-6).

გოლები: 1:0 ბიონდინი (12), 2:0 ბუდელი (24)

გაძევება: ზორო (75. მესინა)

გაფრთხილება: 1-3; **კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 22-24; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14-7 (7-0); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

მაყურებელი: 9 255

უდინეზე-ლაციო 2:4

უდინეზე: დე სანქტისი-5.5, ბერტანი-5.5, ლიონი-6, ოდო-შ.გ), კოდი-5, სპპატა-5, ფ. ბერტანი-5, ბ. სოტილა-5.5), ზიეოკი-5.5 (63. ია. ლინტა-5.5), ე. დ'ალეტანდრო-5, მუნტარი-5.5, დოსენა-5, ბერტა-5, ბ. ბ. ...

ლაციო: პეტუცი-6, ბელეირი-6, სტენდარდი-6.5 (89. დიაკიტი-შ.გ), სიელია-6.5, ძაური-6.5, ბეპრამი-7, ლედესმა-7, მანფრედონი-6.5, მაური-7 (85. ბარონიო-შ.გ), როკი-6.5, პანდევი-6 (79. მაკინეა-შ.გ).

გოლები: 0:1 სტენდარდი (18), 0:2 მაური (50), 0:3 ბეპრამი (51), 1:3 დი ნატალე (58-პენ), 1:4 როკი (59-პენ), 2:4 იაკუნტა (90)

გაძევება: გ. დ'აგოსტინო (81. უდინეზე)

გაფრთხილება: 4-2; **კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 20-8 (11-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 10 862

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	29	25	4	0	63-23	79
2. რომა	29	17	8	4	56-23	59
3. ლაციო	29	16	7	6	51-24	52
4. პალერმო	30	13	9	8	43-34	48
5. ემპოლი	29	12	9	8	32-28	45
6. მილანი	29	14	10	5	39-25	44
7. ფიორენტინა	29	15	8	6	47-26	38
8. სამპდორია	29	9	9	11	36-36	36
9. უდინეზე	29	9	8	12	36-41	35
10. ატალანტა	29	7	12	10	42-42	33
11. ლივორნო	29	7	11	11	31-44	32
12. ტორინო	29	8	8	13	24-39	32
13. კატანია	30	8	8	14	37-58	32
14. სიენა	29	6	13	10	25-32	30
15. კალიარი	29	6	12	11	23-32	30
16. კიევო	29	6	10	13	32-40	28
17. რეჯინა	29	9	9	11	38-41	25
18. მესინა	29	5	9	15	28-48	24
19. პარმა	29	4	10	15	24-48	22
20. ასკოლი	29	3	10	16	22-45	19

ბომბარდირები: 18 - ტოტი (რომა); 15 - ბიანკი (რეჯინა), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), კ. ლუკარელი (ლივორნო), ტონი (ფიორენტინა); 14 - როკი (ლაციო); 13 - ბუტუ (ფიორენტინა); 12 - კეალიარელი (სამპდორია), რიგანო (მესინა), სპინეზი (კატანია).

სერია B

XXX ტური

ვიჩენცა-სპეცია 1:0

გოლი: 1:0 შეობი (41)

გაძევება: პეკორარი (40. სპეცია)

ჯენოა-ალბინოლეფე 1:0

გოლი: 1:0 გასპარეტო (10)

გაძევება: გარლინი (61. ალბინოლეფე)

პესკარა-იუვენტუსი 0:1

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა (60. ბირინდელი), ბუმსონგი, კიელინი, ბალეკარეტი, მარკიონი (68. პალადინო), ძანეტი, ჯანიკედა, ნედვედი, დელ პიერო, სალაიეტა (83. მარკეზიო).

გოლი: 0:1 ბირინდელი (74)

ბრესჩია-ვერონა 1:1

გოლები: 0:1 გუარენტე (26), 1:1 ალეგრეტი (45-პენ)

რიმინი-ბრესციო 2:0

გოლები: 1:0 ფედა (13-პენ), 2:0 მარტი (66)

პრეზო-ბოლონია 1:1

გოლები: 0:1 მარაცინა (42), 1:1 მარტინეტი (45)

ფროზინონე-ჩეზენა 4:1

გოლები: 1:0 მარჯოტა (29), 1:1 ბრაკალეტი (32), 2:1 კასტილიო (45), 3:1 ლოდი (69), 4:1 ლოდი (79)

გაძევება: ანასტასი (90. ჩეზენა)

ლეჩე-პიაჩენზა 1:0

გოლი: 1:0 ტირიბოკი (15)

მანგუზა-ბრეშა 2:1

გოლები: 0:1 პოსანციინი (20), 1:1 კარიდი (70), 2:1 კარიდი (84-პენ)

გაძევება: დალამანო (56. ბრეშა)

მოდენა-კრეტონეზი 3:1

გოლები: 0:1 ლოპესი (23), 1:1 კოლაკინე (43), 2:1 კოლაკინე (73), 3:1 სფორციანი (90)

გაძევება: პინარდი (90. მოდენა)

ნაპოლი-ბარი 1:1

გოლები: 0:1 ერამო (38), 1:1 ბოლიაჩინო (77)

გაძევება: გრავა (78. ნაპოლი)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	29	20	7	2	57-19	58
2. ჯენოა	30	15	7	8	45-33	52
3. რიმინი	30	13	11	6	42-25	50
4. ნაპოლი	29	12	14	3	34-21	50
5. ბოლონია	30	14	8	8	35-25	50
6. პიაჩენცა	30	15	5	10	39-33	50
7. მანტოვა	30	11	15	4	34-21	48
8. ჩეზენა	31	11	9	11	42-47	42
9. ალბინოლეფე	30	8	16	6	31-28	40
10. ვიჩენცა	30	10	9	11	33-28	39
11. ლეჩე	30	11	5	15	37-40	38
12. ტრიესტინა	29	9	11	9	26-31	37
13. ფროზინონე	30	9	10	11	30-38	37
14. ბრესშა	29	9	9	11	30-36	36
15. ბარი	30	8	11	11	25-29	35
16. ტრევიზო	29	8	10	11	31-32	34
17. ვერონა	30	8	9	13	20-29	33
18. სპეცია	31	7	12	12	33-40	33
19. მოდენა	30	7	8	15	23-35	29
20. კროტონე	30	6	10	14	25-45	28
21. პესკარა	29	4	9	16	23-48	20
22. არეზო	30	4	13	13	22-34	19

ბომბარდირები: 15 - დელ პიერო (იუვენტუსი); 14 - ბელენი (ბოლონია); 12 - ჰაპა ვიიგო (ჩეზენა); 11- კარა (პიაჩენცა); 10 - კალიანო (ნაპოლი), ფედა (რიმინი); 9 - ადიალტონი (ჯენოა), ლოდი (ფროზინონე), პელე (ჩეზენა), პოსანციინი (ბრეშა), შეობი (ვიჩენცა), ტრეზეგე (იუვენტუსი).

სერია C1/A

XXVIII ტური

ვენეცია-კრემონეზე 1:2; მონცა-ლუკეზე 3:2; პიზა-პრო სესტო 2:0; პადოვა-პისტოიეზე 1:0; პაგანა-პროპატრია 1:1; სანჯოვანეზე-ნოვარა 0:1; პი

საფრანგეთი

XXX ტური

ლორიანი-მარსელი 2:1

ლორიანი: რიუ, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი, აბრიელი, ევოლო, მანსური, ლე პენი, გინიაკი (82. მარლე), საიფი (74. ბურჰანი).

მარსელი: კარასო, ზუბარი, სიველი, სესარი (46. ოლემდე), ტაიეო, მ'ბამი, კანა, ვალბუენა (67. პაფისი), ნასრი, ნიანგი (79. მაულიდა), ჯ. სისე.

გოლები: 1:0 საიფი (60), 2:0 ლე პენი (74), 2:1 ჯ. სისე (81-პენ)

გაფრთხილება: 0-2

მაყურებელი: 15 000

ნანტი-სედანი 0:1

ნანტი: ბარტეზი (72. ერტებისი), კუბილე (67. პიერონი), სეტო, პიერი, გიიონი, და როშა, ვენკოერი, სა, პეიე (78. ოლიეში), მ. დიალო, კესერუ.

სედანი: ტრევისანი, დუკურტუა, ალ. იაია, სარტრი, ლაშორი, ბელაჯი, ალ. სისე, უადა (74. ნორო), ფობი, პუფოლი, ბუტაბუ.

გოლი: 0:1 დუკურტუა (62)

გაფრთხილება: 1-0

მაყურებელი: 35 000

ლე მანი-ოსერი 2:2

ლე მანი: ი. პელე (56. როში), ო. ტომასი, ბასა, ლუვიონი, ბონარი, კუტადორი, რომარიკი, სესენონი, ის. ბანგურა, გრაფიტე (78. ფანშონი) დე მელო (89. სამასა).

ოსერი: სორენი, სანია, კაბული, მინო, ჟორესი, ფ. ტოიასი, ბე. შეირუ, აკალე, კალენბერგი (87. მატისი), ნიკულაე (70. ის. ბა), იელენი.

გოლები: 1:0 ის. ბანგურა (46), 2:0 დე მელო (52), 2:1 აკალე (66), 2:2 კაბული (71)

გაფრთხილება: 2-1

მაყურებელი: 15 000

ტულუზა-სტ.ეტიენი 1:0

ტულუზა: დუმე, ებონდო, არიბაჟე, კონგრე, მატო, ფაბინიო, დიიზი, პაულო სეზარი, ემანა, ბერგუნუ (84. სირიეი), ელმანდერი (87. ფორტი).

სტ.ეტიენი: ჟანო, მ. დაბო, ზ. კამარა, ონონი, ილუნგა, საბე (75. მუსილუ), ლ. პერენი, გარენი (87. ჰაინეი), პ. ფეინდუნო, გომისი, ილანი.

გოლი: 1:0 ელმანდერი (72)

გაფრთხილება: 1-2

მაყურებელი: 26 850

ლილი-ვალანსი 0:2

ლილი: სილვა, შალმე, პლესტანი, შმიტეი, ტაფორო, ბასტოსი, დებუში, ობრანიაკი, რობელი (62. იულა), ოდემვინგი (75. ფოვერგი), ა. კეიტა (80. მორალა).

ვალანსი: პენეტო,; ფლაშე, უადუ, რიპერი, ტრაორე, ბეზაზი (61. რუდე), მატერი (73. ჰადადი), პაალუე, დუმენგი (90+5. ჰასლი), დუფურესნი, სვეიდანი.

გოლები: 0:1 დუმენგი (77), 0:2 ჰასლი (90+5)

გაფრთხილება: 3-1

მაყურებელი: 17 000

ნიცა-მონაკო 1:1

ნიცა: ლორისი, ფანი, აბარდონადო, კანტე, ეპამი, ეშუაფნი, დიაკიტე, როოლი, ვაირუა (71. სო. კამარა), ბელიონი (61. სოკტო), ლასლანდი.

მონაკო: რომა, კუფრე, ბოლივარი, ფიგე, დოს სანტოსი, მონსორო (65. პლასილი), დ. პერესი (70. ვარგასი), მერიემი, მენეზი, პინო (36. კოლერი), პიკიონი.

გოლები: 1:0 ლასლანდი (10), 1:1 პლასილი (80)

გაძევება: როოლი (56. ნიცა)

გაფრთხილება: 3-4

მაყურებელი: 13 524

ტრუა-სოშო 0:1

ტრუა: ლე კრომი, ფეიე, ფერეირა, პესლეი, ბარბოზა (12. ამზენი), ენზა იამისი, ლაშორი, მატუიდი, ნივე, დანიკი (67. დალე), იბ. ბანგურა.

სოშო: რიშერი, ისაბეი (61. პოტიიონი), აფოლაბი, ბრეშე, ნ'დავი, პიშო, გრაქსი ((0. ბრუნელი), ლერუა, პიტო, ზიანი, სანტოსი (87. კერსია).

გოლი: 0:1 პიტო (32)

გაძევება: ფერეირა (90. ტრუა), ბრუნელი (90. სოშო)

გაფრთხილება: 3-3

მაყურებელი: 10 000

ლანსი-პსჟ 1:2

ლანსი: იტანჯე, კულიბალი, დემონი, ჰილტონი, რამოსი, კარიერი, სე. კეიტა, კოვაჩევიჩი (75. ბუკარი), დინდანე, ფემაა, მონტერუბიო.

პსჟ: ლანდრო, არმანი, როზენალი, ტრაორე, ე. სისე, კლემანი, მულუმბე, როტენი, დიანე (85. ჯ. როდრიგესი), ფრო (80. შანტომი), ლუინდულა.

გოლები: 0:1 დიანე (2), 1:1 როზენალი (51-საკ. კარში), 1:2 არმანი (72)

გაფრთხილება: 1-1

მაყურებელი: 37 808

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ლიონი	29	20	5	4	54-23	65
2. ლანსი	30	13	10	7	43-33	49
3. სოშო	30	12	10	8	36-34	46
4. ტულუზა	30	13	7	10	34-33	46
5. ბორდო	29	13	5	11	31-30	44
6. ლილი	30	11	10	9	36-29	43
7. სტ. ეტიენი	30	12	6	12	46-40	42
8. მარსელი	30	12	6	12	36-31	42
9. ლე მანი	30	10	12	8	37-35	42
10. ოსერი	30	10	12	8	34-35	42
11. რენი	29	10	10	9	25-24	40
12. ლორიანი	30	10	10	10	27-30	40
13. მონაკო	30	10	9	11	35-31	39
14. ვალანსი	30	10	6	14	31-40	36
15. ნანსი	29	9	9	11	26-34	36
16. ნიცა	30	7	11	12	26-31	32
20. პსჟ	30	7	10	13	29-37	31
17. სედანი	30	6	12	12	38-46	30
18. ტრუა	30	7	9	14	29-45	30
19. ნანტი	30	6	11	13	25-37	29

ბომბარდირები: 13 - სავიდანი (ვალანსი); 10 - დინდანე (ლანსი), პაულეტა (პსჟ); 9 - ფრედი (ლიონი), ილანი (სტ. ეტიენი), პიკიონი (სტ. ეტიენი); 8 - ის.ბანგურა (ლე მანი), პატისი (მარსელი), ბოდმერი (ლილი), ჟუნინიო (ლიონი), ზიანი (სოშო), აკალე (ოსერი), სე. კეიტა (ლანსი), გილიოტი (ტრუა), ალვარო (სოშო).

II დივიზიონი

XXX ტური

ბასტია-ბუკი	2:0
ბრესტი-შატორუ	0:0
ლენინი-ამიენი	1:2
გენიონი-გრენობლი	0:0
ისტრი-აჯაქიო	1:4
ლიბერნი-კრეტეი	0:2
მეცი-ვინგანი	1:0
მონპელიე-ნიორი	2:1
კაენი-სტრასბური	2:2
რეიმსი-აუქრი	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მეცი	30	18	10	2	44-14	64
2. კაენი	30	16	11	3	54-30	59
3. სტრასბური	29	14	12	3	35-22	54
4. ამიენი	30	15	6	9	41-35	51
5. აუქრი	29	13	10	6	42-24	49
6. ბასტია	30	12	10	8	39-32	39
7. შატორუ	30	12	7	11	33-34	43
8. დიჟონი	30	11	9	10	30-35	42
9. ბენიონი	30	11	7	12	34-37	40
10. გრენობლი	29	9	12	8	38-33	39
11. აიაჩო	30	10	9	11	37-36	39
12. რეიმსი	29	10	8	11	34-33	38
13. ლიბერნი	30	9	7	14	34-42	34
14. მონპელიე	30	8	9	13	32-37	33
15. ბენბასი	30	7	11	12	31-35	32
16. ბრესტი	30	6	14	10	30-34	32
17. ნიორი	30	6	11	13	26-40	29
18. კრეტეი	30	6	11	13	22-38	29
19. ისტრი	30	6	8	16	23-46	26
20. ტური	30	5	6	19	24-46	21

ლიგის თასი. ფინალი

ლიონი-ბორდო 0:1

ლიონი: ვერკუტრი, კლერკი, სკილაჩი, კრისი, აბიდალი, ტულალანი (90+1. ვილტორი), ტიაგო, ჟუნინიო (68. კალსტრიომი), გოვუ, მალუდა, ფრედი (72. ბაროში).

ბორდო: რამე, ჟურიეტი, პლანუსი, ენრიკე, ვენდელი (68. იუსი), ფერნანდო, მავუბა, ფობერი, მიკუ, დარშევილი, შამახი (46. მარანე).

გოლი: 0:1 ენრიკე (90)

მაყურებელი: 79 000

ინგლისი

VIII ტური

ბანფილდი-ბოლტი	0:0
ბოკა-ნუეკა ჩიკაგო	2:0
არსენალი-არგ. ხენიორსი	0:2
ბელგრანო-ელესი	3:0
ხიმნასია (ხ)-ნიუელსი	0:1
კოლონი-რიკერი	გადაიდო
როსარიო-ხიმნასია (ლ)	გადაიდო
კილმესი-რასინგი	გადაიდო
ინდეპენდ-ესტუდიან	გვ. დასრულდა
სან ლორენზო-ლანუსი	გვ. დასრულდა

ესპანეთი

XIII ტური

ხაგუარესი-ს. ლაგუნა	1:1
სან ლუისი-ჩივასი	1:0
ვერაკრუსი-აჯაქსა	0:5
მორელია-ნეკაქსა	0:1
ტიგრესი-მონტერეი	3:3
აგსასი-კრუს ასულ	1:0
ტოლუკა-აგუასკა	2:4
ამერიკა-

ჩიბბი

ტულონი-რასინგი. მარჯვნივ, ბოლოდან მეორე - გია ლაბაძე

ლეგიონერები

შეგვიძლია, მივულოცოთ ზედგინიძეს და ბრონკანს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გუნდების აბსოლუტური უმრავლესობა უქმობდა, წამყვანი კლუბები კი ევროთასებისთვის ბრძოლაში იყვნენ ჩართული. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ამ ასპარეზს მხოლოდ ერთი, **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "კლერმონი" შემორჩა. "ვულკანებმა" ჩელენჯ კაპის გათამაშების მეოთხედფინალში საკუთარ მოედანზე ინგლისის "ნიუკასლ ფოლკონზი" დაამარცხეს 24:19. ალბიონელებს თვით **ჯონი ვილკინსონმაც** ვერ უშველა. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. ნახევარფინალურ შეხვედრას "კლერმონი" ისევ საკუთარ მოედანზე გამართავს. მეტოქე ამჯერად უელსური "ნიუპორტი" იქნება, რომელმაც შინ ფრანგულ "ბრივს" სძლია - 39:17.

მეორე დივიზიონის 25-ე ტურში კი საკუთარ მოედანზე სენსაციური მარცხი იწვნია **გიორგი კუთარაშვილისა** და **გია ლაბაძის** "ტულონმა". "ფელიქს მაიოზე" აქამდე უძლეველი გუნდი **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგმა" დაამარცხა 27:17. შედეგად, ტულონელებმა პლეიოფში გასვლა სათუო გაიხადეს. მასპინძელთა რიგებში ლაბაძემ და კუთარაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს. პარიზელთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო აშვეთიაც, რომელიც 45-ე წუთზე შეცვალეს. მაგრაქველიძე განაცხადში არ ყოფილა.

სტუმრად აუტსაიდერი "ლიმოჟი" იოლად დაამარცხა გათამაშების ლიდერმა, **ილია ზედგინიძის** "ოშმა" 36:6. მართალია, მის უახლოეს მდევარს, **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიეს" კიდევ აქვს თეორიული შანსი 18 ქულით წინ წასულ გასკონური გუნდის დაწევისა, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელია. ამრიგად საქართველოს ნაკრების კაპიტანს ილია ზედგინიძეს და კონსულტანტ **ანრი ბრონკანს** თამამად შეგვიძლია მივულოცოთ პირველ დივიზიონში აღზევება.

"ბეზიემ" ამასობაში შინ დაამარცხა **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლი" 23:12. მაჩხანელსა და ღვაბერიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. სტუმრად, დივიზიონიდან ფაქტობრივად გავარდნილ "კოლომიესთან" დამარცხდა **მერაბ კვირიკაშვილის** "პო" 15:16. მეკო განაცხადში არ ყოფილა.

საფრანგეთი. II დივიზიონი. XXV ტური. ტულონი-მეტრო რასინგი 17:27, კოლომიე-პო 26:15, დაქსი-ლა როშელი 18:14, ლიმოჟი-ოში 6:36, ბეზიე-გრენობლი 23:12, ტარბი-ლიონი 26:17, ოიონაქსი-მონ დე მარსანი 26:20, გაიაკი-ბორდო 24:17.

1.ოში-92 ქულა / 2.ბეზიე-74, 3.ლა როშელი-74, 4.დაქსი-73, 5.ტულონი-69 / 6.ლიონი-68, 7.ოიონაქსი-61, 8.მეტრო რასინგი-53, 9.ბორდო-52, 10.პო-49, 11.გრენობლი-49, 12.მონ დე მარსანი-49, 13. გაიაკი-48, 14.ტარბი-47 / 15.ლიმოჟი-39, 16.კოლომიე-33

ბესიკ ჯანგავაძე

მსოფლიო ჩემპიონატი. U-19

ბოლო რეპეტიცია

4 აპრილს, ბელფასტში, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ შეხვედრას გამართავს რუმინელ თანატოლებთან. ქართველმა ჭაბუკებმა, რომლებიც კვირაზე მეტია, ირლანდიაში შეკრებაზე იმყოფებიან, საწვრთნელი შეხვედრა გამართეს სარაგბო კლუბ "ლისბურნთან" და 40:7 გაიმარჯვეს. ჩვენი გუნდიდან ორ-ორი ლელო გაიტანეს **არჩილ კობაურმა** და **ალექსანდრე ტუჩაშვილმა**, თითოც **მიხეილ ნიკლაურისა** და **გიორგი როხვაძის** ანგარიშზეა, ხუთი გარდასახვა ზუსტად **ბექა სულუხიამ** დაარტყა.

ევროპის ჩემპიონატი. U-18

წაგება ირლანდიასთან

საფრანგეთში, ბასკეთის მხარეში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში, საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა პირველი მატჩი 0:27 წააგო ირლანდიელებთან. ჩვენებს ახლა ელიტარულ ა ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევთ ბრძოლა. 4 აპრილს ჩვენი გუნდის მეტოქე იქნება პორტუგალია, რომელიც ტურნირის ფავორიტმა ინგლისის ნაკრებმა გაანადგურა 79:0.

რუმინეთის გუნდი 6:84 დამარცხდა საფრანგეთთან. მისი მომავალი მეტოქე იქნება კი რუსეთის ნაკრები რომელიც იტალიასთან დამარცხდა 9:27.

ევროპის ჩემპიონატი. U-18

1 აპრილი. მეოთხედფინალი

ინგლისი-პორტუგალია 79:0, საფრანგეთი-რუმინეთი 84:6, იტალია-რუსეთი 27:9, ირლანდია-საქართველო 27:9.

4 აპრილი. ნახევარფინალი

პირველი ადგილისთვის

ინგლისი-ირლანდია, საფრანგეთი-იტალია.

მეხუთე ადგილისთვის

საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-რუსეთი.

ზე 14

აცილებული გარდასახვა და ულამაზესი ლელო

სიდნეის "ოზი სტედიუმზე" ტურის მშვენება მატჩი გაიმართა. "ვორათაზს" და "კრუსეიდერზს" შორის შეხვედრაში 10 ლელო გავიდა, ჩემპიონმა კი მასპინძლები 34:33 დაამარცხა. მატჩის ძირითად დროს უკვე 10 წუთი მაინც იყო გადაცილებული, როცა **პიტერ ჰიუეტმა** გარდასახვა ააცილა და მატჩის ბედიც სტუმართა სასარგებლოდ გადაწყდა. სპეციალისტთა აღიარებით ამ მატჩში მე-12 წუთზე თინეიჯერმა **ლაჰლან ტერნერმა** (ვორათაზი) ზე-14-ის ისტორიაში ულამაზესი ლელო გაიტანა.

ზელანდიის უკიდურეს სამხრეთში, ინვერკაგილში "ჰაილენდერსმა" სტუმართა მიძალებას ბოლო წუთებზე გაუძლო და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მასპინძელთა შორის განსაკუთრებით კარგად ცხრა ნომერმა **ჯიმი კაუენმა** ითამაშა. "სუბიაკოზე" "შარქსმა" ცუდად ითამაშა, ბევრი შეცდომა დაუშვა და მეტ გიტოს ქულების დაგროვების საშუალება მისცა. მატჩის ერთადერთი ლელოს ავტორი ბეკი **კამერონ შეპარდია**. ველინგტონში "ჰარიკენზმა" იოლად სძლია "ხარებს". აფრიკელებმა საკმაოდ წარმატებული ავსტრალაზიური ტურნე კარგად ვერ დაასრულეს. "ბულზს" სისწრაფე აშკარად აკლდა, ზელანდიელები კი მეტოქეს ყველა კომპონენტში სჯობდნენ. საკმაოდ ცუდ მატჩში ყველაზე მეტად მასპინძელთა ფულბეკის, **კორი ჯეინის** გამორჩევა შეიძლება. ჰამილტონში დრამაც საკმაოდ იყო, თამაშიც და ჩხუბიც, "ბლუზი" პირველ ტაიმს აგებდა, თუმცა თამაშის შემობრუნება შეძლო და ლიდერობაც განიმტკიცა, რაშიც გუნდის ლიდერის **კრეიგ როულისონის** წვლილი დიდია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰარიკენზი-ბლუზი. კრეიგ რაულინსონისა და ქიის რობინსონის ჩხუბი

ზე 14. IX ტური

ჰაილენდერსი-ჩიტაზი 21:17

ჰაილ (ზელ): 2ლ (ტომპსონი, მულიპოლა), გ (ორი), 3ს (ევანსი 2, ორი)

ჩიტ (აფრ): 2ლ (ფრედერიკსი, ფლორსი), 2გ (დე ვაალი, ბოსმანი), ს (დე ვაალი)

ეესტერნ ფორსი-შარქსი 22:12

ფორ (აუს): ლ (შეპარდი), გ, 5ს (გიტო)

შარ (აფრ): 3 ს (პინარი), ა (სტაინი)

ჰარიკენზი-ბულზი 17:9

ჰარ (ზელ): ლ (გიარი), 4 ს (ვეეპუ)

ბულ (აფრ): 3 ს (ჰუგაარდი)

ჩიფსი-ბლუზი 11:18

ჩიფ (ზელ): ლ (ლევი), 2 ს (დონალდი)

ბლუ (ზელ): 3 ლ (კაინო, მეალამუ, ჰაულიტი), ს (ნათევა)

ვორათაზი-ქრუსეიდ. 33:34

ვორ (აუს): 4ლ (ტერნერი, ჰარისი, ნორტონ-ნაითი, პოლოტა-ნაუ), 2გ, 3ს (ჰიუეტი)

ქრუ (ზელ): 6ლ (ჯონსტონი, გიარი 2, ტუიალიკი, მეიჯერი, ლაულალა), 2 გ (ბრეტი)

ლაიონზი-ბრამბიზი 9:14

ლაი (აფრ): 3ს (პრეტორიუსი)

ბრა (აუს): ლ, გ, 2ს (ჰაქსლი)

რედსი (აუს) და სტორმერსი (ზელ) ისვენებდნენ

	თ	მ	ლ	ნ	ბ	პრ	ქ
ბლუზი	8	7	0	1	232-116	4	32
ქრუსეიდერზი	8	5	0	3	238-174	7	27
ფორსი	8	5	1	2	177-111	3	25
შარქსი	8	6	0	2	168-125	1	25
ბრამბიზი	9	5	0	4	140-135	2	22
ბულზი	9	5	0	4	176-182	2	22
ლაიონზი	9	5	0	4	147-174	1	21
ჰაილენდერზი	8	4	0	4	141-149	4	20
ჩიტაზი	8	3	1	4	196-201	4	18
ჰარიკენზი	9	4	0	5	161-203	2	18
ჩიფსი	8	2	1	5	178-177	7	17
სტორმერსი	8	3	0	5	127-189	2	14
ვორათაზი	8	1	1	6	144-200	3	10
რედსი	8	1	0	7	122-211	3	7

თუჩილი



როგერტ შავლაყაძე. დაიბადა 01-.04.1933, თბილისი. მძლეოსნობა, სიმაღლეზე ხტომა. 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილე (IV-V ადგილი). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962), სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის მეორე პრიზიორი (1959, 60, 62), სოციალისტური ქვეყნების თამაშებში შვიდგზის გამარჯვებული (1957-63), ძმები ზნამენსკების საერთაშორისო ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი (1958-62), "გიგანტთა მატჩში" (აშშ-სსრკ) გამარჯვებული (1959). საუკეთესო შედეგი - 217 სმ. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი და ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე (1981-93). სეოკის აღმასკომის წევრი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სოკის ორდენების კავალერი.

ლერი გოგოლაძე. დაიბადა 01.04.-1938, თბილისი. წყალბურთი, მეკარე. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1956-72) და სსრკ ნაკრებში (1958-64). 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების, ევროპის ჩემპიონატისა (1962) და მსოფლიო უნივერსიადის (1963) მეორე პრიზიორი. სსრკ სამგზის მეორე (1960, 62, 63) და ხუთგზის მესამე (1958, 59, 64, 66, 67) პრიზიორი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1985). თსუ-ის ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგე (1986-იდან). 1985-87 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი სასწავლო დარგში. ღირსების ორდენის კავალერი.

ზაზა თურმანიძე. დაიბადა 01.04.-1965, მიხათაური, საჩხერე. თავისუფალი ჭიდაობა (130 კგ). ევროპის ჩემპიონი (1987), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1994). სსრკ ჩემპიონი (1990), მეორე (19880 და მესამე (1989) პრიზიორი, სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1986). 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (X ადგილი). საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1992-იდან). მისი ხელმძღვანელობით ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში (2003). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

გრიგოლ მეუნარგია. 02.04.1941, ქუთაისი - 13.12.1967, თბილისი. კალათბურთი, მწვრთნელი. 30-40-იან წლებში იყო ჯერ თბილისის "ლოკომოტივის", შემდეგ კი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით არმიელთა გუნდი ორჯერ გახდა სსრკ ჩემპიონი (1944, 46) და ერთხელ - მეორე პრიზიორი (1945), "ლოკომოტივმა" კი სსრკ ჩემპიონატებში მეორე (1940) და მესამე (1939) ადგილები დაიკავა. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

ირინა რიაზანოვა-ერმოლოვა. დაიბადა 02.04.1938, თბილისი. ჩოგბურთი. სსრკ საგმზის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში (რუს ანა დმიტრიევასთან ერთად - 1959-61). 1959 წლის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი. სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში (ანა დმიტრიევასთან ერთად - 1959). ცხრა წლის განმავლობაში შედიოდა სსრკ საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა ათეულში: 1958 (7 ნომერი), 1959 (4), 1960 (4), 1961 (8), 1962 (4), 1963 (2), 1964 (5), 1965 (6), 1966 (6). პირველი ჩოგბურთელი ქალი საქართველოდან, რომელმაც ინგლისის ბალახის კორტებზე ითამაშა (1961). ღირსების ორდენის კავალერი.

ᲕᲠᲘᲕᲘ



გაიმარჯვა კობა ფხაკაძემ

საერთაშორისო ტურნირი

1-2-5, რვა მედალი ბაქოდან

ბაქოში დასრულდა "სილქ როუდის დიდი ტურნირი", სადაც საქართველოს მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა ბრწყინვალედ იასპარეზა. ყოფილი ანვარ ჩაუდრის სახელობის ტურნირი რომ საკმაოდ ძლიერი და პრესტიჟულია, ამაზე მხოლოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ იგი A კატეგორიისაა და ოლიმპიური თამაშების სალიცენზიოს სტატუსს ატარებს. ამჯერადაც, აზერბაიჯანის დედაქალაქში, თავი მოიყარა 20-მდე ქვეყნის წარმომადგენელმა. სასიხარულოა, რომ ასეთ კამპანიაში, ქართველმა მოკრივეებმა ერთბაშად რვა მედალი მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ბაქოში შედგა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე, **ავთანდილ შოშიაშვილის** დებიუტი და უნდა ითქვას, რომ ასეთი დონის ტურნირზე, 8 მედალი საქართველოს ნაკრებს აქამდე არასდროს მოუპოვებია. ის კი არადა, უფრო დაბალი რანგის ტურნირებზეც არ გვქონია 8 მედალი.

როგორც იცით, ბაქოს ტურნირზე, ნახევარფინალში გასული იყო 8 ქართველი მოკრივე და შესაბამისად, ამდენივე ბრინჯაოს მედალი გარანტირებული გვქონდა. თუმცა სამმა "ბრინჯაო" უკეთესი სინჯის მედლად აქცია.

ყველაზე უკეთ გამოვიდა **კობა ფხაკაძე** (57 კგ), რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ **ზვიად ხადური** (48) და **ბექა ლობჟანიძე** (+91). ნახევარფინალში წაგეს და ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ **ვასილ ყაზიშვილი** (60), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **გიორგი ნაკანი** (75) და **დავით წიკლაური** (81).

ყველაზე მეტად, საქართველოს ნაკრების გამოკვეთილი ლიდერის, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ კახა ჟვანიას წაგებამ გაგვაკვირვა, ხოლო მოულოდნელობებიდან ზვიად ხადურის წარმატებას გამოვარჩევდით, რადგან ამ წონაში ბოლო წლებში, შედეგები ქრონიკულად არ გვქონდა.

ცოტა უცნაურია, მაგრამ ამდენი მედლის მიუხედავად, გუნდურ ჩათვლაში, მასპინძლებმა და რუსებმა მაინც გვაჯობეს. როგორც ჩანს, მათ უფრო მეტი ოქროსა და ვერცხლის მედლით მოპოვებული ჩასათვლელი ქულებით გვაჯობეს.

საქართველოს ნაკრები ბაქოდან გუშინ საღამოს დაბრუნდა. უფრო დეტალურად ბაქოს ტურნირზე "ლელოს" მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

კობა ხატისაშვილი

ᲫᲘᲣᲓᲝ

დუსკას იტალიური ოქრო

როგორც იქნა, წარმატების დრო ჩვენს ძიუდოისტ ქალებსაც დაუდგათ - იტალიურ სიენაში გუშინ დამთავრებულ ახალგაზრდა გოგონათა ტურნირზე **დუსკა ქერიმოვა** (57) ჩემპიონი გახდა. ესაა ჩვენი მანდილოსნების მიერ მოპოვებული პირველი მედალი სერიოზულ ტურნირზე. ახალგაზრდებში აქამდე ორიოდე ჯილდო კი მოგვიგია, მაგრამ დაბალი რანგის ტურნირებზე, ეს კი უკვე სერიოზული განაცხადია. სიენაში 13 ნაკრები ჭიდაობდა. მათ შორის, იაპონია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, უკრაინა... ცხადია, ბლომად იყვნენ მასპინძლებიც.

ქერიმოვამ ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ყველა დიდი უპირატესობით მოიგო. თავიდან მან იტალიელი მეტოქე იპონზე დასცა, მერე მისივე თანაგუნდელთან ორი ვაზარით ასევე სუფთა მოგება მიითვალა და ნახევარფინალში გავიდა. აქ მავან ბრიტანელს ვაზარით აჯობა, ფინალში კი იაპონელი **ირო-კო ნომურა** დაჯაბნა - ჯერ იუკო აართვა, მერე კოკა დაათმობინა, ბოლოს კი უპირატესობა ვაზარში გარდასახა.

აღსანიშნავია, რომ ქერიმოვა 6-8 აპრილს ბელგრადში, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდის წევრია და ეს წარმატება იმ ტურნირზე (უფრო კი სიძლიერის საზომად მიჩნეულ იაპონელთან მოგება) ფსიქოლოგიურად კარგ სამსახურს გაუწევს. ამას წინათ მან პრაღაშიც იჭიდავა მსოფლიო თასზე და წააგო, თუმცა იმ შეჯიბრების მომსწრე ქართველი მსაჯები ამბობენ, რომ სერბ **რადმილა პერიშიჩთან** დუსკა არბიტრებმა გაწირეს. სამწუხაროდ, იქ ბრძოლა დიდხანს ვერც სერბმა გააგრძელა და ქერიმოვაც უსახელოდ გამოვარდა.

სიენაში ბელგრადული გუნდის კიდევ ერთმა წევრმა იჭიდავა - **მაია ტარუაშვილმა**. იგი 52-ში ჭიდაობს (ევროპაზეც იქ იასპარეზებს), მაგრამ ახლა წონა არ დააკლებინეს და 57-ში დააყენეს. მართალია, ისიც ადრევე გავარდა, მაგრამ გუნდის თავკაცი **გოდერძი ველიჯანაშვილი** მისი ჭიდაობით მაინც კმაყოფილია.

სატელეფონო საუბრისას ველიჯანაშვილს იმაზეც დავეკითხეთ, ევროპის პირველობამდე ერთი კვირით ადრე ტურნირზე ჭიდაობა გოგოებისთვის გაუმართლებელი დატვირთვა ხომ არ იყო. მწვრთნელის თქმით, ეს შეგნებულად გააკეთა მათი დატვირთული სავარჯიშო განრიგიდან გამომდინარე. თანაც, ისინი იტალიაშივე დარჩებიან შეკრებაზე და 5-ში იქიდან ჩავლენ ბელგრადში. შეგახსენებთ, რომ ტარუაშვილი-ქერიმოვას დუეტს საქართველოდან **ნაია ვეშაგური** (48), **ანა ძაძამია** (63) და **ირინა ლეონიძე** (მიმე) შეუერთდებიან. ველიჯანაშვილმა ევროპის პირველობაზე სხვების წაყვანა ამ ეტაპზე საჭიროდ არ მიიჩნია.

დუსკა ქერიმოვა

დაბოლოს, იმასაც გეტყვით, რომ ჩვენები სიენაში დიდი ფათერაკებით ჩავიდნენ. ისინი გერმანული ავიაკომპანია „ლუფტჰანზას" რეისით პარასკევს გაფრინდნენ მიუნხენში, მაგრამ თვითმფრინავმა თბილისიდან გაფრენა დააგვიანა. ამიტომ მიუნხენიდან იტალიისკენ მიმავალ რეისს ჩამორჩნენ, თუმცა ჩვენი ფედერაციისა თუ საკუთრივ ნაკრების თავკაცთა მეცადინობით, საქმეში ავიაკომპანიის წარმომადგენლები ჩაერივნენ. წესისამებრ, მათ თავიანთი დანაშაული პირნათლად გამოისყიდეს - სხვა რეისით ბოლონიაში გადაიფრინეს, იქიდან კი ავტობუსით სიენაში გადაიყვანეს.

ირაკლი თავაძე

გიორგი ნადირაძე

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

სომხეთის ღია პირველობა

მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს

ერევანში დასრულდა სომხეთის ღია პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში, სადაც ქართველი უფროსი, ახალგაზრდა და ჭაბუკი ველომრბოლელებიც ასპარეზობდნენ. აღსანიშნავია, რომ სომხური ტურნირი ჩვენი სპორტსმენებისთვის სეზონის პირველი სტარტი იყო, მაშინ, როცა სომხებმა წლეულს უკვე 15-მდე შეჯიბრება მოილიეს.

ამას გარდა, მასპინძლები ინვენტარითაც გვჯობიან და პირობებითაც. ქართველი ველომრბოლები ერევანში საკუთარი ხარჯით ჩავიდნენ, რაკილა ჩვენს ველოსპორტს, დაფინანსება, ფაქტობრივად, აღარ აქვს და ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. ველოსპორტის ფედერაციის ხელმძღვანელობა და მწვრთნელები განსაკუთრებით წუხან იმ ახალ კანონზე, რომლითაც სპორტული ბაზები თვითდაფინანსებაზე გადადიან – აქამდე ხომ გვიჭირდა და აწი მთლად გადაშენება ემუქრება ჩვენს სახეობასო.

მოკლედ, ამდენი პრობლემის ფონზე, ჩვენი გუნდი ერევანში საკმაოდ წარმატებით გამოვიდა. **ავთანდილ კახიაურის, ბორის კილასონიას, ალბერტ თავაძისა** და **როდიკო მეიშვილის** შეგირდებმა არცერთ ასაკში ტოლი არ დაუდეს მასპინძლებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, უფროს ასაკში, საქართველოს ნაკრების ლიდერობა კვლავ **გიორგი ნადირაძემ** იტვირთა. სომეხ ველომრბოლებს ძირითადი აქცენტი სწორედ ნადირაძეზე ჰქონდათ გადატანილი და მასპინძელთა მთელი გუნდი მის წინააღმდეგ მუშაობდა. თუმცა, გიორგი ამისათვის აბსოლუტურად მზად აღმოჩნდა. მან სამი სტარტიდან ორი მოიგო, ერთხელ კი მესამე იყო. მას მხარს კარგად უბამდნენ **არჩილ მახარაშვილი** და **ნოდარ ყავაძე**, რომლებმაც თითო დისტანცია მოიგეს.

საბოლოოდ, უფროსებში, ინდივიდუალური (25 კმ) და წრიული (75 კგ) რბოლები ნადირაძის გამარჯვებით დასრულდა. ინდივიდუალურ რბოლაში კვარცხლბეკზე დადგა არჩილ მახარაშვილიც, რომელმაც მესამე შედეგი აჩვენა. რაც შეეხება 90-კილომეტრიან ჯგუფურ რბოლას, აქ მახარაშვილი პირველი იყო, ნადირაძე კი მესამე ადგილზე გავიდა. ამას გარდა, ახალგაზრდების 75-კილომეტრიან წრიულ რბოლაში, ოქროს მედალი არავის დაუთმო ნოდარ ყავაძემ.

ჭაბუკებში მშვენივრად იასპარეზეს **დავით ასკურავამ** და **ამირან სვანიძემ**. ასკურავამ 62-კილომეტრიან ჯგუფურ რბოლაში, საკმაოდ რთულ ტრასაზე მესამე ადგილი დაიკავა და არაერთი გამოცდილი მეტოქე მოიტოვა უკან. 15 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში, ანალოგიური შედეგი აჩვენა სვანიძემ.

სომხეთის პირველობა ჭაბუკებისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო შავი ზღვის თამაშების, ირანის საერთაშორისო ტურნირისა და ივლისში, ბელგრადში გასამართი ოლიმპიური კვირეულისთვის.

კობა ხატისაშვილი

ᲭᲔᲓᲠᲘᲠᲘ

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

ორი ასპროცენტიანი

შაბათ-კვირას თექვსმეტწლამდელებმა ორი ტური გაითამაშეს. როგორც გოგონათა, ისე ჭაბუთა შორის ერთპიროვნული ლიდერები გამოიკვეთნენ - **ქეთი წანალაშვილი** და **ლუკა პაიჭაძე**. ორივეს ჯერ ნახევარი ქულაც არ დაუკარგავს და ოთხი ტურის შემდეგ ოთხი ქულით უდგანან ცხრილს სათავეში. ლუკა პაიჭაძე ფავორიტად თავიდანვე იყო შერაცხული - რეიტინგით პირველი ნომერია, ქეთი წანალაშვილი კი - მესამე, თუმცა ისიც ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა.

გოგონათა შორის თანაბარძალოვანი მოჭადრაკეების სიმრავლეა და ამის გამო ყოველი ტური ძალზედ საინტერესოდ მიმდინარეობს. მეოთხე ტურში პირველი ნომერი **სალომე ხაჟომია** თეთრებით თერთმეტი წლის **თეკლა მაჭარაშვილს** ხვდებოდა. თეკლა 26-ე ნომერია და, ცხადია, ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, მაგრამ ნიჭიერმა გოგონამ მეოთხე ტურამდე ყველა პარტიაში იმარჯვა. განსაკუთრებით გამოსარჩევია მესამე ტურში **სოფო ხუციძის** დამარცხება. გუშინ თეკლას ხაჟომიასთან კიდევ უფრო დიდი გამოცდა ელოდა და, შეიძლება ითქვას, რომ კარგად ჩაბარა, თუმცა უკმაყოფილო მაინც უნდა დარჩენილიყო - ლიდერთან შავებით ყაიმი კარგია, მაგრამ მოგებაც შეეძლო - შუა თამაშში ხარისხით დაწინაურდა და კარგი შეტევაც ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში ზუსტი გაგრძელება ვერ იპოვა. ის კი არა, უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყო სალომე, ერთ მომენტში ფიგურასაც მოინადირებდა და, გაიმარჯვებდა. დღეს თეორებით მაჭარაშვილი წანალაშვილს ხვდება.

ჭაბუკებში უკვე ცნობილი მოჭადრაკეები ლიდერობენ, თუმცა ახლებიც გამოჩნდნენ - **თორნიკე გაბუნია, გიორგი ლაცაბიძე**... 11 წლის **ირაკლი ბერაძეს** კი ალბათ უკვე კარგად იცნობთ. ირაკლიმ მესამე ტურში **დავით ბენიძესთან** წააგო შავებით, მაგრამ მეოთხეში თეთრებით **ბექა ნემსაძე** დაამარცხა და სამი ქულით ლიდერთა ჯგუფთან ახლოსაა.

მეოთხე ტურში ყველაზე საინტერესო პაიჭაძისა და დავით ბენიძის შეხვედრა იყო. ტურნირის პირველ და მეორე ნომრებში თეთრები პაიჭაძეს ერგო და მანაც კარგად გამოიყენა შანსი. ლიდერს ნახევარი ქულით ოთხი ვაჟი ჩამორჩება - **ზვიად ფაცია, დავით ლომსაძე, თორნიკე გაბუნია და გიორგი ლაცაბიძე**. მეხუთე ტურის წილისყრამ ლიდერები ისე დააწყვილა, რომ ყველაზე საინტერესო კვლავ პირველ დაფა გასამართი შეხვედრა გამოდის - ზვიად ფაცია ლუკა პაიჭაძეს დაუპირისპირდება.

მეხუთე ტური. გოგონები: **თეკლა მაჭარაშვილი (3.5)-ქეთი წანალაშვილი (4); ფატი რიფამაძე (3.5)-სალომე ხაჟომია (3.5); თინათინ ბერიძე (3)-ანა კუჭავა (3); ლელა უგულავა (3)-ანა შამათავა (3); ნინო ანაკიძე (3)-ნათია ჯალაბაძე (2.5); მერი არაბიძე (2.5)-სოფო ხუციძე (2).**

ჭაბუკები: ზვიად ფაცია (3.5)-ლუკა პაიჭაძე (4); თორნიკე გაბუნია (3.5)-დავით ლომსაძე (3.5); დავით ბენიძე (3)-გიორგი ლაცაბიძე (3.5); ზურაბ ჯავახაძე (3)-ირაკლი ჯანიაშვილი (3); ნოდარ ლორთქიფანიძე (3)-გიორგი ნიკოლაშვილი (3); დიმიტრი კვარაცხელია (3)-ლევან ბერაია (3); ოთარ ქოსაშვილი (2.5)-ნოდარ დავარაშვილი (2.5); ელგუჯა ლალიაშვილი (2.5)-ნიკა ვოლკოვი (2.5); ბექა ფიფია (2.5)-თორნიკე ხურციძე (2.5).

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. სუპერლიგა. XIX ტური

რას ნიშნავს MVP?

დინამო-სტუ 83:85

28:20, 14:28, 22:20, 19:17

დინამო: გულისაბედაშვილი (7ქ, 3პ, 4ჩ), სიგუა(11ქ, 6პ), მურჯიკნელი (9ქ, 5მ), ფაიქრიძე, ნ. ნოზაძე (14ქ, 4პ), კოლუაშვილი (14ქ), ლაფანაშვილი (13ქ, 4პ, 3ჩ, 5მ), გვიმრაძე (15ქ, 3პ), ბოლქვაძე

სტუ: კოხრეიძე (12ქ, 4პ, 6ჩ, 5მ), მაისურაძე (13ქ, 5მ), დევიძე (1ქ), ახალკაცი (21ქ, 9მ, 6მ), ბარბაქაძე (6ქ, 4პ), სეფისკვერაძე (5ქ), ეძგვერაძე (8ქ), ბერაია (19ქ, 4პ, 6მ), ლ. ნოზაძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

მაკაბი-თსუ 74:107

22:17, 19:24, 13:35, 20:31

მაკაბი: დოლიძე (8ქ, 7მ), ენუქიძე, გ. შერმადინი (39ქ, 16მ, 9მ), ჯგერნაია (12ქ), კორძაძე, კორკოტაძე (2ქ, 3პ), ს. შერმადინი (13ქ, 5მ), პირველაშვილი (5პ,5მ, 7მ)

თსუ: არწივიძე (12ქ,4პ), ბ. ბერიშვილი (8ქ, 7პ, 3ჩ), ფანჩულიძე (11ქ), ლეჟავა (14ქ, 4ჩ), მარხვაშვილი(3ქ), ვეფხვაძე (8ქ, 5პ, 6მ), შანიძე (9ქ, 5მ), მათიაშვილი (12ქ, 8მ), ხეცურიანი (19ქ, 3პ), მ. ბერიშვილი (7ქ, 5ჩ), ტყეშელაშვილი (4ქ)

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. ბერეკაშვილი

	თ	მ	ნ	ქ
1. აზოტი	19	18	1	37
2. ავიამშენი	19	14	5	33
3. თსუ	19	13	6	32
4. დინამო	19	5	14	24
5. სტუ	19	4	15	23
6. მაკაბი	19	3	16	22

მომდევნო ტური, 14 აპრილი: სტუ-აზოტი, მაკაბი-დინამო, თსუ-ავიამშენი

მე-19 ტური გადამწყვეტი გამოდგა რუსთავის "აზოტისთვის", რომელმაც "ავიამშენის" ძლევით რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ადგილი ნაადრევად გაინაღდა. შაბათის მატჩი ასევე შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო "დინამოსთვის", რომელიც სტუ-ს ძლევის შემთხვევაში მეოთხე ადგილს განიმტკიცებდა და ნახევარფინალის საგზურსაც მოიპოვებდა...

დინამოელებმა მატჩი კარგად დაიწყეს - ფარქვეშ **გვიმრაძისა** და **მურჯიკნელის** აქტიურობის წყალობით 10-ქულიან უპირატესობას (24:14) პირველივე მეოთხედში მიაღწიეს. ტექნიკოსთა მწვრთნელმა, **ნიკო ჩერქეზიშვილმა** ერთგვარ ექსპერიმენტს მიმართა - სათადარიგოთა სკამზე დატოვა გამთამაშებელი **შალვა კოხრეიძე** და პირველი ნომრის ფუნქციები მსროლელ **ნოდარ ბერაიას** დააკისრა. ნოდარების დუელი ("დინამოს" გამთამაშებლად **ნოდარ სიგუა** იდგა) დიდხანს არ გაგრძელებულა - კოხრეიძე მოედანზე მალევე გამოჩნდა და მშვიდი, გააზრებული მოქმედებით თანაგუნდელთა თამაში დაალაგა.

სტუ-ს უპირატესობა მეორე მეოთხედში უფრო გამოიკვეთა. ნიკო ჩერქეზიშვილის შეგირდებმა არათუ 10-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება, არამედ 9 ქულით დაწინაურებაც მოახერხეს. ტექნიკოსები მეოთხე პერიოდს 4-ქულიანი ფორით შეხვდნენ და ცხადი გახდა, რომ როგორც ყოველთვის, ამ გუნდებს შორის გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებს უნდა გაერკვია.

"დინამოს" ბოლო პერიოდში ვერ ეხმარებოდა (5 ფოლის გამო) მეფარე დავით გვიმრაძე, ხოლო მეორე ტანმაღალს დავით მურჯიკნელს 4 ჯარიმთ უნევდა თამაში. ამიტომ დილმელებმა აქცენტი პერიმეტრზე გადაიტანეს და მეოთხე რაუნდის მეორე წუთხევე **ნიო ნოზაძის** ორი და **ლექსო ლაფანაშვილის** ერთი სამქულიანის წყალობით 73:70 დაწინაურდნენ.

დაძაბულობის მატებასთან ერთად ახალგაზრდებს ნერვიულობა დაეტყოთ. მე-40 წუთამდე ერთი ქულის ჩაგდებაც ვერ მოახერხეს. ბოლო წუთის ამბები ქრონოლოგიურად დაჯგუფებას მოითხოვს:

00:38 - ფარქვეშ შალვა კოხრეიძის წინააღმდეგ დაჯარიმდა ნოდარ სიგუა, რომელმაც მეხუთე ფოლის გამო მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო. კოხრეიძემ ვერცერთი ჯარიმა ვერ გაოიყენა (80:82 - სტუ-ს სასარგებლოდ).

00:21 - **ირაკლი გულისაბედაშვილი** "დინამოს" მრავალსვლიანი კომბინაცია სამქულიანით დააგვირგვინა - 83:82.

00:04 - **ვიქტორ კოლუაშვილი** "დინამოს" ფარქვეშ ბერაიაზე დაჯარიმდა. ნოდარმა მხოლოდ პირველი საჯარიმო გამოიყენა - 83:83.

00:01 - ბერაიას მიერ აცილებული მეორე ტყორცნა ფარიდან **დავით მაისურაძემ** მოხსნა, გამარჯვების ორქულიანი ჩააგდო (85:83) და მატჩის გმირად იქცა.

დიახ, მაისურაძე შეხვედრის გმირი გახდა და ზოგი ელოდა, რომ ტურის MVP-დ ჟურნალისტები მას დაასახელებდნენ, მაგრამ დიქტორმა გამოაცხადა: "ტურის საუკეთესო კალათბურთელი "აზოტის" წევრი **ლაშა გამყრელიძე** გახდა!" ამან დათოს ქომაგები გაანაწყენა და მივიღეთ "კომპლიმენტი" - ჟურნალისტები მიკერძოებულები არინაო.

დაახლოებით ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, როგორშიც ჩემპიონატის პირველ ტურში: **გიორგი შერმადინმა** 44 ქულა ჩააგდო და, ფაქტობრივად, მარტომ მოუგო სტუს. მაგრამ მაშინ საუკეთესოდ თსუ-"აზოტის" მატჩის მონაწილე **გიორგი მარკოიშვილი** დასახელდა.

რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ ტურის MVP-დ არჩევისთვის **ლაშა გამყრელიძე** ნაჩუქარ DVD დისკებს გვიზიარებს და რადგან დაისვა კითხვა - რა პრინციპით ირჩევა ტურის მარგი კალათბურთელი, საჭიროდ ვთვლი ამ კითხვაზე პასუხი კიდევ ერთხელ გავცე. თუმცა, იმასაც დავძენ, რომ ყველა ჟურნალისტს თავისი სუბიექტური პოზიცია და პრინციპი აქვს.

დავინყოთ იქიდან, რომ საქართველოში გუნდები ორ კატეგორიად იყოფა - ძლიერებად და სუსტებად. "აზოტი"-"ავიამშენი" და თსუ პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან, სტუ, "დინამო" და "მაკაბი" - მეორეს. ფავორიტ-აუტსაიდერს შორის აქამდე გამართული 35 შეხვედრიდან 34 ძლიერებმა მოიგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორი კატეგორიის გუნდებს შორის სხვაობა დიდია.

აქედან გამომდინარე, პირველ-მეორე ადგილზე მყოფი კლუბების თამაში მნიშვნელობის მხრივ გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე მეოთხე-მეხუთე პოზიციების გუნდების დაპირისპირება, ამიტომ მეოთხე-მეხუთის მატჩში მონაწილე საუკეთესოდ რომ დასახელდეს იმდენად უკეთესად უნდა ითამაშოს, რამდენიცაა სხვაობა მის მატჩსა და №1-ს შორის. მე-19 ტურში კი პირველი შეხვედრა (როგორც დროის, ასევე მნიშვნელობის მიხედვით) "აზოტი"-"ავიამშენის" დაპირისპირება იყო. დამეთანხმებით, რომ "ავიამშენის" წინააღმდეგ თავის გამოჩენა შედარებით რთული და ღირებულია, ვიდრე "დინამოს" წინააღმდეგ.

მოდით, აზოტელი **ლაშა გამყრელიძის** მონაგარი "დინამო"-სტუ-ს საუკეთესოებისას შევადაროთ.

ლაშა გამყრელიძე: 23 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 5 შეცდომა.

გულივერ ახალკაცი (სტუ): 21 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება, 6 შეცდომა.

ნოდარ ბერაია (სტუ): 19 ქულა, 4 პასი, 6 მოხსნა, 6 შეცდომა.

დავით მაისურაძე (სტუ): 13 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება, 3 შეცდომა.

შალვა კოხრეიძე (სტუ): 12 ქულა, 4 პასი, 6 ჩაჭრა, 4 მოხსნა, 5 შეცდომა.

ლექსო ლაფანაშვილი (დინამო): 13 ქულა, 4 პასი, 3 ჩაჭრა, 5 მოხსნა, 4 შეცდომა.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ მატჩის მნიშვნელობისა და სტატისტიკის მიხედვით ლაშა გამყრელიძის საუკეთესოდ დასახელება არაობიექტური არ ყოფილა.

გამოგიტყდებით, ჩემს სურვილზე რომ ყოფილიყო, მერჩივნა ღირებულ მოთამაშედ რომელიმე სტუ-დან არჩეულიყო, რადგან აზოტელი კალათბურთელები პრესაზე ნაწყენები არიან და ვიცოდი ლაშა საუბარზე უარს იტყოდა, რის გამოც ოთხშაბათის მიმოხილვაში ტრადიცია დაირღვეოდა და მასალა ინტერვიუს გარეშე დარჩებოდა. მაგრამ ხმა მაინც გამყრელიძეს მივეცი, რადგან ობიექტურად ტურის საუკეთესო სწორედ ის იყო.

ზემოთ საუკეთესოს შერჩევის პრინციპზე ვისაუბრე, მაგრამ არავის ეგონოს, იმას ვერ ვხედავ, რომ "დინამოში", "მაკაბისა" და სტუ-ში პერსპექტიული ბიჭები არ თამაშობენ. აქამდეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ამ სამი გუნდის არაერთი წევრი უნდა ისინჯებოდეს.

დღეს იმის თქმაც შეიძლება, რომ ეროვნული ნაკრების მომავალი კანდიდატები შედარებით სუსტ გუნდებში აგროვებენ სათამაშო პრაქტიკას. მაგრამ მხოლოდ პერსპექტიულობა და ქულამოხსნები ტურის MVP-დ ობიექტურად შერჩევისთვის საკმარისი რომ არ არის, ამას ისიც მოწმობს, რომ საშუალოდ 37 ქულის მქონე გიორგი შერმადინი 19 ტურში ერთადერთხელ დასახელდა საუკეთესოდ.

სხვათა შორის, შაბათს, 17 საათზე გიორგი ამერიკის ქალაქ მემფისში გაფრინდა, სადაც მონაწილეობას მიიღებს აშშ-სა და მსოფლიოს ნაკრებების მატჩში. რომელ მხარეს ითამაშებს თავადაც მიხვდებით. შეხვედრა 7 აპრილს გაიმართება.

ტურის ფრაზა. "დინამო"-სტუ-ს მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში დინმოელთა თავკაცი ზაზა ცაგარეიშვილი უხეშმა თამაშმა აღაშფოთა და მსაჯებს მიუბრუნდა: **უხეშობებზე რატომ არ რეაგირებთ? თუ ჭიდაობაა, ჭიდაობა იყოს, ოღონდ ტატამი დავაგოთ...**

დაბოლოს, შაბათის ტურმა კომპიუტერის გარეშე ჩაიარა. მიზეზი საპატიო იყო - კომპიუტერული ჯგუფის ხელმძღვანელი **ქეთი ქიქოძე** გათხოვდა, რასაც გულითადად ვუსურვებთ.

შაბათსვე კალათბურთის ფედერაციამ დამსახურებულ მწვრთნელს **ლიზა აზიზოვას** იუბილე საპატიო სიგელითა და ყვავილების თაიგულით მიულოცა.

ვაჟა სიმონიშვილი

დინამო-სტუ — ნუგზარ სუარიძის ფოტო



დინამო-სტუ — ნუგზარ სუარიძის ფოტო

ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲘᲡ ᲬᲝᲜᲐ

ᲛᲐᲡᲙᲔᲡ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ

ᲐᲗᲘᲗᲬᲔᲚᲘ გავიდა მას შემდეგ, რაც IBF-ის ყოფილმა ჩემპიონმა, გერმანელმა **ჰენრი მასკემ** პროფესიულ რინგზე ბოლო ბრძოლა ჩაატარა, მაგრამ ამ პაუზას მისთვის ხელი არ შეუშლია, დაბრუნებულიყო და მაშინვე ქულებით დაემარცხებინა მასავით ვეტერანი **ვირჯილ ჰილი**.

სხვათა შორის, ჰილი ერთადერთი მოკრივეა, ვისგანაც მასკემ წაგების სიმწარე განიცადა. ეს 1996 წელს მოხდა და იმ გამარჯვების წყალობით, ჰილმა თავის ხელში ქვემძიმე წონაში ორი პრესტიჟული ტიტულის სარტყელს მოუყარა თავი.

ჰილიცა და მასკეც ახლა 43 წლისანი არიან. ამერიკელი WBA-ის ვერსიით კრეისერის წონაში მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ მიუნხენში საბრძოლველად ისე წავიდა, სარტყელი შინ დატოვა. არა, კი არ დავიწყებია მისი წაღება, არამედ სასწორზე ტიტული არ გამოუტანია. მასკეს ამის პრეტენზია არც ჰქონია, უბრალოდ, რევანში სწყუროდა.

ამის გამო, გერმანელი მოკრივე ბევრმა გააკტირიკა - ათი წელი ბიზნესში გაატარა და ახლა მოუნდა მუშტების ქნევაო. მაგრამ მასკემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გერმანული კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოკრივეა. მან სამივე მსაჯის ბარათზე აჯობა (117-110, 116-113 და 117-110) ჰილს და ბრძოლის შემდეგ ამ უკანასკნელისგან ქებაც დაიმსახურა.

"ვიცოდი, რომ ჰენრი ამ ბრძოლისთვის თითქმის ერთი წელი ემზადებოდა. ჰოდა, არც გამკვირვებია, რომ რინგზე ამოსული, ასეთ კარგ ფორმაში ვიხილე. მას დასაკარგი არაფერი ჰქონდა. რაც შემეხება მე, თითქოს კარგ განწყობაზე ვიყავი, მაგრამ ვერ ვაჯობე", - განაცხადა ჰილმა (50-6, 23 ნოკაუტი).

ᲐᲛᲐᲕᲘᲓᲐᲜ უფრო აქტიური ჩემპიონი იყო და ქულებითაც იგებდა ბრძოლას. მაგრამ შუა ბრძოლაში გერმანელმაც შეუტია. მართალია, მის მუშტებს ოდინდელი ძალა აკლდა, მაგრამ ქულების დასაგროვებლდა ესეც საკმარისი იყო. ნაბრძოლევს მასკემ (31-1, 11 ნოკაუტი) განაცხადა, ჩემი ტაქტიკა ის იყო, რომ ვირჯილი დაცვიდან გამომეტყუებინა და მერე შემეტიაო.



ჰენრი მასკე

შუა ბრძოლაში, მოკრივეებმა თავები დასცხეს ერთმანეთს, რის გამოც ამერიკელს წარბი გაუსკდა. უფრო მეტიც, მან წონასწორობა დაკარგა და რინგზეც დაეცა, მაგრამ რეფერის არ დაუთვლია, რადგან გერმანელს დარტყმა არ განუხორციელებია.

ᲕᲝᲚᲔᲘ

NHL, ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

30 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ 2:4
1:1, 1:1, 0:2
გოლები: 1:0 ე. კოული-28 (სტილმანი-19), 1:1 სენტ ლუსი-42 (პროსპალი-39, ლეკავალიე-52), 2:1 კომოდორი-7 (ლეტოვსკი-6, ვალინი-8), 2:2 პროსპალი-13 (ლეკავალიე-53, ო'ბრაიენი-14), 2:3 კუბა-14, 2:4 ლეკავალიე-50 (რეინჯერი-23).

ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 5:2
3:1, 0:0, 2:1
გოლები: 1:0 ფიშერი-21 (კომრი-23, შეფერი-30), 2:0 სპეცი-31 (პიტლი-52, მეზაროში-27), 2:1 სურეი-25 (მარკეიი-40, ს. კოიეუ-49), 3:1 კომრი-17 (შეფერი-31, ფიშერი-25), 3:2 მეტრაიტი-10 (ლაპიერი-6, ბიგინი-5), 4:2 ფიშერი-22 (კომრი-24), 5:2 პიტლი-47 (სპეცი-51).

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 3:1
0:0, 2:0, 1:1
გოლები: 1:0 რუპინ-6 (ლუკოვიჩი-8, ე. გრინი-4), 2:0 ზაიაცი-17 (პარზე-29, რაფალსკი-44), 2:1 განიე-38 (ნუბლი-24, პიტკანენი-37), 3:1 პანდოლფო-11 (კ. უოტი-8).

ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 3:2 (Ო)
1:1, 1:1, 0:0, 1:0
გოლები: 0:1 კლეპისი-3 (ნოვოტნი-13, ოვეჩკინი-45), 1:1 გ. კემპბელი-6 (სპრუტ�ნი-2, სვეიონოვი-5), 1:2 კ. კლარკი-30 (სიმონინი-35, ოვეჩკინი-46), 2:2 გელინასი-12 (ო. იოკინენი-47, უეისი-27), 3:2 გელინასი-13 (უეისი-28, შტუმპელი-34).

ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲘᲠᲡᲘ 6:4
5:1, 0:0, 1:3
გოლები: 1:0 დ. რუა-17 (პომინვილი-32), 1:1 ჯეისონ ბლეიკი-39 (სილინჯერი-32, ჰოტი-32), 2:1 ვანეკი-38 (დ. რუა-40, სტეფორდი-10), 3:1 დრური-36 (პომინვილი-33, ბრიერი-60), 4:1 სტეფორდი-13 (ვანეკი-38, პომინვილი-34), 5:1 დრური-37, 5:2 ვიქ. კოზლოვი-23 (პილი-24, კამპოლი-11), 5:3 ჰოტი-5 (ეშმი-11, მ-ა. ბერეტერონი-29), 6:3 ზუბრუსი-23 (ბრიერი-61, დრური-29), 6:4 ვიქ. კოზლოვი-24 (იანინი-29, შატანი-31).

ᲡᲐᲜ ᲮᲣᲡᲔ-ᲨᲘᲜᲘᲥᲡᲘ 4:2
0:0, 2:1, 2:1
გოლები: 1:0 რისმილერი-6 (გრირი-14, ჯ. ბრაუნი-10), 2:0 ერპოფი-10 (ელსიჩი-22, ბელი-10), 2:1 სიოსტროიმი-9 (როინიკი-15, მორისი-16), 3:1 პენანინ-3 (გრირი-15), 4:1 ჩიზუ-32 (ჯ. ტორნტონი-84, რისმილერი-15), 4:2 რაინპრეტტი-9 (ბალარდი-18, დოუნი-26).

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ-ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ 3:1
2:0, 1:1, 0:0
გოლები: 1:0 შარპი-19 (სიბრუკი-17, პავლატი-31), 2:0 პავლატი-25 (რენე ბურკი-10, სიბრუკი-18), 3:0 ლაპოინტი-13 (არხიპოვი-14, სიბრუკი-19), 3:1 ჩიმერა-14 (ფერდიოვი-22, კლესლა-11).

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 3:4 (Ბ)
1:0, 2:0, 0:3, 0:0
გოლები: 1:0 ბერტუეი-2 (დაცოუკი-57, ფრანცენი-18), 2:0 მიოლტბანი-6 (კლარი-18, დრეიპერი-14), 3:0 დრეიპერი-13 (მნაიდერი-41, სამუელსონი-16), 3:1 მოროუ-13 (ნადი-40, რიბეირო-39), 3:2 რიბეირო-17 (ლ. ერიქსონი-13, ბაუმგარტნერი-3), 3:3 ბუზე-19 (პალეარნი-17, დეფეი-8).
ᲑᲣᲚᲘᲢᲔᲑᲘ გაიტანეს: ზუბოვი (დალასი).

31 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 2:3
0:1, 1:1, 1:1
გოლები: 0:1 კოვალჩუკი-39 (ეფსეტნი-7, ტკაჩუკი-28), 0:2 დე ვრისი-3 (დუპუი-5), 1:2 მეტრაში-26 (ნარა-31, ბ. ბერეტერონი-46), 2:2 კალუსი-2 (სავარი-71), 2:3 ტკაჩუკი-27 (მარიან ჰოსა-55, ფიტნეკი-31).

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 2:1
0:1, 2:0, 0:0
გოლები: 0:1 გაბორიკი-29 (როლსტონი-32, რადიოვეიჩი-13), 1:1 ლაილსი-14 (ვოლსკი-26, არნასონი-33), 2:1 ბ. შჩასტნი-26 (პეიდუკი-34, ბრუნეტი-53).

ᲤᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲠᲘᲩᲛᲝᲜᲓᲘ 5:4 (Ო)
2:1, 2:1, 0:2, 1:0
გოლები: 1:0 კილგერი-14 (უელუდი-27, ტაკერი-15), 1:1 გ. რობერტსი-18 (გონჩარი-52, მალკინი-51), 2:1 პონიკაროვსკი-20 (ანგროპოვი-15, სუნდინი-43), 3:1 ტ. კაბერლე-10 (ტაკერი-16, უელუდი-28), 4:1 მაკიბი-13 (სუდინი-44, ტ. კაბერლე-43), 4:2 ტლბარი-12 (ულეტი-29), 4:3 კოსბი-36 (რაინ უოტნი-44, მალკინი-52), 4:4 რაინ უოტნი-14 (გონჩარი-53, რეკი-43), 5:4 ტ. კაბერლე-11 (კუბინა-13, უელუდი-29).

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ 4:3
1:1, 2:1, 1:1
გოლები: 0:1 ბრიერი-32 (პეტერი-35, ტ. ნუმინენი-26), 1:1 რაიდერი-27 (პუოინი-11, მეტრაიტი-25), 2:1 ბონკი-13 (ნინიმა-3), 3:1 ლაპიერი-6 (კოვალიოვი-29, მარკეიი-41), 3:2 ვანეკი-39 (დ. რუა-41, სტეფორდი-11), 4:2 ს. კოიეუ-20, 4:3 ზუბრუსი-24 (პეი-7, დრური-30).

ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ 2:3 (Ო)
1:1, 0:1, 1:0, 0:1
გოლები: 0:1 ს. ნიდერმაიერი-14 (ვეტცლაფი-31, სელიანე-46), 1:1 ბეკესი-10 (მაკლეშანი-25, უეიტი-42), 1:2 ე. მაკდონალდი-25 (კუნინტეი-34, პრონგერი-44), 2:2 სტემნიაკი-25 (ჯეკმენი-23, მაიერსი-12), 2:3 ე. მაკდონალდი-26 (ს. ნიდერმაიერი-53, ფიგერი-2).

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲙᲐᲚ�გᲐᲠᲘ 2:3
0:1, 0:2, 2:0
გოლები: 0:1 ლენგკოუ-32 (ჰუსელიუსი-43), 0:2 კონრიი-13 (ლენგკოუ-42, რეგერი-18), 0:3 ჰუსელიუსი-33 (ოგინლა-52, ლენგკოუ-43), 1:3 მორისონი-20 (მ. კუკი-18), 2:3 ნესლუნდი-23 (მ. კუკი-19, ბიეკსა-29).

ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 2:4
1:3, 1:0, 0:1
გოლები: 0:1 პალეერნი-8 (ბარნსი-12, ჰაგმანი-11), 0:2 ი. იოკინენი-14 (მოდანო-20, ი. ლეპტინენი-17), 1:2 ზენონი-3, 1:3 ბარნსი-12 (ნორსტრიომი-9), 2:3 რადულოვი-17 (პორდიჩუკი-3, ჰამპუისი-13), 2:4 მოდანო-21 (იოკინენი-33, მიეტინენი-14).

ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲘᲠᲡᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ 2:5
0:1, 1:1, 1:3
გოლები: 0:1 შუბერტი-8 (სპეცი-52), 1:1 ვიქ. კოზლოვი-25 (იანინი-30, ჰოტი-33), 1:2 კიმორი-18 (მეფერი-32, მ. ფიშერი-26), 1:3 კიმორი-19 (შუბერტი-16, შეფერი-33), 1:4 მაკამონდი-14 (ალფრედსონი-55), 2:4 მ-ა. ბერეტერონი-14 (იანინი-31, ჰოტი-34), 2:5 პიტლი-48.

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲠᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ 4:6
1:3, 2:3, 1:0
გოლები: 0:1 ჰოკი-4 (იაგრი-52, როესიეალი-30), 1:1 იგერი-5 (გენენი-1, პიკარი-18), 1:2 კალაპანი-3 (კულენი-23, ეიერი-28), 1:3 იაგრი-27 (ნიულანდერი-53, ჰოკი-4), 2:3 იგერი-6 (ჰოტულნი-5, გენენი-2), 2:4 იაგრი-28 (ნიულანდერი-54), 2:5 სტრაკა-28 (მალიკი-18, პრუხა-18), 3:5 ქიბუერნი-3 (პიტკანენი-38, განიე-24), 3:6 პრუხა-20 (სტრაკა-40, ნიულანდერი-55), 4:6 ჰოტულნი-6 (განიე-25, ს. რუთიჩკა-10).

ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 5:2
2:1, 1:0, 2:1
გოლები: 1:0 ლეკავალიე-51 (რეინჯერი-24, ბოილი-43), 1:1 პეტინენი-16 (კ. კლარკი-24, გორდონი-21), 2:1 კრეიგი-14 (ა. კარლსონი-6, სერირი-14), 3:1 ბოილი-19 (ლეკავალიე-54, სენტ ლუსი-58), 4:1 სენტ ლუსი-43 (ლეკავალიე-55, კუბა-22), 4:2 ბრედლი-4 (კლეპისი-7), 5:2 ჯ. უორდი-7 (პროსპალი-40, სერირი-15).

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

NBA. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

30 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ-ᲘᲣᲢᲐ 102:93
23:25, 35:21, 23:22, 21:25
სან ანტონიო: ჯინობილი (25 ქ. 6 მ. 3 ჩ. 2 დ), ტ. პარკერი (23 ქ. 11 პ. 2 ჩ), დანკანი (20 ქ. 14 მ. 4 დ), ფინლი (12 ქ).
იუტა: დ. უილიამსი (23 ქ. 5 პ), ბუზერი (18 ქ. 10 მ. 2 ჩ), ოქტური (16 ქ. 11 მ), ფიმერი (15 ქ).

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ-ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ 125:108
24:36, 36:29, 35:21, 30:22
ფინიქსი: მერიონი (33 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), რ. ბელი (19 ქ. 7 პ. 2 ჩ), ბარბოსა (19 ქ. 4 ჩ), ნეში (18 ქ. 11 პ. 2 დ), ა. სტაუდმაიერი (12 ქ), ჯ. ჯოუნსი (10 ქ).
დენვერი: ენბრონი (32 ქ. 10 მ. 2 ჩ), ოიერსონი (26 ქ), ნენე (18 ქ. 9 მ), კემბი (14 ქ. 13 მ. 4 დ. 2 ჩ).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒ.-ᲰᲝᲠᲝᲜᲢᲝ 118:123 (Ო)
26:31, 28:26, 25:20, 30:32, 9:14
ვაშინგტონი: არენასი (34 ქ. 7 პ), სტიუენსონი (19 ქ. 10 მ), კ. ბატლერი (17 ქ), სონგაილა (12 ქ).
ტორონტო: ბოში (37 ქ. 14 მ. 5 პ), ტი. ჯეი. ფორდი (23 ქ. 6 პ), დიქსონი (17 ქ), ჯ. გრეგი (16 ქ. 12 მ), ე. პარკერი (13 ქ. 8 მ. 7 პ).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 77:92
14:25, 21:22, 22:17, 20:28
მინესოტა: გარნეტი (22 ქ. 20 მ. 2 ჩ), მ. ბლაუნტი (18 ქ), ფოიე (10 ქ. 4 პ), რ. დევისი (10 ქ).
მაიამი: ალონზმი (19 ქ. 14 მ. 2 დ), ე. ჯოუნსი (18 ქ. 2 ჩ), პოუსი (16 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჯეისონ უილიამსი (15 ქ. 10 პ. 6 მ. 2 ჩ), მ. ონ�ილი (15 ქ. 9 მ. 2 დ).

ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ-ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ 95:87
26:27, 25:14, 16:15, 28:31
ორლანდო: გ.ჰილი (22 ქ), არიზა (17 ქ. 4 ჩ), დ. პოკარდი (10 ქ. 8 მ. 5 დ), თურკოღლუ (10 ქ), ბეტი (9 ქ. 10 მ).
ინდიანა: ტინსლი (27 ქ. 10 მ), დ. გრეინჯერი (13 ქ. 2 დ), მერფი (11 ქ), ჯ. ონილი (10 ქ. 2 დ).

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 110:105
26:21, 19:21, 26:34, 39:29
დეტროიტი: ბოლასი (32 ქ. 14 პ), რ. უოლასი (22 ქ. 3 ჩ), მაკდაიესი (18 ქ. 2 ჩ), პრინსი (15 ქ. 9 პ. 8 მ), ლ. ჰანტერი (13 ქ).
ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (27 ქ. 6 პ), ბუნი (17 ქ. 2 დ), მური (16 ქ. 6 მ), ჯეფერსონი (13 ქ), კიდი (10 ქ. 9 პ. 8 მ).

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 88:82
25:20, 19:11, 23:27, 21:24
ფილადელფია: კორვერი (26 ქ), იგუოდალა (23 ქ. 12 პ. 3 ჩ), დალემბერი (12 ქ. 13 მ), ჯო სმიტი (10 ქ. 6 მ).
ბოსტონი: ელ ჯეფერსონი (20 ქ. 8 მ), დელონტე უესტი (16 ქ. 6 პ. 3 ჩ), ჯ. გრინი (12 ქ).

ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ-ᲛᲘᲜᲡᲣᲚᲘ 97:81
20:20, 23:26, 30:12, 24:23
შარლოტი: ჯ. უოლასი (24 ქ. 13 მ. 5 პ. 5 ჩ), ერმანი (23 ქ. 9 მ), კერლეი (13 ქ), ოკაფორი (11 ქ. 12 მ. 5 დ), ფელტონი (11 პ. 2 ჩ).
მინესოტა: პატერსონი (14 ქ), რედი (13 ქ), ბოიკინსი (12 ქ. 5 პ. 2 ჩ).

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 105:103
22:29, 35:24, 19:23, 29:27
დალასი: ნოვიცკი (30 ქ), ჯოშ ჰოვარდი (20 ქ. 8 მ. 2 დ), სტეკჰაუზი (19 ქ. 6 პ), ტერი (14 ქ. 2 ჩ).
ნიუ იორკი: მარბერი (43 ქ), კარი (17 ქ. 2 დ), ნ. რობინსონი (15 ქ), ბალკმენი (12 ქ. 4 ჩ).

ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ-ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ 101:105
19:30, 31:27, 20:21, 31:27
საკრამენტო: არტესანი (29 ქ), კევინ მარტინი (23 ქ. 7 მ), ბიბი (16 ქ), უილიამსონი (13 ქ).
კლიპერსი: მობლი (26 ქ), მაგეტი (19 ქ), პარტი (16 ქ. 7 პ), ტომ ტომასი (16 ქ), ბრენდი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ)

ᲡᲘᲢᲚᲔᲘ-ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘ 120:93
40:28, 29:27, 32:17, 19:21
სიეტლი: კოლისონი (22 ქ. 12 მ. 2 დ), პეტერო (22 ქ. 2 დ), რ. ლიუისი (21 ქ.), უილკინსი (16 ქ. 6 პ. 2 ჩ), რიდნური (13 ქ. 12 პ. 2 ჩ).
მემფისი: უორიკი (26 ქ. 12 მ. 2 დ), კინსი (20 ქ. 2 ჩ), გასოლი (16 ქ. 2 დ), გეი (10 ქ).

ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲐᲘᲠᲚᲘᲜᲓᲘ 104:107 (Ო)
22:31, 26:22, 19:22, 28:20, 9:12
ლოს ანჯელესი: ბრაიანტი (53 ქ), ოდომი (16 ქ. 17 მ. 4 ჩ), კ. ბრაუნი (15 ქ. 3 ჩ. 2 დ), ს. პარკერი (10 ქ. 8 მ).
პოუსტონი: მინი (39 ქ. 11 მ. 4 დ), მაკგრეიდი (30 ქ. 10 პ), ალსტონი (19 ქ), ბეტიე (11 ქ. 2 ჩ), ჩ. პეიესი (14 მ).

31 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ-ᲙᲚᲔᲕᲔᲚᲜᲓᲘ 108:112 (Ო)
30:26, 23:33, 20:24, 27:17, 8:12
ჩიკაგო: გორდონი (34 ქ), ტაირუს ტომასი (27 ქ. 8 მ. 3 ჩ. 3 დ), პაინრიხი (22 ქ. 11 პ), დენგი (12 ქ. 2 ჩ), ბ. უოლასი (12 მ. 2 დ).
კლიველენდი: ლ. ჯეიმსი (39 ქ. 9 პ. 3 ჩ), პაველეიჩი (21 ქ), პოუზი (21 ქ), ილგაუსკასი (14 ქ), გუდენი (14 მ. 2 ჩ. 2 დ).

ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ-ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 103:94
19:23, 32:14, 21:26, 20:29, 11:2
ნიუ ორლეანი: დევიდ უესტი (20 ქ. 8 მ), მეისონი (19 ქ. 2 ჩ), ჰოლი (16 ქ. 6 პ. 4 ჩ), ჩედლერი (13 ქ. 13 მ), ბ. ჯექსონი (12 ქ. 2 ჩ), პარგო (12 ქ).
ნიუ იორკი: კარი (34 ქ. 13 მ), მარბერი (16 ქ. 8 მ. 5 პ), მ. კოლნბი (14 ქ. 6 მ), ნ. რობინსონი (14 ქ).

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 86:82
17:21, 17:18, 27:18, 25:25
ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (19 ქ), რ. ჯეფერსონი (14 ქ), კიდი (12 ქ. 8 პ. 5 ჩ), ა. რაატი (12 ქ. 2 ჩ), კ. რობინსონი (11 ქ).
ფილადელფია: ჯო სმიტი (14 ქ. 9 მ), ა. მილერი (14 ქ. 12 პ. 7 მ. 2 ჩ), იგუოდალა (13 ქ. 6 მ), დალემბერი (12 ქ. 10 მ), კარნი (11 ქ).

ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ-ᲚᲘᲪᲙᲘᲔᲠᲡᲘ 86:99
18:38, 21:27, 27:18, 20:16
პორტლენდი: როი (23 ქ), ლაფრენეი (15 ქ), მაგლორირი (13 ქ. 2 დ), ტ. აუთლო (13 ქ. 3 ჩ), უუმბეტერი (10 ქ).
კლიპერსი: მანლი (25 ქ), ბრენდი (21 ქ), როსი (17 ქ. 2 ჩ), პარტი (14 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ), ტომ ტომასი (13 ქ).

2 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲡᲐᲔᲗᲑᲣᲠᲗᲘ)
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-სევილია.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-რედინგი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზელაციო.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-პსჟ.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)
09:00 კრივი. რინგ-საიდი.
12:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-სერტანზინიე.
13:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
16:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-კაროლინა.
18:15 სპორტის სახეები.
18:45 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-პალმეირასი.
20:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 პროფესიული კრივი. ვლადიმერ კლიჩკო-კრის ბერდი.
02:20 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-პალმეირასი.
04:35 სპორტის სახეები.
05:15 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-კაროლინა.

EUROSPORT
09:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
10:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
10:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი.
11:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-კანადა. ედმონტონი. კანადა (LIVE).
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ოთხეულები. ოთხთა ფინალი.
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ოთხთა ფინალი.
15:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია.
16:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
18:15 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
18:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ნორვეგია. ედმონტონი. კანადა (LIVE).
20:30 მულტისპორტი.
21:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი.
22:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-გერმანია. ედმონტონი. კანადა (LIVE).
01:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2
08:30 ახალი ამბები.
11:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალიადოლიდი (ესპანეთი)-ფრენსბურგი (გერმანია).
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი.
13:00 ახალი ამბები.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალკენსვაარდი. ჰოლანდია.
16:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალიადოლიდი (ესპანეთი)-ფრენსბურგი (გერმანია).
18:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ოთხთა ფინალი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
20:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:30 ახალი ამბები.
21:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-რეალი.
22:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
22:30 ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. როჩესტერი-ფილადელფია.
00:00 ახალი ამბები.
00:45 მულტისპორტი.
01:15 ახალი ამბები.

ᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲤᲘ

ᲤᲣᲑᲑᲣᲠᲗᲘ

ᲩᲘᲚᲔ

უნ. დე ჩილე-უაჩიპატო	1:0
პუერტო მონტი-ვეერგონი	1:3
კობრესალი-უნ. კატოლიკა	1:1
პალესტინო-იბერიანო	0:2
დ. კონსეპსიონი-ო'ჰიგინსი	1:2
ლა სერენა-კოლო კოლო	გადაიდო

ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ

უინდერერსი-ნასიონალი	2:1
რაგბლა-პროგრესო	0:2
ლი

სერენა უილიამსი

ტურნირების მიმოხილვა

მოგებული მარცხი

მაიამის ქალთა ტურნირის ფინალს უნდა გაერკვია - ვინ არის დღეს WTA-ს ტურის საუკეთესო მოთამაშე? ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** და ამერიკელი **სერენა უილიამსი** გადამწყვეტ მატჩამდე ასეთი სტატისტიკით მივიდნენ: წელს, ჟუსტინს 15 მოგება და ერთი წაგება ჰქონდა, სერენას - 14 მოგება და ერთი წაგება. მაგრამ მარტო სტატისტიკაში არ არის საქმე. ბელგიელიც და ამერიკელიც თავიანთი თამაშით ამტკიცებდნენ ფავორიტის სტატუსს. ანენი ტურის ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ ითვლება, სერენა კი, ძირითადად თავისი ათლეტური აღნაგობითა და ძლიერი დარტყმებით გადის ფონს, თუმცა არც ოსტატობა დაენუნება. მომავალი ფინალი ამ მხრივადაც იყო საინტერესო. რომელი არგუმენტი გადაძალავდა - ძალა თუ ტექნიკა?

ჟუსტინმა თამაში არანორმალური ტემპით დაიწყო. მინიატურულ ბელგიელს ყველაფერი გამოსდიოდა. პარტიაში, რომელიც სულ 26 წუთს გაგრძელდა, უილიამსს მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. 6:0 - ასეთი ანგარიშით განადგურდა დაკუნთული ამერიკელი.

საერთოდ, უილიამსის სუსტ მხარედ ითვლება ის, რომ ამერიკელი მძიმედ შედის თამაშში და პირველ სეტში ყოველთვის უჭირს ხოლმე. ასე იყო მისთვის ტრიუმფალურ ავსტრალიის ღია პირველობაზე, იგივე მეორდებოდა მაიამის ტურნირის მატჩებშიც. ამიტომაც, გამანადგურებელი ანგარიშის მიუხედავად, ჟუსტინს გარანტირებული არაფერი ჰქონდა. თუმცა დაიწყო მეორე სეტი და ბელგიელმა მაშინვე აიღო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე. ეს იყო ზედიზედ მეშვიდე (!) მოგებული გეიმი.

მეორე სეტის მეორე გეიმმა, გარკვეულწილად გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე. ანენის მოწოდებაზე სერენამ სამი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ბელგიელმა ანგარიში გაათანაბრა. ამ გეიმში კიდევ ხუთჯერ იყო "თანაბარი" და ბოლოს, უილიამსმა, როგორც იქნა, შეძლო მატჩში პირველი გეიმის მოგება - თამაშის დაწყებიდან 39 წუთის შემდეგ (!). ანენის დომინირების ფონზე, მაყურებელმა ეს იმდენად დიდ წარმატებად ჩათვალა, რომ სერენას ფეხზე ამდგარმა გაუმართა ხანგრძლივი აპლოდისმენტები.

ამის შემდეგ თანაბარი თამაში წავიდა, მაგრამ ანენმა კიდევ ერთხელ იყოჩაღა - მეტოქის მოწოდებაზე გეიმი მოიგო და გამარჯვების რეალური შანსი მიიღო. მით უმეტეს, რომ 5:4-ზე, საკუთარ გეიმში 40:15 დანინაურდა, ანუ ჟუსტის ორი მატჩ-პოინტი ჰქონდა.

სწორედ აქ აუკანკალდა ხელი ბელგიელ ჩოგბურთელს. პირველ ცდაზე მეტად პასიურად ითამაშა და მოწინააღმდეგეს იოლად ააღებინა ქულა, მეორე მატჩ-პოინტზე კი, უნებლიე შეცდომა დაუშვა. ცოტა ხანში, ჟუსტინი კორტზე დაეცა და ფეხი ოდნავ დაიზიანა.

სერენამ ეს ყველაფერი კარგად გამოიყენა და ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო. შესაბამისად, მეორე სეტი მან 7:5 მოიგო და მესამეში 3:0 დაწინაურდა. ანენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არ დანებდა და ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ აშკარად ჩანდა - ბელგიელი ვერ გაიმეორებდა იმ გმირობას, რაც სერენა უილიამსმა ჩაიდინა. ჟუსტინმა მხოლოდ შეამცირა ანგარიში სხვაობა, მაგრამ ცხადი იყო, რომ მატჩის ბედის შემოსატრიალებლად, მას არც ფიზიკური და არც მორალური ძალა აღარ ჰქონდა შერჩენილი.

"ვიცოდი, რომ ბრძოლა არ უნდა შემწყვიტა და ჩემს შანსს დავლოდებოდი. ნამდვილი ჩემპიონები სწორედ ასე იქცევიან", - განაცხადა სერენა უილიამსმა, რომელმაც ზედიზედ მოგებათა სერია 13 მატჩამდე აიყვანა.

25 წლის ამერიკელმა კარიერაში 28-ე ტიტული მოიგო. მან წლევანდელი სეზონი 95-ე ჩოგნის რანგში დაიწყო, ახალ კვირას კი, კლასიფიკაციის მე-11 პოზიციაზე შეხვდება. რაც მთავარია, უმცროსმა უილიამსმა მაიამის კორტებზე მსოფლიო პირველი და მეორე ჩოგნები - **მარია შარაპოვა** და ჟუსტინ ანენი დაამარცხა.

"სერენა არასოდეს ნებდება. ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ მაინც ვერაფერი მოვახერხე. გადამწყვეტ მომენტებში, მეტოქემ ჩემზე კარგად ითამაშა", - თქვა მატჩის შემდეგ ანენმა, რომელიც მარცხის მიუხედავად, მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ პოზიციას ინარჩუნებს.

ATP

სუნი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 19 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 450 000 დოლარი

1/2 ფინალი

გილერმო კანიასი (არგ)-იან ლუბიჩიჩი (ხორ, 7) 7:5, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 10)**-ენდი მარეი (მრიტ, 12) 6:1, 6:0.

WTA

სუნი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 21 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 450 000 დოლარი

ფინალი

სერენა უილიამსი (აშშ, 13)-ჟუსტინ ანენი (ბელ, 2) 0:6, 7:5, 6:3.

მსოფლიო ჩემპიონატი

მხოლოდ ფელპსი!

ახლავე შეიძლება ითქვას, თუ სპორტული სეზონის ბოლოს, ამერიკელ **მაიკლ ფელპსს** საუკეთესო სპორტსმენად არ დაასახელებენ, დიდი უსამართლობა იქნება. სხვა რა უნდა ვთქვათ კაცზე, რომელმაც მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე ოქროს შვიდი მედალი აიღო და მსოფლიოს ხუთი რეკორდიც დაამყარა.

ყოველივეს მიუხედავად, ჩემპიონატის ბოლოსწინა დღე მისთვის სიხარულის მომტანიც იყო და წუხილისაც. ჯერ ერთი, მან ას მეტრზე ბატერფლაიში თავის თანაგუნდელს, მსოფლიო რეკორდსმენ **იან კროკერს** აჯობა. მაგრამ შემდეგ, ამავე კროკერის მიერ დაშვებული შეცდომის (ფალს სტარტი) გამო, აშშ-ის შერეული სტილით ესტაფეტისტთა ნაკრები ნახევარფინალურ ეტაპზე მოიხსნა ასპარეზობიდან. ამგვარად, ფელპსს რვა ოქროს მოპოვების რეალური შანსი მოესპო.

სამაგიეროდ, ტურნირის ბოლო დღეს მან ბრწყინვალედ იასპარეზა, 400 მეტრზე ინდივიდუალური შერეული სტილით ცურვაში თავისივე მსოფლიო რეკორდს ორ წამზე მეტი (2.04) მოაკლო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში საუკეთესო უნივერსალი მოცურავეა.

ისე, ეს რეკორდი რომც არა, მის უნივერსალობაში ეჭვის შეტანა მაინც უხერხული იქნებოდა. სხვა თუ არაფერი, ამერიკელმა 200 მეტრზე ბატერფლაიში, თავისუფალსა და შერეულ სტილში რეკორდებით მოიპოვა ოქროს მედლები.

სხვათა შორის, ფელპსს იმ ნახევარფინალურ ესტაფეტაში არ უასპარეზია, რომელზეც ამერიკის კვარტეტი დისკვალიფიცირებულ იქნა. მაგრამ მას თანაგუნდელის გაკრიტიკება არც უფიქრია: *"ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ისევე ვლებულობთ წარუმატებლობას, როგორც გამარჯვებას. ასეთი რამეები ხანდახან ხდება და ეს ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა"*.

ასე რომ, რვის ნაცვლად, ფეოპსმა, ფაქტობრივად, შვიდ სახეობაში იასპარეზა და ყველა მოიგო. ზემოთ ჩამოთვლილების გარდა, ის ოქროს დაეუფლა ას მეტრზე ბატერფლაისა და ორ ესტაფეტაში.

მოკლედ, ფელპსმა სრულად დაჩრდილა სპორტიდან ახლახან წასული ავსტრალიელი **იან ტორპი**, ვინც, სხვათა შორის, დოპინგსკანდალებით ცნობილმა ფრანგულმა გაზეთმა "ეკიპმა" დოპინტესტის ჩაგდება "გაუხსენა". ამ ცნობამ დიდი გამოხმაურება პოვა სპორტის სამყაროში, რაზეც "ტორპედომ" უმალ მოიწვია პრესკონფერენცია და ფრანგულ გაზეთს ცილისწამებისთვის პასუხის მოთხოვნით დაემუქრა. ამ ისტორიას აუცილებლად უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ, მანამდე კი მელბურნის სხვა გმირების შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ჩემპიონატის ბოლო დღეს, ფელპსის გარდა, მსოფლიოს რეკორდი მისმა თანაგუნდელმა **კეიტი ჰოფმაც** დაამყარა. თანაც, მანაც 400 მეტრზე შერეული სტილით ცურვაში შეძლო ეს. ამერიკელმა თინეიჯერმა შერეული სტილით ორივე დისტანციაზე მოიპოვა ოქრო და ახლა ისღა დარჩენია, ფელპსის გზას დაადგეს, ვინც თავისი სპორტული კარიერის დასაწყისში სწორედ შერეულ სტილში იგებდა ტურნირებს. ცნობისათვის, ჰოფი ჯერაც 17 წლისაა.

კიდევ ერთი რეკორდი ავსტრალიელ ქალთა კვარტეტის ანგარიშზეა. **ემილი სიბომმა, ლეიზელ ჯონსმა, ჯესიკა შიპერმა** და **ლიბი ლენტონმა** 4x100 მეტრზე შერეულით ესტაფეტაში დაამყარეს. აღსანიშნავია, რომ ტურნირის ბოლო დღეს მასპინძელმა მოცურავეებმა კიდევ ორი ოქრო მოიპოვეს.

სულ კი, მედლების არაოფიციალურ ჩათვლაში (წყალხტომების, ღია წყლის, სინქრონულისა და წყალბურთის გათვალისწინებით) ამერიკელებმა ჩემპიონატი ყველაზე მეტი, 21 ოქროთი დასრულეს, რომელთაგან ოცი **სიუზი ო'ნილის** სახელობის დროებით აუზში (შეგახსენებთ, რომ აუზი დროებით **როდ ლეივერის** სახელობის საჩოგბურთო არენაზე მოეწყო) მოიპოვეს.

და ისევ ლენტონის შესახებ. თუ კაცებში საუკეთესო მოცურავე ფელპსია, ქალებში ეს საპატიო წოდება სწორედ ლენტონს ეკუთვნის, რომელმაც ხუთი ოქროს დაუფლება შეძლო და ამით, სახელოვანი ამერიკელის, **ტრეისი ქოლკინსის** მიღწევა გაიმეორა, რომელმაც 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთი ოქროს მოპოვება შეძლო. მელბურნში ლენტონმა ოქროს მედლები მოიპოვა ორ ესტაფეტაში, 100 მეტრზე თავისუფალსა და ბატერფლაიში, ასევე 50 მეტრზე თავისუფალში.

მერაბ ლორთქიფანიძე

მელბურნი (ავსტრალია)
როდ ლეივერის არენა

კაცები

50 მეტრი თავისუფალით

1. ბენჯამინ უაილდმან-ტობრინერი (აშშ) 21.88; 2. კალენ ჯონსი (აშშ) 21.94; 3. სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) 21.97...

100 მეტრი ბატერფლაით

1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 50.77; 2. იან კროკერი (აშშ) 50.82; 3. ალბერტ სუბირატს ალტესი (ვენესუელა) 51.82...

50 მეტრი გულაღმა

1. გერჰარდ ცანდბერგი (სამხ.აფრიკა) 24.98; 2. თომას რუპრატი (გერმანია) 25.20; 3. ლაიამ ტენკოკი (ბრიტანეთი) 25.23...

400 მეტრი ინდ.შერეული სტილით

1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 4:06.22 (მსოფლიო რეკორდი); 2. რიიან ლოხტე (აშშ) 4:09.74; 3. ლუკა მარინი (იტალია) 4:09.88...

1500 მეტრი თავისუფალით

1. მატეუშ სავრინოვიჩი (ჰოლონეთი) 14:45.94; 2. იური პრილუკოვი (რუსეთი) 14:47.29; 3. დევიდ დევისი (ბრიტანეთი) 14:51.21...

4x100 მეტრზე შერეულით ესტაფეტა

1. ავსტრალია (მეტ უელში, ბრენტონ რიკარდი, ენდრიუ ლაუტერშტაინი და იმონ სალივანი) 3:34.93; 2. იაპონია 3:35.16; 3. რუსეთი 3:35.51...

ქალები

50 მეტრი ბატერფლაით

1. ტერეზ ალსპამარი (შვედეთი) 25.91; 2. დანი მიატკე (ავსტრალია) 26.05; 3. ინგე დეკერი (პოლანდია) 26.11...

200 მეტრი გულაღმა

1. მარგარეტ ჰიოლცერი (აშშ) 2.07.16; 2. კირსტი ქოვენტრი (ზიმბაბვე) 2.07.54; 3. რეიკო ნაკამურა (იაპონია) 2.08.54...

800 მეტრი თავისუფალით

1. კეიტ ციგლერი (აშშ) 8.18.52; 2. ლორ მანოდუ (საფრანგეთი) 8.18.80; 3. ჰეილი პირსოლი (აშშ) 8.26.41...

4x100 მეტრზე შერეულით ესტაფეტა

1. ავსტრალია (ემილი სიბომი, ლეიზელ ჯონსი, ჯესიკა შიპერი და ლიბი ლენტონი) 3.55.74 (მსოფლიო რეკორდი); 2. აშშ 3.58.31; 3. ჩინეთი 4.01.97...

50 მეტრი ბრასით

1. ჯესიკა პარდი (აშშ) 30.63; 2. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) 30.70; 3. ტარა კირკი (აშშ) 31.05...

50 მეტრი თავისუფალით

1. ლიბი ლენტონი (ავსტრალია) 24.53; 2. ტერეზ ალსპამარი (შვედეთი) 24.62; 3. მარლეენ ფელდჰუისი (ჰოლანდია) 24.70...

400 მეტრი ინდ.შერეული სტილით

1. კეიტი ჰოფი (აშშ) 4:32.89 (მსოფლიო რეკორდი); 2. იანა მარინოვა (რუსეთი) 4:40.14; 3. სტეფანი რაისი (ავსტრალია) 4:41.19...



მაიკლ ფელპსი

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანიზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოვიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **ჟპს გაზეთი ლელო, ჟპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა